619
1962
ეროვნული ბიბლიოთეკა





1962 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ტრიბუნაზე

# 1 მაისი

სამოცდათორმეტი წელია მსოფლიოს მშრომელები დღესასწაულობენ პირველ მაისს, — მუშათა კლასის ერთიანობის, სოლიდარობის, მუშათა კლასის რიგების საბრძოლო დათვალიერების, გაზაფხულის მზიან და იმედიან დღეს... მსოფლიოს ყველა კუთხეში კეთილი ნების ადამიანები მშრომელთა ინტერნაციონალურ დღესასწაულზე კიდევ ერთხელ ნათელყოფენ თავიანთ სწრაფვას მშვიდობისაკენ, ხალხთა ბედნიერებისაკენ.

თანდათან უფრო იზრდება და მტკიცდება მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღებისათვის მებრძოლთა რიგები მთელს მსოფლიოში. მსოფლიოს საუკეთესო ადამიანები თავგამოდებით იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მათ სჯერათ, რომ ქვეყანაზე მშვიდობა გაიმარჯვებს. მთელი საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მშვიდობისათვის მებრძოლებს — განის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეს, — კვამე ნკრუმას, ფრანგ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მხატვარ პაბლო პიკასოს, უნგრელ საზოგადო მოღვაწეს, იშტვან დობის, პაკისტანელ პოეტ ფაიზ აჰმად ფაიზს, ჩილელ საზოგადო მოღვაწეს ოლგე პობლეტე დე ესპანოზას, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების" საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭათ.

წლევანდელი პირველი მაისი განსაკუთრებულია: სულ ნახევარი წელი გავიდა ისტორიული ოცდამეორე ყრილობის დამთავრების დღიდან, რომელმაც ახალი ერა დაიწყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ყრილობამ მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, დასახა კონკრეტული გზები ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად. პარტიამ საქვეყნოდ აღიარა, რომ ჩვენი ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. ამ დიადმა სიტყვებმა ახალი ძალა, ახალი ენერგია შემატა საბჭოთა ადამიანებს, კომუნიზმის მშენებლებს.

საბჭოთა საქართველო მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ელექტროფიკაციით, სოფლის მეურნეობით, საშუალო და უმაღლესი განათლებით, ლიტერატურითა და ხელოვნებით შორს უსწრებს ბევრ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოს. აყვავდა და დამშვენდა ჩვენი ქალაქები და სოფლები. ილიჩის ნათურამ გადააჩირაღდნა მთელი საქართველო. ქართული ავტომობილი დაჰქრის მთელს ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში. ძველმა მეტალურგმა ქართველებმა შესანიშნავი ფოლადი მიაწოდეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულ ცენტრებს, ახლახან უდიდესი ჯილდოთი — ლენინური პრემიით აღნიშნული რუსთაველი მეფოლადეების მიერ გაუმჯობესებული „დგან 400", უნიკალურია მთელს მსოფლიოში. ქართველი მანქანათმშენებლების მიერ დამზადებულმა დაზგებმა სახელი გაითქვა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. ჩვენი მემაღაროელები, რომლებიც მრეწველობას შესანიშვან მარგანეცს აწვდიან. მახლობელი და საყვარელი გახადა ყველასათვის. ქართველ მეჩაიეების და მეციტრუსეთა შრომის ნაყოფი ამშვენებს ყოველი საბჭოთა ადამიანის სუფრას. ქართველ მეცნიერებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა და მსოფლიო კულტურის საგანძურში.

საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსული ყოველი მოქალაქე სიხარულით შეჰყურებდა ჩვენს კიდევ უფრო დამშვენებულ პროსპექტებსა და ქუჩებს, ცადაზიდულ სახლებს და სასახლეებს, სპორტულ მოედნებსა და კულტურის კერებს, — ყველაფერი ეს ხომ მან, — საბჭოთა ადამიანმა შექმნა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის დიად მერმისს — კომუნიზმს.

საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის წინ აღმართული ტრიბუნის წინ ჩაიარეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნაწილებმა, რომლებმაც გამოიტანეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი იარაღი.

საზეიმო ფანფარების ხმაზე პროსპექტზე შემოვიდნენ თბილისელი მშრომელები, რომელთაც წარმატებით, ვადაზე ადრე შეასრულეს მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა. მოდიოდნენ ხალისით, სიმღერით, ცეკვით. მათ სახელოვანი ტრადიციები და კიდევ უფრო ლამაზი და სასახელო აწმყო და მომავალი აქვთ. დემონსტრანტებს ტრიბუნიდან მიესალმებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ამხ. ამხ. ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ძოწენიძე, პ. კოვანოვი, გ. გეგეშიძე, დ. სტურუა, ვ. სირაძე, მ. კუჭავა, ა. ინაური, მ. ლელაშვილი, რ. ფრუიძე, ი. რთველიაშვილი, გ. ჩოგოვაძე, შ. ჭანუყვაძე, ო. ჩერქეზია, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, გენერლები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურის ხელოვნების წარმომადგენლები.

სამხედრო აღლუმმა და მშრომელთა დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაგვანახა ჩვენი ხალხის მონოლითურობა, უძლეველობა ჩვენი დიადი ქვეყნისა, რომელსაც წინ უძღვება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

# დიდი პიონერული ზეიმი



ნორჩმა ლენინელებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა 19 მაისს ზეიმით აღნიშნა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავი

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უფროსი ძმის — ლენინური კომკავშირის მზრუნველობითა და მხარდაჭერით, პიონერულმა ორგანიზაციამ მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა საბჭოთა კავშირის გმირულ მატიანეში

„წითელ პიონერულ ყელსახვევს სიამაყით ატარებდნენ ისინი, ვინც ქმნიდა პირველ კოლმეურნეობებს, ვინც ტაიგაში აშენებდა ახალ ქალაქებსა და ქარხნებს, ვინც იმორჩილებდა მძლავრ მდინარეებს, ვინც ტეხდა საუკუნოვან ყამირს. ვინც შტურმით იღებდა კოსმოსს, ვინც თავდადებით შრომობს კომუნისტურ ბრიგადებში". — წერდა ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მისალმებაში საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციისადმი

საყოველთაო ზეიმის დღეებში მთელს ქვეყანას მოეფინა სასიხარულო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაცია ლენინის ორდენით დაჯილდოვდა

ნორჩმა ლენინელებმა კარგად იციან, რომ ამ მაღალი ჯილდოს საპასუხოდ საჭიროა კიდევ უფრო მეტი მონდომებით ისწავლონ და იშრომონ, კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ კომუნიზმის ნათელი შენობის ასაგებად

სწორედ ამიტომაც არის, რომ ახლა განსაკუთრებული სიმტკიცით გაისმის პიონერული ომახიანი მოწოდების ხმა:

— კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის იყავი მზად!

ამ მოწოდებას კი ერთხმად ეპასუხება ნორჩ ლენინელთა 18 მილიონიანი არმია:

— მზად ვართ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (130) მაისი, 1962 წ

გამოცემის XII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის პირველი სესია

23 აპრილს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის პირველი სესია.

კრემლში შეიკრიბნენ ჩვენი დიადი სამშობლოს შესანიშნავი წარმომადგენლები, ხალხის რჩეულნი, ისინი, ვინც ამა წლის 18 მარტს ჩვენმა ძლევამოსილმა ხალხმა ერთსულოვნად აირჩია საბჭოთა პარლამენტში. თვითეული დეპუტატი მილიონობით ადამიანს წარმოადგენს, ყოველი მათგანი გამოხატავს ჩვენი ხალხის მისწრაფებებს, მათ მძლავრ ნებისყოფას კომუნიზმის შენების დიად საქმეში. არჩევნები გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის შესანიშნავ დემონსტრაციად. სწორედ ამ დიადი ერთიანობის სულისკვეთებით წარიმართა ხალხის რჩეულთა დიდი ფორუმი — უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა 24 აპრილს.

კავშირების საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეების არჩევის შემდეგ სესიის მონაწილეებმა დაამტკიცეს ორივე საბჭოს დღის წესრიგი, რომლებშიც შევიდა სამანდატო კომისიისა და მუდმივ კომისიათა არჩევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა, მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ, სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

სამანდატო კომისიის მოხსენებათა მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ სესიის მონაწილეებმა მოისმინეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ მ. პ. გიორგაძის მოხსენება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესახებ. სესიამ ერთხმად მიიღო კანონები ამ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

24 აპრილს საღამოს გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დეპუტატები მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ პრეზიდიუმში ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, გ. ი. ვორონოვის, ა. პ. კირილენკოს, ფ. რ. კოზლოვის, ა. ნ. კოსიგინის, ო. ვ. კუუსინენის, ა. ი. მიქოიანის, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, ვ. ვ. გრიშინის, შ. რ. რაშიდოვის, კ. ტ. მაზუროვის, ვ. პ. მჟავანაძის, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევის, ბ. ნ. პონომარიოვის, ა. ნ. შელეპინის გამოჩენას.

სესია გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნებზე. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს. სესიის მონაწილენი ოვაციას უმართავენ ამხანაგ ბრეჟნევს. ირჩევენ პრეზიდიუმის თავმჯდომარის 15 მოადგილეს და პრეზიდიუმის 16 წევრს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამხ. სპირიდონოვი ამბობს, რომ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად და იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად დასმულია სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იხსნის თავის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე და ამოწურულად მიაჩნია თავისი მოვალეობანი.

დეპუტატ პოდგორნის წინადადებით, რომელიც გამოვიდა მთელი რიგი ოლქებისა და რესპუბლიკების დეპუტატთა ჯგუფის სახელით, უმაღლესმა საბჭომ მიიღო ამხ. ხრუშჩოვის განცხადება, მოიწონა სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმიანობა და დაავალა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადება სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ. ამ წინადადებას სესიის მონაწილენი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით შეეგებნენ.

შემდეგ სესიამ მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ა. ა. გრომიკოს მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ. ამხ. გრომიკოს მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა შ. რ. რაშიდოვმა, ა. ე. კორნეიჩუკმა, ზ. ვ. პუშკარიოვმა, ა. ნ. ვიტაშკევიჩმა, გ. დ. ჯავახიშვილმა, ა. პ. ალექსანდროვმა, ა. მ. სემიონოვმა, ს. პ. პავლოვმა.

ორატორები ერთხმად იწონებენ საბჭოთა კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკას. ყველა ერთობლივ აცხადებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად აწარმოებს სამშვიდობო პოლიტიკას და უდიდეს ღონისძიებებს ანხორციელებს მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საყოველთაო და სრული განიარაღების, ახალი ომის თავიდან აცილების, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების პრობლემას.

სესიის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

ტრიბუნაზეა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით, მხურვალე ოვაციით ხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს. იგი მადლობას უხდის სესიის მონაწილეებს ნდობისათვის.

„ხალხის ნდობა, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — ამომრჩეველთა ნდობა, თქვენი ნდობა ამხანაგო დეპუტატებო, — ეს დიდი პატივი ყველაზე მაღალი ჯილდოა ყოველი კომუნისტისათვის, ყოველი პოლიტიკური მოღვაწისათვის.

სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ჩემს ძალღონეს მოვახმარ და ერთგულად ვემსახურები საბჭოთა ხალხს, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმის დიად საქმეს“.

ამხანაგ ხრუშჩოვის ამ სიტყვებს დარბაზი კვლავ მქუხარე ტაშით ხვდება. შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი უმაღლეს საბჭოს წარმოუდგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას — სსრკ მინისტრთა საბჭოს.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

შემდეგ სესია ირჩევს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

სესია იხილავს დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების შესახებ. ამ საკითხზე სესიაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

„როცა ახალი კონსტიტუციის შემუშავებას დავიწყებთ, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი უდიდესი, ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა, — სთქვა ამხ. ხრუშჩოვმა, — საბჭოთა ხალხს წილად ხვდა დიადი მისია — პირველმა იაროს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ გაუკვალავი გზით. ახალ კონსტიტუციას რომ ქმნის, საბჭოთა ხალხი გამოდის, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იმ ახალი ფორმების პირველაღმომჩენი, რომლებიც შეესაბამება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს“.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შემდეგ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა დ. ა. კუნაევმა, მ. ა. ლავრენტიევმა, ო. ი. ივაშჩენკომ, ი. მ. ვეჩეროვამ, ვ. ს. ტოლსტიკოვმა.

ამხ. ფ. რ. კოზლოვის წინადადებით უმაღლესი საბჭოს სესია ამტკიცებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობას. კომისიის თავმჯდომარეა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

დღის წესრიგი ამოწურულია. მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დამთავრდა.

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მსვლელობის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის საკითხები და ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხ. ა. პ. კირილენკო.

პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. ი. ვ. სპირიდონოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ მის არჩევასთან დაკავშირებით.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# „პრავდის“ დღესასწაული

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა გაზეთ „პრავდის“ დაარსების 50-ე წლისთავი.

5 მაისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც ლენინური „პრავდის“ სახელოვან იუბილეს მიეძღვნა.

სხდომის მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მარქსისტულ-ლენინური პრესის ვეტერანებს, იუბილარ პრავდისტებს.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

„ისევე როგორც ყველაფერმა, რასაც ლენინი ქმნიდა და ზრდიდა, „პრავდამ“ დიდი და სახელოვანი გზა განვლო, — აღნიშნა ნიკიტა სერგის ძემ. — „პრავდა“, რომელიც იშვა როგორც მასობრივი გაზეთი მუშებისათვის, ხალხისათვის, ახლა გახდა მშრომელთა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაზეთი, ყველაზე გავრცელებული ყოველდღიური გაზეთი მსოფლიოში“...

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. თ. ილიჩოვს, რომელმაც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „პრავდისადმი“, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას გაზეთ „პრავდის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა პრავდისტთა ჯგუფს გადასცა ლენინის ორდენი და მხურვალედ მიულოცა მათ ეს მაღალი ჯილდო.

ლენინური გაზეთის „პრავდის“ 50 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სხდომა დახურულად ცხადდება. კრემლის ყრილობათა სასახლეში შეკრებილები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

5 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების საზეიმო სხდომა, რომელიც გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავსა და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩენკო, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე, ი. გ. რთველიაშვილი, შ. ი. ქანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, ჟურნალისტები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.



შემდეგ სიტყვა ეძლევა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს გ. ვარდოსანიძეს.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს ძველ ბოლშევიკს ს. ქავთარაძეს, რომელიც 1912-1913 წლებში „პრავდის“ რედაქციაში მუშაობდა.

ტრიბუნაზეა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ა. ალექსეენკო.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე კ. გარდაფხაძე, სტუდენტი ც. უარაგეიშვილი, თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი ა. ალექსეენკო და სხვები.

სხდომა დახურულად ცხადდება. ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

# ლენინური პრემიის ლაურეატები

ლენინის დღეები ყოველთვის დიდი ზეიმითა და სიყვარულით აღინიშნება ყველგან. ამ დღეების სიხარულს კიდევ უფრო ამშვენებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისა და მიღწევებისათვის ლენინური პრემიების მინიჭება. ამ დღეებში რჩეულთა შორის რჩეულების დაჯილდოება, ნამდვილ სახალხო დღესასწაულადაა ქცეული.

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ლაურეატთა რიგებს შეემატა რუსთაველ მეტალურგთა ჯგუფი, რომელთაც მსოფლიოში უნიკალური დგანი, მილსაგლინავი აგრეგატი „400“ შექმნეს და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საქმეში ახალი სიტყვა თქვეს, „დგან 400“-ის კომპლექსურმა ავტომატიზაციამ დიდად შეამსუბუქა მუშათა შრომა და მკვეთრად გაზარდა მილების გამოშვება. სწორედ ამ აგრეგატის წარმადობამ და მასზე მომუშავე კოლექტივის უნარიანმა მუშაობამ უზრუნველყო ის რეკორდი, რომელიც მეტალურგებმა ა/წ მარტში დაამყარეს.

„დგან 400“-ის შემქმნელი ჯგუფი ამ მეტად საინტერესო, უნიკალური აგრეგატის გაუმჯობესებაზე რამდენიმე წელიწადია მუშაობს. თავდადებულმა, შემოქმედებითმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო და ახლა დგანის მუშაობის მთელი პროცესი ავტომატიზირებულია. თავიდანაა აცილებული ის საშიშროება, რომელიც მასზე მომუშავეს ელოდა ყურადღების ოდნავი შენელების, თუ სხვა რაიმე ამგვარის პირობებში. ამასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა მილების გამოშვება. „დგან 400“-ის სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია შარშან განხორციელდა, რამაც ქარხანას დიდი ეკონომიური ეფექტი მისცა. ქარხნის კოლექტივმა ოცდამეორე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების საპასუხოდ ვალდებულება იკისრა — შვიდწლედის საკონტროლო ციფრები 1963 წლისათვის შეასრულოს.

მხოლოდ ჩვენში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი ის, რომ თვრამეტი წლის წინათ უკაცრიელ ველზე წამომართულ მეტალურგთა გიგანტში შეიქმნა ისეთი აგრეგატი, რომელიც მსოფლიოში უნიკალურია და მას დიდი ლენინის სახელობის პრემია მიენიჭა.

ბევრი რამ დაწერილა რუსთაველ მეტალურგთა შესახებ, ბევრი მოთხრობა, ნარკვევი, ჩანახატი მიეძღვნა მათ და, კერძოდ „დგან 400“-ს. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სურათი „კეთილი ადამიანები“ (სცენარის ავტორი გ. მდივანი, რეჟისორი შ. მანაგაძე) სწორედ „დგან 400“-ის ამ ახალ გაუმჯობესებას მიეძღვნა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, მთელი ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს სახელოვანი ადამიანების, ლენინური პრემიის ლაურეატების ნ. გომელაურის, ს. შარაძენიძის, ს. მალიშევის, პ. წერეთლის, ი. ჟორდანიას, ნ. ანდრიუხინის, გ. გევორქიანის, კ. გრუშეცკის, დ. შალიგინის სახელებით და წარმატებას უსურვებს მათ თავის კეთილშობილ საქმეში.

# სრულიად საკავშირო ალკკ-ს XIV ყრილობა

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში 16 აპრილს მუშაობა დაიწყო საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIV ყრილობამ.

კრემლის ყრილობათა სასახლეში შეკრებილი დელეგატები და სტუმრები მხურვალე ოვაციით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს: ლ. ი. ბრეჟნევს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი დამსწრეთა ტაშის გრიალში კითხულობს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენებისა და კომკავშირის უახლოესი ამოცანების შესახებ სიტყვა ეძლევა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. პ. პავლოვს.

დარბაზში დიდხანს არ წყდება მქუხარე ოვაცია, როცა ტრიბუნაზე ადის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ყრილობის დელეგატები და საპატიო სტუმრები დაძაბული ყურადღებით ისმენენ ნიკიტა სერგის ძის გულითად, ღრმა და შინაარსიან სიტყვას. სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში კვლავ ხანგრძლივი ოვაცია იმართება, გაისმის შეძახილები საბჭოთა ხალხის, კომპარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის სადიდებლად.

სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობამ სწორად ცნო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და ერთხმად მოიწონა მისი პრაქტიკული მუშაობა.

დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, დაამტკიცეს საკავშირო ალკკ-ს წესდება.

საკავშირო ალკკ XIV ყრილობამ მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით ჩაიარა. ყრილობამ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა მზად არის კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და თავდადებით იბრძოლოს პარტიის დიადი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად — კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

* *

გაიმართა საკავშირო ალკკ პლენუმი.

პლენუმმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ს. პ. პავლოვი. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან ლ. კ. ბალიასნაია, ა. ხ. ვეზიროვი, მ. ი. ჟურავლიოვა, ვ. ტ. დუვაკინი, ა. ი. კამშალოვი, ვ. ა. საიუშევი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ი. პეტრუშინი.

## შ. გაგოშიძე

ლენინური „პრავდის“ დიდი და სახელოვანი გზა განუყრელადაა დაკავშირებული კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლასთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის. ამიტომაცაა, რომ საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი სიყვარულით აღნიშნავენ „პრავდის“ 50 წლისთავს, „პრავდისა“, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად ემსახურება ხალხს, იცავს ხალხის ინტერესებს, მიაქვს ხალხში სიმართლე. იგი დღესაც ისეთივე ახალგაზრდული მგზნებარებისა და შთაგონების, ისეთივე რევოლუციური პათოსისა და უდიადესი ჰუმანურობის, მაღალი იდეურობისა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონეა, როგორიც იყო ამ 50 წლის წინ, როდესაც დიდმა ლენინმა მას აკვანი დაურწია.

გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს). დაიბადა ყოველდღიური მუშათა გაზეთი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიზმის ისტორიაში — იგი კომუნიზმისათვის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მედროშე გახდა.

„პრავდა“ წარმოიქმნა იმ დღეებში, როდესაც მუშათა მოძრაობამ უდიდეს აღმავლობას მიაღწია. ამ დროს მასობრივი ბოლშევიკური მუშათა გაზეთის დაარსება ნიშნავდა, პირველყოვლისა, საერთო დაღლილობის პერიოდის ლიკვიდაციას ქვეყანაში სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლების შემდეგ, მუშათა კლასის გამოღვიძებას ახალი რევოლუციის მოსახდენად და მასების გადასვლას ბოლშევიკების მხარეზე.

თუ რა დიდ როლს ასრულებდა „პრავდა“ პარტიისათვის, ამაზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე მისი ტირაჟი და გავრცელების „გეოგრაფია“. თავიდანვე გაზეთი საშუალოდ 40-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა. ცალკეულ დღეებში კი მისი ტირაჟი 100-130 ათასს აღწევდა. „პრავდის“ თითოეული ეგზემპლარი ხელიდან ხელში გადადიოდა, მას კოლექტიურად კითხულობდნენ და განიხილავდნენ. ასე რომ, მკითხველთა რაოდენობა ტირაჟზე გაცილებით დიდი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ასეთი ფაქტიც: „პრავდას“ 9 ათასზე მეტი მუდმივი ხელისმომწერი ჰყავდა, რაც იმ დროისათვის მეტად დიდ რიცხვს წარმოადგენდა. 1917 წელს „პრავდის“ ტირაჟი უკვე 200 ათას ეგზემპლარს შეადგენდა, 1931 წელს — 1 მილიონზე მეტს, 1940 წელს — 2 მილიონს, 1955 წელს — 5 მილიონს, ხოლო ამჟამად მისი ტირაჟი 6 მილიონია.

„პრავდა“ ყველაზე უფრო პოპულარული იყო საწარმოო ცენტრებსა და მსხვილ საწარმოებში. შედარება „პრავდისა“ და მენშევიკური გაზეთის „ლუჩის“ გავრცელებას შორის ნათელყოფს მუშათა კლასში ბოლშევიკების გავლენის ზრდას და მენშევიკების გაკოტრებას. თუ 1914 წელს „პრავდის“ ტირაჟი 40 ათასს აჭარბებდა, „ლუჩისა“ — მხოლოდ 11 ათასი იყო; დამახასიათებელია, რომ 7 ათასი მუშათა ჯგუფიდან, რომლებიც ფულს კრეფდნენ მუშათა გაზეთებისათვის — ბოლშევიკურ პრესაზე მოდიოდა 5.600 ჯგუფი, ხოლო მენშევიკურზე — 1.400.

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო „პრავდაში“ გამოქვეყნებული ანგარიშები მუშათა პრესისათვის სახსრების შეგროვების შესახებ. ბოლშევიკური გამოცემებისათვის შეგროვილი სახსრების 87 პროცენტი კოლექტიურ მუშათა შესატანებზე მოდიოდა, მაშინ როცა მენშევიკური პრესა უმთავრესად წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლების სახსრებით არსებობდა. ამასთან დაკავშირებით ლენინი მიუთითებდა, რომ ლიკვიდატორების გაზეთი მუშათა გაზეთი კი არ არის, არამედ ბურჟუაზიული, რადგან მას ინახავენ მდიდარი მეგობრები ბურჟუაზიიდანო.

„პრავდისათვის“ სახსრების შეგროვებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რეზოლუციაში პარტიული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელიც ლენინის წინადადებით იქნა მიღებული რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირზე პორონინოში, მითითებული იყო, რომ გაზეთისათვის სახსრების შეგროვება, პარტიულ საწევრო შესატანებს წარმოადგენს.

მეფის მთავრობა მთელი თავისი ჩინოვნიკურ-პოლიტიკური აპარატით თავს ესხმოდა ბოლშევიკურ გაზეთს. ჯარიმები, გამოსული ნომრების კონფისკაცია, გაზეთის დახურვა, რედაქციის მუშაკთა დაპატიმრება, დარბევები — რა რეპრესიულ ზომებს არ მიმართავდა ცარიზმი „პრავდის“ წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მთელი თავისი მოღვაწეობის დროს „პრავდა“ 8-ჯერ დაიხურა და სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა („რაბოჩაია პრავდა“, „სევერნაია პრავდა“, „პრავდა ტრუდა“, „ზა პრავდუ“, „პროლეტარსკაია პრავდა“, „პუტ პრავდი“, „ტრუდოვაია პრავდა“, და სხვ). გაზეთისათვის ძალზე მძიმე იყო აგრეთვე ჯარიმების გადახდა. ჯარიმების საერთო თანხა დაახლოებით 16.250 მანეთს შეადგენდა, რაც მუშათა კაპიკებზე არსებული გაზეთისათვის მეტად საგრძნობ თანხას წარმოადგენდა. მაგრამ მუშებს ისე უყვარდათ თავისი გაზეთი, რომ უიმისოდ ვერ წარმოედგინათ არსებობა და ამიტომ სწრაფად აგროვებდნენ ახალ სახსრებს. საყურადღებოა, რომ „პრავდის“ 636 ნომრიდან რეპრესია განიცადა 190 ნომერმა, „პრავდის“ რედაქტორები პატიმრობაში იყვნენ 103 თვეს. გაზეთის არსებობის ნებისმიერ პერიოდში ყოველთვის ციხეში სასჯელს იხდიდა საშუალოდ არა ნაკლებ 8 რედაქტორისა. საგულისხმოა შემდეგი ციფრებიც: პირველი წლის განმავლობაში რედაქციაში შევიდა მუშათა 5 ათასი კორესპონდენცია. მომდევნო წელს ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა. საშუალოდ თითოეულ ნომერში იბეჭდებოდა 40-ზე მეტი წერილი. გაზეთის ნახევარზე მეტი კეთდებოდა მუშა-კორესპონდენტების მასალებით.

1914 წლის 21 მარტს „პრავდაში“ გამოქვეყნდა მუშა-პრავდისტების მიერ რედაქციაში გამოგზავნილი წერილი, რომლის ავტორები მოუწოდებდნენ მასობრივი ბოლშევიკური გაზეთის შექმნის აღსანიშნავად 22 აპრილი (5 მაისი) გამოცხადებულიყო მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღედ. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა რუსეთის მუშათა კლასი და რედაქციაში განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა მოლოცვები და შეგროვებული თანხები.

დაარსების პირველივე დღიდან „პრავდის“ მთელი საქმიანობის ქვაკუთხედი პარტიულობისათვის ბრძოლა გახდა. ამ მიზნის განსახორციელებლად „პრავდა“ დაუცხრომლად ეწეოდა ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდას, ამხელდა რეფორმიზმის იდეოლოგიასა და ტაქტიკას, პროლეტარიატს უნერგავდა რწმენას ბოლშევიკური იატაკქვეშეთისადმი, როგორც მუშათა მოძრაობის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალისადმი. „პრავდა“ ხელს უწყობდა იატაკქვეშეთის კერების გარშემო სხვადასხვა ლეგალურ მუშათა ორგანიზაციების დარაზმვას, მათ განთავისუფლებას ოპორტუნიზმის გავლენისაგან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციური ლოზუნგებით პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში, მთელი მუშათა მოძრაობის წარმართვაში ახალი რევოლუციის მომზადების გზით.




„პრავდა“ სისტემატურად ბეჭდავდა მასალებს, რომლებშიც ახსნილი იყო არალეგალური პარტიის მნიშვნელობა და მხილებული იყო ლიკვიდატორების არსი. იგი თავის მკითხველებს განუმარტავდა აზრს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ბოლშევიკური პარტია, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არის მუშათა კლასის ინტერესების ერთგული და მხოლოდ მას შეუძლია წაიყვანოს იგი წინ ცარიზმისა და კაპიტალიზმის მონობისაგან განთავისუფლების, სოციალისტური რევოლუციის გზით.

„პრავდამ“ კიდევ უფრო განავითარა და მაღალ საფეხურზე აიყვანა ბოლშევიკური პრესის შესანიშნავი ტრადიცია — მასებთან მტკიცე კავშირი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა „პრავდის“ ფურცლებზე მუშათა ცხოვრების ღრმა და ყოველმხრივი გაშუქება, გაზეთის საქმიანობა პროლეტარიატის მასობრივი ბრძოლის ორგანიზაციისათვის. მაგრამ „პრავდა“ ფაქტების უბრალო რეგისტრატორის როლში როდი გამოდიოდა, იგი მათ განაზოგადებდა და სერიოზულ პოლიტიკურ დასკვნებს აკეთებდა. მუშები გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების დახმარებით ერკვეოდნენ სადღეისო ამოცანებში, რწმუნდებოდნენ თავის ძალებში, ებმებოდნენ ბრძოლაში და ხდებოდნენ პრავდისტული იდეების მომხრეები და გამტარებლები.

განუზომელია გაზეთ „პრავდის“ დამსახურება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების საქმეში. სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქციის წლებში, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში, დიდი სამამულო ომის დროსა და ომის შემდგომი მშენებლობის წლებში „პრავდა“ მხარში ედგა პარტიას, რაზმავდა მილიონობით მშრომელს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებისათვის. დიდი და საპატიოა „პრავდის“ როლი დღეს, როდესაც პარტიის ისტორიული XXII ყრილობით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მთელ თავის ენერგიას ახმარს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ წინსვლას, თავდადებით შრომობს საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, თავისი მარჯვენით ჰქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. გაზეთი „პრავდა“, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა პრესა, ნაყოფიერად შრომობს არა მარტო მშრომელთა დასარაზმავად მატერიალური დოვლათის შექმნისათვის, არამედ ახალი, კომუნიზმის ეპოქის ადამიანის აღზრდისა და მისი მორალური სახის ჩამოყალიბებისათვის.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე „პრავდას“ ამაყად მიაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა, რომელიც გზას უნათებს პროგრესულ კაცობრიობას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად. „პრავდის“ სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა და მოძმე კომუნისტური პარტიების პრესა კვლავაც იდგება კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ავანგარდში, თავის წვლილს შეიტანს კომუნიზმის დიადი იდეების საყოველთაო გამარჯვებაში.

# სოფლისათვის ბრძოლის ავანგარდში



ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ოთარიშვილი

ფოტო გ. თიკანაძისა

ბინდდებოდა, როცა გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი დავით დადიანი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი რევაზ ბზიშვილი მინდვრებიდან დაბრუნდნენ.

როგორც კი ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგეს, მაშინვე კაბინეტში მიგვიწვიეს და საწარმოო სამმართველოს საქმიანობისა და უახლოესი გეგმების შესახებ გაგვიბეს საუბარი.

— საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებამ სოფლის მეურნეობის მართვის ძირეული რეორგანიზაციის შესახებ, დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — გვითხრა სამმართველოს უფროსმა დავით დადიანმა, — ჩვენი უპირველესი ამოცანა ახლა ის არის, რომ ოპერატიული და ორგანიზაციული მუშაობით უმოკლეს ხანში წარმატებით უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების აღმავლობა. მოწინავე მევენახეების, მეხილეების, მემინდვრეებისა და მეცხოველეების საუკეთესო მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო მაჩვენებლები.



გორის საწარმოო სამმართველო, რომელიც ქარელის, კასპის, გორისა და ხაშურის რაიონებს მოიცავს, 81 კოლმეურნეობასა და 15 საბჭოთა მეურნეობას აერთიანებს. სამმართველოში შემავალმა მეურნეობებმა წელს უნდა აწარმოონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 35.565 ტონა ხილი, 9.635 ტონა ყურძენი, 20 ათასი ტონა სიმინდი, 150 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 20 ათასი ტონა ბოსტნეული, 3.691 ტონა ხორცი, 10.610 ტონა რძე.

ამ დიდი და საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის გორის საწარმოო სამმართველო პირველი დღეებიდანვე აქტიურად შეუდგა სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევას. სამმართველოს მთელი აპარატი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით — აგრონომებით, ვეტექიმებით, ზოოტექნიკოსებით. მთავარ მეხილე-აგრონომად დაინიშნა დამსახურებული აგრონომი აკაკი ნოზაძე. ზოოტექნიკოს სიმონ ცერცვაძეს, ვეტექიმ ილია ტლაშაძეს, აგრონომ რუსუდან საყვარელიძესა და სამმართველოს სხვა სპეციალისტებს თავიანთ დარგში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

გორის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაიყო რამდენიმე ზონად, რომლებსაც ინსტრუქტორები და 15 ინსპექტორ-ორგანიზატორი მიამაგრეს.

სამმართველოს მთელი ყურადღება ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ სწრაფად გამონახონ და განახორციელონ ყველაზე ეფექტური ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. სამმართველოს მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ახლა მთავარია შეუფერხებლად მოაწყონ ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებათა მაღალნაყოფიერი გამოყენება, სწორად გაანაწილონ კადრები, შეიმუშაონ და დანერგონ ნათესი ფართობების ეფექტური სტრუქტურა და მიწათმოქმედების რაციონალური სისტემები.

სამმართველოს მიერ უკვე მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი დაისახა მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლისა და სავეტერინარო მომსახურების საუკეთესოდ მოწყობისათვის.

დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მეცხოველეობის სწრაფი განვითარების მიზნით, სამმართველოს მეურნეობებში წელს 1439 ჰექტარზე დათესეს ბარდა. პირუტყვისათვის ეს მეტად ყუათიანი საკვები გეგმის მიხედვით 1300-მდე ჰექტარზე უნდა დაეთესათ.

სამმართველოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების განყოფილებაში ამჟამად გაცხოველებით მუშაობენ წარმოების პროცესების სწორად მოწყობისა და შრომის დანორმვის დადგენისათვის, ანაზღაურების, დამატებით ანაზღაურებისა და მშრომელთა მატერიალური დაინტერესების სისტემების შემუშავებისათვის...

მხოლოდ რამდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც გორის ტერიტორიალური საწარმოო სამმართველო ჩამოყალიბდა, მაგრამ პირველმა ნაბიჯებმა უკვე ნათელყო, თუ რაოდენ ბრძნული და დროული იყო სოფლის მეურნეობის მართვის ახლებურად გარდაქმნა.

საწარმოო სამმართველოს მუშაკებს ახლა ყოველგვარი საშუალება მიეცათ, რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ წარმოებასთან, ღრმად ჩასწვდნენ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ყოველდღიურ საქ-

---

# მეტყველი ფაქტები

საქართველოს მეტალურგიის სიამაყე რუსთავი ხრიოკ მინდვრებზე გაშენდა. ამ მიდამოებში დაახლოებით ათასი წლის წინათ მდებარეობდა მჭიდროდ დასახლებული ქალაქი რუსთავი, რომელიც მომდევნო საუკუნეებში მტერთა შემოსევებმა აღგავა პირისაგან მიწისა.

* * *

საქართველო ძველთაგანვე ცნობილი იყო მაღალხარისხოვანი ლითონის წარმოებით. ქართველი ოსტატების მიერ ნაწრთობი ფოლადი საუკეთესოდ იყო მიჩნეული და დიდი მოწონებით სარგებლობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

* * *

რუსთავის მეორედ დაბადება 1944 წელს დაიწყო, ხუთი წლის შემდეგ კი პირველმა ქართველმა საბჭოთა მეფოლადემ ვარდიშ კობერიძემ მაღალხარისხოვანი ფოლადის პირველი ნადნობი გამოუშვა.

* * *

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ამჟამად ასეულ ათასობით ტონა ფოლადს, თუჯს, კოქსსა და ნაგლინს აწარმოებს.

* * *

„დგან 400“, რომლის შექმნისათვის რუსთავის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაკთა ჯგუფს ლენინური პრემია მიენიჭა, 12 ათასი ტონა სხვადასხვა მოწყობილობისაგან შედგება.

„დგან 400“-ის ტექნოლოგიური ხაზის სიგრძე ერთ კილომეტრზე მეტია, მასზე განლაგებულია 170 მექანიზმი და 2 ათასზე მეტი ელექტრული და მექანიკური ამძრავი.

მილსაგლინავი საამქრო, სადაც „დგან 400“ დგას, თითქმის სამჯერ აღემატება თბილისის სპორტის სასახლის ფართობს.

* * *

მეტალურგიის კერა რუსთავი მალე ქიმიური მრეწველობის უდიდესი ცენტრიც გახდება. რუსთავის ქარხნები დიდი რაოდენობით გამოუშვებენ ქართულ ნეილონს, კაპრონს, სხვადასხვა სინთეზურ ბოჭკოებს, საფუძველი ჩაეყრება გაზისაგან კაპროლაქტამის მიღებას.

რუსთავში გამოშვებული პროდუქცია სავსებით უზრუნველყოფს არა მარტო საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებს, არამედ საბჭოთა კავშირის მრავალი საწარმოს მოთხოვნილებასაც.

ჯაბუ მეზურიშვილი

* * *

ო, სილამაზე ასეთი უნდა,
მთავ დაგელოცოს ქვეყნად გაჩენი!
შორს თეთრი მერნის გაწეწილ კუდად
ჩაკიდებულა ხევში ჩანჩქერი.

უნდა გალიოს გაბმული ხვნეშით
გზა ჩახიმული და ჩახერგილი,
და ნაფოტები ირევა ჩქერში,
დენთით დაწყვეტილ კალმახებივით.

* * *

აქ არ შფოთავს ხის ფოთლები,
აქ ფრთას ვერ შლის ქარები.
ზეცის სარკე იორთქლება
უფსკრულების მთქნარებით.

კლდეებს ფერდებშერეცხილებს
აკრავს სუროს არშია,
და კორძები ბებერ რცხილებს
აცრილებად აჩნიათ,

მიანობას, უხელმძღვანელონ და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ.

დიდძალი იარაღ-მანქანები და წარმოების სხვა საშუალებანი, კვალიფიციური კადრები, ტრანსპორტი და გამოცდილი მუშახელი საწარმოო სამმართველოს საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად მოახდინოს ძალების მობილიზაცია, უფრო მოქნილად იბრძოლოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

გორის საწარმოო სამმართველოს ამას წინათ აცნობეს, რომ ქარელის კოლმეურნეობები მწვავედ განიცდიან სუპერფოსფატის ნაკლებობას. წინათ, ანალოგიური შემთხვევის დროს, დიდი დრო და ენერგია იყო საჭირო შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ახლა კი, სამმართველოს მითითებით, ქარელის რაიონის მინდვრებში სწრაფად გაიტანეს კასპსა და ხაშურში ჭარბად დაგროვებული სასუქი.

გორის რაიონის სოფელ ვარიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში მუშაობის დროს მოულოდნელად გამოირკვა, რომ შესასარი ბოძები აკლდებოდათ. ინსპექტორ-ორგანიზატორებმა ოპერატიულად მიიღეს ზომები და ქარელის რაიონის სოფელ ქვენატყოცის საბჭოთა მეურნეობიდან დროულად შემოიტანეს მევენახეობისათვის საჭირო მასალა, რითაც წარმატებით უზრუნველყვეს სამუშაოების აგროვადებში დამთავრება.

საწარმოო სამმართველოს ყოველდღიური საქმიანობისა და ოპერატიულ-ორგანიზატორული მუშაობის შესახებ კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა...

გაზაფხული უკვე კარგა ხანია ძალაში შევიდა. საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ინსტრუქტორები და ინსპექტორ-ორგანიზატორები დილიდან საღამომდე მინდვრად არიან გასულნი. ძირითადი სიმძიმის ცენტრი ახლა ბაღებსა და ზვრებში, ბაღჩებსა და მინდვრებში გადის, იქ, სადაც თავდადებული შრომით წყდება შვიდწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლის ბედი...

— ბედკეთილად დაიწყო წლევანდელი გაზაფხული, — გვითხრა რუისის მებოსტნეობა-მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა მოსე მორჩილაძემ, რომელიც საწარმოო სამმართველოს აგრონომ ილია ტლაშაძესთან ერთად მინდორში ჭარხლის სათესად გასულ აგრეგატთან შემოგვხვდა.

— საწარმოო სამმართველოს შექმნის შემდეგ ბევრი რამე ახლებურად დაზუსტდა და გადაწყდა, ამან კი საშუალება მოგვცა უკეთ წაგვემართა ჩვენი მუშაობა, — განაგრძო საუბარი მოსე მორჩილაძემ, — მაგალითად, შაქრის ჭარხალი წელს გეგმის მიხედვით 450 ჰექტარზე უნდა დაგვეთესა, მაგრამ საბჭოთა მეურნეობას ამ კულტურისათვის შესაფერისი ფართობი არ გააჩნდა. საწარმოო სამმართველომ გულდასმით შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა და ჭარხლის გარკვეული ნაწილის დათესვა ბრეთისა და ბებნისის საბჭოთა მეურნეობებში გადაანაწილა, ჩვენ კი განთავისუფლებულ 70 ჰექტარზე კომბოსტო დავთესეთ, რაც მეტად კარგ და მყარ მოსავალს იძლევა ამ ნიადაგებზე.

საწარმოო სამმართველოს ოპერატიული და უნარიანი ხელმძღვანელობისათვის კმაყოფილებას გამოთქვამენ აგრეთვე გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები (თავმჯდომარე ქართლოს ხომასურიძე).

ამ კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხალი წლების მანძილზე არარენტაბელურ კულტურად ითვლება. ცენტნერი ჭარხლის წარმოება აქ სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე გაცილებით ძვირი უჯდებათ.

საწარმოო სამმართველოს სპეციალისტთა რჩევით მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში წელს რამდენიმე ჰექტარზე დათესეს ერთღივიანი თესლი, რამაც შესაძლებელი გახადა ხელით შრომა მანქანით შეეცვალათ. კომპლექსური მექანიზაციის გამოყენების შედეგად მიღწეული შრომის დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა, პროდუქციის


ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი რ. ბზიშვილი მინდვრად გასვლის წინ გულდასმით ეთათბირება სამმართველოს მუშაკებს.

თვითღირებულების შემცირება და საჰექტარო მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა შაქრის ჭარხალს სულ მალე კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ აქცევს...

ყველგან, გორის რაიონის ბარაქიან ზვრებში, ქარელის ხეხილის ბაღებში, კასპისა თუ ხაშურის თვალუწვდენელ მინდვრებზე ნათლად იგრძნობა იმ კეთილისმყოფელი გავლენის შედეგები, რასაც სოფლის მეურნეობის მართვის ახლებურად გარდაქმნილი ხელმძღვანელობა ახდენს საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მონდომებით შესჭიდებიან საქმეს და მოუღლელი მარჯვენით მტკიცე საძირკველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. ამ შემოქმედებითი შრომის მაორგანიზებელ და სწორი გეზით წამმართავ ძალას კი საწარმოო სამმართველო წარმოადგენს.



გორის საწარმოო სამმართველოს მუშაკები ოპერატიულად ხელმძღვანელობენ საგაზაფხულო სამუშაოებს.



# ორიოდე სიტყვით

... 4 ათას წელზე მეტია, რაც კაცობრიობა სტაფილოს საკვებად ხმარობს. სტაფილოს შემადგენლობაში შედის 10 პროცენტი სახამებელი, შაქარი, სხვადასხვა ვიტამინები.

...სოფლის მეურნეობის მავნებლები—მინდვრის თაგვები და სხვა მღრღნელები ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ტონა მარცვლეულს ანადგურებენ.

...ქართული ვაზის ჯიშები საფერავი და რქაწითელი ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული და იქაც ქართული სახელწოდებებით იცნობენ.

... ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოში მოჰყავთ 144 მილიონი ტონა ბრინჯი, 185 მილიონი ტონა ხორბალი, 130 მილიონი ტონა სიმინდი.

...ამერიკის აღმოჩენის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელდა შემდეგი მცენარეები: ანანასი, კაკაოს ხე, მზესუმზირა, კარტოფილი, თამბაქო, სიმინდი, ქინაქინისა და კაუჩუკის ხეები.

... მზესუმზირიდან ზეთი პირველად ვორონეჟის გუბერნიის სოფელ ალექსეევკას მცხოვრებმა ყმა გლეხმა ბოკარევმა მიიღო 1835 წელს.

... ინდოეთში 4 ათას წელზე მეტია, რაც ბამბის კულტურა მოჰყავთ. ევროპაში ბამბა XVIII საუკუნეში შემოიტანეს.

...სოია ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. მისი სამშობლოა ჩინეთი. აქ 4 ათას წელზე მეტია, რაც სოია მოჰყავთ.

...ოხრახუში ძველ საბერძნეთსა და ეგვიპტეში მწუხარების გამოხატვის სიმბოლოდ ითვლებოდა. ჭირისუფლები ღრმა მწუხარების ნიშნად ოხრახუშის გვირგვინს იდგამდნენ თავზე.

...არახისის თესლი შეიცავს 60 პროცენტამდე ცხიმს, 25-30 პროცენტამდე ცილებს და ნახშირწყლებს.


60

„ჩემო ხალიანავ! მე ვარ — შენი ზაზა უკვე არა ანბანა ბიჭი, არამედ დარდისა და ვარამის კაცი!

შორეული ბარათების სათვალავი დიდი ხანია ამერია... ისიც ვიცი ბევრი მათგანი მიღებული გაქვს... ადამიანს ნამდვილ შეცოდებასაც აპატიებენ ჩემი კი მძიმე ზმანება უფრო იყო... შენც სახადად სთვლიდი. ზედ კიდევ მრავალი ჭირი და სენი დაერთო. ახლა სიმწრით ჩამოვდუღდი, წელთა ბრუნვამ მლეწა და მჩარხა და აწ სიკვდილამდე ველარა შემცვლის რა!...

ამ ქვეყნად, აღარაფერი დამრჩენია — შენისა და სამშობლოს გარდა. და ორივე მხოლოდ საფიცრად მისაწვდომნი ხართ!

ვამბობ — სამშობლო და შენ მიდგეხარ თვალცრემლიანი. — ვამბობ — ხალიანა... და ჩემი ქვეყნის ცვარნამიანი ველ-გორები აღმიდგებიან.

ხალიანავ! ჩუმად გაგიმხელ მე ხელაწალ ცეცხლით, თავიდან მომდებია შენი ტრფობა და სიყვარული. მაშინ, პირველ სიყვარულისას ჩვენს გრძნობას შეგნებული ტანჯვა და განწირულება აკლდა. იცი, მამაკაცს რაღაც უსაშველო უნდა სტკიოდეს, რომ თავდავიწყებით შეიყვაროს ვინმე!..

ხალიანავ, ერთ არსებაში შენივთებული და შესულდგმულებული ჩენი სამშობლო და საოცნებო ახლა შენა ხარ!

მალე ერევნის ციხის ჯიქურიერიში დაიწყება... თავს შევაკლავთ და ავიღებთ... ჩვენ ყველას, მეფიდან — უკანასკნელ მეალალემდე ახლა აღარაფერი გვიხსნის გარდა უეჭველი გამარჯვებისა.

მაგრამ ამ ბარათის მიზეზი ეგ არ არის. დღეს აღდგომაა და მე კი უცად გზაზე მივალ. არ შემიძლია არ წავიდე... თუ ოდესმე ველირსე შენ ნახვას—ყველაფერს აღსარებასავით გეტყვი, თუ არა და ეს მაინც იცოდე, ბუნებაში მუდამ ვგრძნობ შენს არსებობას. ხშირად სულ ხშირად... მძიმე წუთებში, შენ გეჩურჩულები და მხნეობას ვიკრებ!.. მაშინაც კი, როდესაც უჩვეულოდ გაბუტული ხარ! მეშინია არა სიკვდილისა, ვაი რომ ეს დამრჩეს ამოუთქმელი შენს გასაგონად... მე კი სამარიდანაც ამოგძახებ თუ კი გამივე!...

გიბრუნებ ჩემს „უბის საქართველოს“ ახლა შიგ ქართულ-რუსულის შემდეგ, სპარსულ-თურქულიც მივაწერე, ბევრიც დამრჩა — აღარ გამასრულებინა წუთისოფელმა...

ჩემს დედ-მამის საფლავებს მოუარე და თუ ველარ დავბრუნდი, მეც იქ მიგულე...

ჩემო და მხოლოდ ჩემო...“

...მთელი ღამე წერა, გულით ესაუბრა ხალიანას... ვაჟს თვალწინ, ცოცხალივით უდგა წარბშეკრული, მაგრამ თვალცრემლიანი... ნაწყენი, მაგრამ უაღრესად თბილი და გულში ჩასაკრობი... მეუღლე მისი, მაგრამ თითქოს ქალწული და მიუკარები. რამდენი სტრიქონიც დაწერა, იმდენი სხვანაირი ეჩვენა ხალიანა... უფრო და უფრო მომხიბლავი... და საოცარია რომ, წერილის აზრი თავისი სავალით მიდიოდა, ხილვისა და შორეულ ალერსისა კი სულ სხვა... „ტრფობის ბილიკით“.

წერილის ბოლოში კი ხალიანას ხალი და ხელი ისეთი სიცხადით იგრძნო შემთბარ ტუჩებზე, რომ ირგვლივ მიმოიხედა და მხოლოდ ახლაღა მიხვდა რომ ეს კარავში შემოჭრილი განთიადის სხივი და ნიავი იყო.

გათენებისას ბარათი დალუქა და ქოხსალამურა გაალვიძა...

— ჯერ არ გაგზავნო... თუ დავიკარგე მაშინ... სამი დღე აცალე... მერმე უსათუოდ გაგზავნე... გესმის... უსათუოდ! — და რომ ღელვა დაეფარა, უცბად სხვაგან გადააგდო საუბარი.

— დღეს აღდგომაა — მათე რუსი ადრიანად მოვინახულოთ... მერმე წასასვლელი ვარ!..

ამ დროს ჯერ კიდევ გარედან გაისმა მათე რუსის ჩახლინწული ხმა:

— აბა ვაჟკაცებო.. ქრისტე აღსდგა!..

ზედაც კარვის კალთა გადაიხსნა და მათემ ხელები ფართოდ გაშალა...

— ჭეშმარიტად!.. ჭეშმარიტად!.. დაგვასწარი! შენთან ვაპირებდით!—უეცრად გამხიარულდა ზაზა.

მათემ, რუსულად, სამჯერ გარდიგარდმო გადაჰკოცნა თავისი შვილობილი... ქოხსალამურას კი „ზედმეტად“ ქეჩოშიც წამოჰკრა ხელი...

წითელი კვერცხები მიუჯახუნა და აროხროხდა...

— აბა, ლაშქრის ხუცესი წირვას დააყენებს... და მალე...

— არა მცალია, უნდა წავიდე... — ყრუდ ადუდუნდა ზაზა.

— აღდგომა დილას?. რას ამბობ? ლაშქარი იხვეწებოდა ქოხსალამურამ დათვი ათამაშოსო! — უცბად მტრედები დაინახა გალიაში, გაუკვირდა...

—შენ კი მემტრედეობა დაგიწყია!

— ჰოდა ათამაშოს... აი გამობრუნდება და ათამაშოს — კილოდაკლებულად უთხრა ზაზამ.

მათე რუსი მიხვდა რომ მისი შვილობილი კვლავ სახიფათო საქმეზე მიდიოდა.

— მაშინ, მეც მოვდივარ!

— არა, მხოლოდ ქოხსალამურას წავიყვან... ისიც ადგილამდე...



## ლევან გოთუა

მხატვარი რ. თარხან-მოურავი.

(ნაწყვეტი რომანიდან „გმირთა ვარამი“)

მათე რუსი ძველებურ გაჯავრებას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა, კარავის ეზოში გიორგი ამილახვარმა შემოაყუდა თავის „ახმახა“ ცხენი.

— ვეჟო, გაგონილა... უკვე ვაგვიანებთ!.. ჯერ გზა გვაქვს კარგა დიდი... მერმე... — გიორგიმ ცხენი მოაბრუნა და ისევ გზაზე გადგა... იქ დაიცადა, კარავიდან გამოსულ ქოხსალამურას და მათე რუსს გაჰკრა თვალი და ჩაუჩურჩულა ზაზას:

— არვინ იახლო!

— მხოლოდ მეაბჯრეს, მტრედებს წამომიყვანს! — ერთიც კარავში შებრუნდა... შინა მსახურს დაუბარა:

— კახთბატონმა რომ მიკითხოს, უკვე წავიდათქო!.. — მერმე გაოგნებული მათე რუსი გადაჰკოცნა და გავიდა...

ქოხსალამურას უკვე ცხენი მოეყვანა.

ამილახვარმა გადახედა თავის ნაჩუქარ თეთრაიაბოს...

— ვეჟო!.. ეს ცხენი იცი რომ უკან მთხოვა მისმა პატრონმა?. — მერმე ნაძალადევად გადაიხარხარა, — რას არ მოიგონებენ ქალები!..

მაგრამ ქოხსალამურაც რომ ცხენზე შეჯდა, მაშინ შეეკითხა:

— ეს სადღა მოგყავს?.

— არა, ბოლომდე არა!.. ამბის მომტანი ხომ მჭირია... სადაც თქვენ იქნებით, იქ გეახლებათ...

ერთი გზის მცოდნე ამილახვარსაც ახლდა... სწრაფად გადასერეს ბანაკი და შეცალფეხებულ გზას დაადგნენ... მხარის ცვლის არ ეშინოდათ და უგზოდ ჩაამოკლეს. მალე ზვარტმოცის დასანახავში ქვალორღიან ხეობაში ჩავიდნენ... ხეობის მიწურულში ყარა-მეჩეთი გამოჩნდა.

ყველანი აქ დადგნენ... ამილახვარმა ზაზა განზე გაიხმო და ღელის ტალახიანი ნაპირი ჩაათვალიერა — ჯერ არავითარი კვალი არ ჩანდა...

— აბა ჩვენ აქ დავდგებით... — შენ კი ცხენი ჩვენთან დასტოვე და წადი!

მაგრამ ზაზას თავისი ვარაუდი ჰქონდა:

— ხევის მუხლს ჩასცილდით... იქ დადექით! ჩემს ცხენს კი მე წავიყვან.

ქოხსალამურა კი ცალკე დაარიგა:

— თვალი არ მოაშორო თავადს, აშკარა ღალატი თუ ნახო ხეობის თავში ამოაჭენე ცხენი, უზანგი ხმიანად ააჟღარუნე, იქ გავჩნდები...

— სადმე რომ წავიდეს თავადი! — თადარიგი დაიჭირა ქოხსალამურამ.

ზაზამ ორი ხელსახოცი ამოიღო.

— აჰა შენ, თუ შავად არის საქმე — შავი დაიხვიე ხელზე... თუ კარგად — თეთრი! მეც ასევე განიშნებ იმ მეჩეთიდან... მერმე ცალკე ვუშველი თავსა. ჩემი დარდი ნუ გექნება... სამი დღე არც არავის შეატყობინო!.

ხეობის თავში ჯაგიანი დახვდა... ცხენი დამალულად დააბა, თავად კი ყარა-მეჩეთში შევიდა.

შიგ არავინ იყო... იატაკზე ძველი, დახეული ხალიჩა ეფინა... მინარეთზე ბნელი ასავალი ადიოდა, მის ძირში კი, კედელში ძველი, დახურული და ჩაბნელებული განჯინა იყო... გარედან ბოქლომი ედო... მოსინჯა და ბოქლომის საკიდი რკინა ხელში მოჰყვა.

— ეს თუ არის! — შიგ ჩაჯდა და კარი მოიხურა.

განჯინას მაღლა თავკედელი არ ჰქონდა... შიგ ძველმანის უამური სუნი იდგა... არც არაფრის დანახვა შეიძლებოდა... არც გამოჩენა...

რკინა შიგნიდან დაამაგრა და მტრედების გალიაკი ხელმარჯვედ მოიდო. ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს აკლდამაში იჯდა... და აღდგომას ელოდა. თვალი რომ შეაჩვია, თავის უჩვეულო მდგომარეობამ უფრო შეაწუხა... ახლა საოცარი — არარაობის გრძნობა მოეძალა... აი თითქოს აღარც არსებობს და ეს ყველაფერი მხოლოდ მოუსვენარი ფიქრია... რომელიც აბორჯებს, აბორიალებს, აწამებს ვიდრე ასეთ, ან უფრო ბნელ სამარეში არ გამოიჭერს.

გარედან არავითარი ხმა არ მოისმოდა, მხოლოდ ერთხელ მტრედი შემოფარფატდა ჯამეში.

მერმე მსუბუქი ფეხის ხმა მოესმა... სმენად იქცა... ფეხის ხმა აჰყვა, განჯინის თავზე დაშენებულ კიბეს და ხვეულ-ხვეულად აისწრაფა მინარეთის თავანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე თითქოს შორიდან, ოდნავ წამღერებული ხმა გაისმა...

— ალაჰ, ილ ილა მუჰამედუნ რასულ ილა!..

ახლა დრო იყო... ალბათ ქვახრიოკა ხეობაში პირშებრული ქარავანი მოდის... მოლას ძახილზე ლოცვად დადგება. მცირე ხალიჩებს დააგებენ და სანამაზოდ აღმოსავლეთისაკენ პირს იბრუნებენ... ქალი, ჩადრიანი ქალი კი აქ მეჩეთში შემოვა და ალბათ ხმას გასცემს... მერმე კი ვეღარაფერი წარმოიდგინა ზაზამ.

უეცრად ხმები გაიგო... ქალი კი არა ქალები იყვნენ... სპარსულად მეტყველებდნენ... ვიღაცამ განჯინის ბოქლომსაც კი ჩამოჰკრა ხელი და გული აუძგერა...

ერთ ხანს ერთობლივი ყიყინი იყო ქალთა... მალე კარი ხმაურით გაიხურა და ჩურჩულში გადავიდა ხმიანი... და როგორც უეცარი ზარის ხმა, ქალის ხმამაღალი ლოცვა თუ მოთქმა გაისმა მეჩეთში...

გულის სიღრმიდან ამოსკვნილი ხმა ეცნაურა ზაზას... სპარსული სიტყვებიც გაარჩია.

— ხანუმებო, ვილოცოთ... ალაჰს შევავედროთ ჩვენი უძლეველი მეუღლის, შაჰინშაჰის კიდევ ახალი გამარჯვება!.. ვისაც როგორ ელოცება ისე ილოცოს... ფატმან... ზაჰირა... ლაჰილა... ზულეიკ-ბიბი...

მეტი ვეღარ დაიმახსოვრა ზაზამ.

„შაჰის ცოლებია!.. მთელი ჰარემი აქ მოუყვანია ჯიქთახანუმს. ახლა გარეთ საჭურისნი დგანან!“

— შენ ილოცე!.. ჩვენც აგყვებით!

— მე ქართულად მინდა ვილოცო... თქვენ ვერაფერს ვერ გაიგებთ... მარტო ნესტან-ხანუმმა იცის ქართული და ისიც ბანაკში დარჩა...

— ილოცე! ილოცე!.. ჩვენ არც არაბული გვესმის!..

და გაისმა ჯერ გაუბედავი, მაგრამ ხალასი ქართული სიტყვა:

—ღმერთო დაიფარე ჩვენი სამშობლო! შენ აღდგომის დღეს აღადგინე და დაიცავი განსაცდელისგან!.. ღმერთო! შეივრდომე მისი ტანჯული ერი.

მაგრამ უეცრად მლოცველმა ხმა აღიმაღლა და კილოცვლილად შესძახა: — შაჰინშაჰ, შაჰინშაჰ მზეზე მაღალო!!

ზაზა მიხვდა რომ ეს ქალებისათვის იყო შეძახებული...

— ნეტავ სად ხარ სამშობლოვ ჩემო!.. აქა ხარ თუ არა? ყველაფერი რიგზეა ნეტავ? მტრედი გაუშვი მტრედი... ჰოი შაჰინშაჰ!

განაბულმა ზაზამ ათრთოლებული ხელით გამოაღო გალიაკი და ფათურით შეჰყო ხელი, მტრედი ზევით ააფრინა.

ნიშნის ფრინველი შუქს მიეტანა და კარგახანს იბორიალა მეჩეთში.

— სარკმელი გაუღეთ... გაუშვით — ალაჰის ფრინველია!

სპარსულად ამეტყველდა ჯიქთახანუმი... მერმე ისევ ქართულზე გადავიდა.

— მე სულ უკანასკნელი გავალ... ხალიჩის ქვეშ ამოვდებ შაჰინშაჰის დასაწყნარებელ ბარათს...

ამ ჯერად „შაჰინშაჰი“ ზაზას ყურისთვისაც იყო...

ქალი წამღერებით მეტყველებდა... გარეგნულად ლოცვას ჰგავდა ყველაფერი, ალბათ პირაღმოსავლეთით იდგა და მიწამდე ხრიდა თავს... აკი სთქვა კიდევაც:

— ამ უცხო მიწას უნდა ვახალო თავი, ვითვალთმაქცო! მაგრამ სხვა გზა არ იყო და რა ვქნა!? უნდა ყველაფერი მეთქვა... ჯერ ბიძის შესახებ...

უეცრად მოაგონდა რომ შაჰინშაჰი დიდი ხანია არ უხსენებია და სპარსულ-ქართულად აყვირდა...

— ალაჰ მექპერ! შაჰინშაჰ! შაჰინშაჰ! ბიძის შესახებ!..

ზაზა მიხვდა რომ სახელების თქმას ერიდებოდა ქალი. ბიძა კი ალექსანდრე მეფე იყო.

— შაჰი მოხიბლულია, მაგრამ ვერაგობა ყოველთვის ძალავს... ასეთი კაცი თვით ირანსაც დასჭირდებაო, ჩრდილო ბანაკში არასგზით არ გაიშვებაო! მზაკვრობს, ჩუმათ მოსისხარობს... არ ენდოთ არა! მე მას ყველაზე კარგად ვიცნობ! ჰოი, შაჰინშაჰ!

— ჰოი, შაჰინშაჰ! — აჰყვნენ სხვა ცოლებიც.

— პირველზრახვად... ციხის ბრძოლის დროს მკვლელს უმზადებს! ბიძის ხერხით ციხის აღებას ჰფიქრობს. მოსი კი მოკვლას... და უსათუოდ ქართველის ხელით...

„ვინა ნეტა ვინ?“ — უნდა ეკითხა ზაზას... მაგრამ აბა რას ჰკითხავდა გახევებულ-გაშეშებული.

— არა მძევლის ხელით... არა მძევლისა! ეს მეორე ჯერად აქვს მიჩნეული, იერიშის დროს თავის მუზარადს უწყალობებს... არ დაიხუროს!.. არ დაიხუროს!

ჰოი, შაჰინშაჰ!..

— ჰოი, შაჰინშაჰ! — აეხმიანენ ქალებიც და თავები ახალეს იატაკს.

— ტყვეთა ლაშქარი, მზაკვრულად, ჩვენი ქვეყნის დასატყვევებლად არის ნაზრახი!.. იმიტომ მიუყენა მძევალს... ყველა გამრქცეული, ქვეყნის მოღალატე სულ მასთან არის... სულ მასთან არის!.. არ გაუშვებს ბიძას და თუ გაუშვა ღალატის ლაშქარს გააყოლებს!.. მაშინ თანამოსაყდრესაც სიკვდილი ელის — სიკვდილი ელის!..

ჰოი — შაჰინშაჰ! ჰოი — შაჰინშაჰ! — უკვე ცოლებმა შესძახეს თავად... ჯიქთახანუმი კი განაგრძობდა...

— თუ ამანაც არ გასჭრა... მაშინ რბევა... საყოველთაო რბევა ქართველთა! მაჰმადიან ტომების და იელების ჩამოსახლება!.. გადარჩენილ მკვიდრთა კი ერთობლივი გადასახლება შუაგულ ირანს!..

— ჰოი შაჰინშაჰ, ჰოი შაჰინშაჰ! — იძახოდნენ მლოცველი ცოლები...

ჯიქთახანუმი შედგა, სული მოითქვა...

— ახლა ვის უნდა ხმამაღალი ლოცვა?

— განაგრძე, შენ განაგრძე! — შესძახეს ქალებმა.

— კარგი ყოფილა ქართული ლოცვა! ძლიერი! გულდაგული!..

ჯიქთახანუმმა ერთი ამოიკვნესა...

— აღდგომა დღეს, ქართველი ქალი... მეჩეთში ვლოცულობდი საქართველოს ღმერთს!.. აჯიღიანმა ქალმა აქ მაინც გადავაგდე „შავი სიკვდილი!“

ზაზამ მკაფიოდ გაიგო ჩადრის შრიალი... მას თვალები დიდი ხანია დახუჭული აქვს — სმენას იმახვილებს... და აი საოცრება... ხედავს, დახუჭულ თვალებით, დახშულ კარის იქით მომხდარს ხედავს და ხედავს!

...თამარია, აი სდგას სხვა ქალთა თუ ცოლთა შორის... მოუტევებელი სილამაზისა, განწირული მშვენებისა, მოწამებრივ აღგზნებისა... ცეცხლივით მწველ ხიბლვისა...

— ქართველი ქალი იტყვის ამას, ქალი რომელმაც დიდებაც ნახა და დამცირებაც... რომელსაც ბედმა არგუნა სხვისი ჯიშის გაკეთილშობილება!.. თვისის დაკნინება და დადაბლება... მტერს შვილები გაუჩინა და ოდესმე ისინი დაარბევენ დედის სამშობლოს!..

...ქალი — ჩადრისა და ჩრდილის ყვავილი — შავი ყარამფილი!.. შავი ყარამფილი!

—ვალაი! ბილაი! თალაი!

— ვალაი! ბილაი! თალაი! — ლოცულობდნენ ქალები.

— რა თავში სახლელია დამონებული დიდება, ოქროს ზარნიშიანი გალიაკი!.. მე გულ-ღვიძლგამოჭმული, განცხრომაში განწირული შავი ჩადრის დედოფალი ვარ!.. სულ მიცვალებული — რით არ სჯობია სულით მიცვალებულს... სად არის ჩემი ახალგაზრდული ოცნებანი, გატაცებანი, ქალური თავმომწონება თუ ქართული თავისუფლება?!

ქართველ ვაჟკაცებს ხომ ვარამი გჭირთ — მაგრამ ასწილ უარესია ჩვენ ქალთა ბედი!.. სად არის ჩემი დაკარგული მანდილოსნობა!

— ვალაი! ბილაი! თალაი! — გაიძახოდნენ ქალები — ზოგ მათგანს ცრემლიც ადგა თვალებზე — ქალი ხომ მუდამ ცრემლით ავსებს გაუგებრობის ხარვეზს!..

— ქართველი ქალი ჩადრის შავში, უსამშობლობაში ჩაკარგული და არარად ქმნილი ვჩივი საქვეყნოდ... მე არც დედობა ვიცი — ჩემი ძენი ძალადობისა და დამონების ნიშნებია!.. ღმერთო თუ მისმენს ვინმე!

ჰოი, უთხარით ტოლებს! ყველაფერი მქონდა... სილამაზე, ნიჭი... მხნეობა, უტკბილესი სამშობლო... და ახლა არარასაგან არარაი მაქვს!

ერთი ქართული ღვთიური სიტყვა — სიცოცხლედ მიღირს! სიცოცხლედ...

— ქრისტე აღსდგა!

„ვაი შე საცოდავო! შე უბედურო! ხმა როგორ ამოვიღო — როგორ დაგღუპო? დავღუპო საქმეც“ — ბნელში იბუგებოდა ზაზა.

— მტრედი მაინც გაუშვი, მტრედი!

ზაზას ხელები გაუშეშდა... ძლივს მოერია თავის თითებს.. გალიაკიდან ამოუშვა მეორე მტრედიც... ისიც მაღლა შეაფრინა... მტრედი გადაევლო განჯინის კარკედელს და შავი ყარამფილის სამყაროში გადაფრინდა.

— აიაშა შაჰინშაჰ! — ატაცებულად შესძახა ჯიქთახანუმმა.

— აიაშა შაჰინშაჰ!.. აჰყვნენ ქალები.

— ვაჰმე რომ ქრისტე აღსდგა, მაგრამ მას სამარე მაინც ჰქონდა... მე კი უსამარო ვარ... უსამარო მიცვალებულის აღდგომა ვინ გაიგონა?!

...ზედაც ვიღაცეები — ალბათ საჭურისნი შემოვიდნენ და შეიქმნა სპარსული ჩქარსიტყვაობა და ჩარბულალა.

ზაზამ იგრძნო — ქალებმა იწყეს გასვლა...

მერმე ვიღაცამ ბოქლომს ისევ ჩამოჰკრა ხელი. თითქოს გული ჩამოსწყვიტა... ისიც წავიდა, თან წაიღო უსაშველო, ამქვეყნიური მდურვა და ყარამფილივით შავი სევდა...

ახლა ზემოდან ხვეულ კიბეს ჩამოჰყვა ფეხის ხმა... თავზე გადაუარა ზაზას და კარი გაიჯახუნა... სრული სიჩუმე ჩამოვარდა... ზაზამ კიდევ დააყოვნა და ბოქლომიანი რკინა დასძრა, გაღრიჭა კარი, გაიხედა... მეჩეთში აღარავინ იყო... ზაზა უცბად დატრიალდა, გალიაკი გამოიტანა, განჯინა ისევ ძველებურად და[illegible]ტა...

— არაფერი არ დამავიწყდეს! არაფერი არ დამავიწყდეს! — და კინაღამ დაავიწყდა... დახეულ-დაცვეთილი ხალიჩა გადასწია... იქ არაფერი იყო...

—ნეტავ სად იდგა თამარი! — ხალიჩას დააკვირდა — განჯინის მხარეზე შავი ყარამფილი ეგდო... ხალიჩა ასწია... აქ იდო თეთრი წერილიც — „ალექსანდრე მეფეს — ჩემს ბიძას, საკუთრივ!“ ზაზამ ყარამფილიც აიტაცა და წერილიც... ერთიც მოავლო თვალი მეჩეთს... გარეთაც გაიხედა, არაფერი საეჭვო არსად არ იყო. ახლა მინარეთზე აირბინა... შეუმჩნევლად დაზვერა გარემო... თავის ცხენი, თამარისეული თეთრა-იაბო დაინახა... შორს ქვევით... აქლემ-ქარავანი მიდიოდა. კუზიან ცხოველებს ზურგზე დახურული ტახტრევანები ედგათ...

უფრო ქვევით კი ხეობაში ჩასაფრებული ჯგუფი შეამჩნია... იქით, მათთან მიიჩქაროდა ცხენოსანი... ზაზამ ცხენის ფერზე იცნო...

— ამილახვარი მარტო მიდის... ახლა კი დამასმენს!

...და მართლაც — ქოხსალამურას შავი ხელსახოცი ეხვია... ზაზამ კი თეთრი მოუფრიალა. უმალ ჩაირბინა კიბეები, გალიაკს დასტაცა ხელი, გარეთ გავარდა — ცხენს მიაშურა... მოახტა და ხეობა აღმა აიმოკლა...

ცხენმა თუ იგრძნო პატრონის ფორიაქი და სულ ჭენებით აასკდა აღმართს. ერთიც მოჰხედა ზაზამ ყარა-მეჩეთს... გალიაკიც ხევში გადასტყორცნა და უგზოუკვლოდ გაჰქუსლა...

. . . . . . . . . . . . . . .

ამილახვარი გამობრუნდა, თავისი მეგზური და ქოხსალამურა მონახა... — ვიჩქაროთ, ცუდად არის საქმე... ვგონებ თურქების თარეშია?..

... და მართლაც ოციოდ კაცი ხეობას ჭენებით აჰყვა. ყარა-მეჩეთს თავს დაუარა და შიგ შეიჭრა...

— ვაიმე ზაზავ! — შესძახა ქოხსალამურამ და აჩქარებულ ამილახვარსა და მის მეგზურს, როგორც ზაზასგან ნათქვამი ჰქონდა, უკან გაჰყვა.

ყარა-მეჩეთში მაჰმად-ხოჯა პირველი შევიდა... იმედიც ჰქონდა — ზაზა, მას — პირშებრულსა და აბჯარ-ჩაჩქანში ჩამჯდარს აბა რას იცნობდა...

მაგრამ ყარა-მეჩეთში ორი მოღუღუნე მტრედის გარდა არავინ იყო...

ირგვლივ მზვერავი და მდევარი გაუშვა მაჰმად-ხოჯამ...

— ოჰ, ეს ბებერი თავადი!.. კაცი ან სულ გამცემი უნდა იყო, ან სულ არა! ნახევრად გამცემი, ნახევრად პატიოსანი — აბა რაღა საქციელია! გულწრფელად ჯავრობდა ხოჯა და ზაზას დაკარგულ კვალს დაეძებდა...

ბოლოს დარწმუნდა რომ „ადგილზე“ ვეღარ ჩაიჭირა მსხვერპლი და უკან გაიჩქარა, ბანაკის მისავალი გზები შეკრა.

— აქ არ უნდა მოვიდეს — სად წამივა?.. თან შიშობდა კიდევაც, იქნებ კარგიც იყო რომ გაასწრო ზაზამ... მართალია მან „გააფრთხილა“ ზაზა... აქოჩრილ ვარკვლავის“ დაღის ვალიც მოიხადა... მაგრამ თავადაც რომ „დადაღავენ“ ზაზას—ვინ იცის რა ხასიათზე დადგება და რას იტყვის.

...მაგრამ შაჰინშაჰის უშუალო ბრძანება „პყრობა“ იყო... და ჯიქთახანუმის ნათქვამის, ან წერილის დაჭერა!!

ჰოდა ზაზას თავი გადარჩენილი რომ ეგონა, უკვე კახთ-ბანაკის მისავალში უცბად წააწყდა ჩასაფრებულ სარანგს. ზაზა გაჰკოჭეს და ჩააგდეს დილეგად ამოთხრილ ორმოში.

ჩხრეკის დროს ჯიქთახანუმის თეთრი წერილი წაართვეს, თორემ შავი ყარამფილი ვის რად უნდოდა.

# ყარამფილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობის კიდევ ერთი ფაქტი

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვანმა მჭიდრო ეკონომიურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა ურთიერთობამ წარმოშვა სახელოვანი პლეადა მოღვაწეებისა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ორი ერის ურთიერთ მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ცნობილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი, პოეტი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი აბას ყული ბაქიხანოვიც (1794-1847 წ.), რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გრიგოლ ორბელიანთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გიორგი ერისთავთან.

როგორც ცნობილია, ბაქიხანოვი კარგა ხანს ცხოვრობდა თბილისში. მას რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი საქართველოსადმი. ამ ლექსებით იგი უმღერის თბილისს, ქართველ ხალხს, ქართველი ქალის სულიერ და გარეგნულ სილამაზეს.

თბილისში ხანგრძლივი ცხოვრებისას ბაქიხანოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქართველ მოღვაწეებთანაც. მათ შორის, როგორც ქვემოთ მოტანილი დღემდის უცნობი დოკუმენტით დადგინდა, ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწესთან მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილთანაც (1784-1858). ამას ამტკიცებს იმ ლექსის ავტოგრაფი, რომელიც ბაქიხანოვს 1842 წ. ჩაუწერია მ. ბარათაშვილის პირად საოჯახო ალბომში და მიძღვნილია ქართველი ქალისადმი. ეს ალბომი ამჟამად მოსკოვის საისტორიო მუზეუმის წერილობით წყაროების განყოფილებაშია დაცული.

ლექსის ავტორს აქ მოცემული აქვს როგორც აზერბაიჯანული ტექსტი (არაბული და რუსული ტრანსკრიპციით), ასევე ამ ლექსის რუსული ბწკარედული თარგმანიც:

«Роза ли это, нет роза не
имеет подобной улыбки,
Солнце ли это, нет солнце
ночью не светит,
Сказал бы я ангел, но он
любви не знает,
Это девица, которой должны
все восхищаться».

(ნუთუ ვარდია, არა, ვარდს არა აქვს
მსგავსი ღიმილი,
ნუთუ მზე არის, არა მზე ღამით
როდი ანათებს,
იქნებ ანგელოსია, მაგრამ მას
სიყვარული არ შეუძლია,
იგი ქალწულია, რომლითაც ყველა
უნდა აღფრთოვანდეს).

მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაშვილი, რუსეთის საარქივო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, საუკეთესო მეომარიც იყო. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1806 და 1812-14 წლების რუსეთ-საფრანგეთის ომებში. დეკაბრისტული იდეებისადმი თანაგრძნობისათვის იგი 1826 წელს დაუპატიმრებიათ კიდეც.

1839-1843 წლებში მ. ბარათაშვილი მსახურობდა თბილისის საბჭოს უფროსად.

როგორც ლექსის ჩაწერის თარიღიდან ჩანს, ბაქიხანოვისა და მ. ბარათაშვილის მეგობრობასაც სწორედ ამ ხანებში ჩაჰყრია საფუძველი.

ს. ლეკიშვილი



# ორიოდე სიტყვით

...ყირგიზეთში აღმოაჩინეს ნავთის მდიდარი საბადო, რომლის ექსპლოატაცია უახლოეს ხანებში დაიწყება.

...საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელს 5 ათას კილომეტრამდე გაიყვანენ ახალ რკინიგზას.

...გეოლოგებმა უკრაინაში მიაკვლიეს მიწისქვეშა ზღვას, რომლის ფართობი აზოვის ზღვას უტოლდება.

...მთელს მსოფლიოში კინოთეატრების რაოდენობა უკანასკნელ 12 წლის მანძილზე 95 ათასიდან 167 ათასამდე გაიზარდა.

...1961 წელს კაპიტალისტურ ქვეყნებში 1.800 ათასი კილოგრამი ოქრო მოიპოვეს.

...დეტროიტში (აშშ) დაარსდა ე. წ. „სიდედრებთან მეგობრობის" საზოგადოება, რომლის ძირითადი ამოცანაა ბრძოლა აწარმოოს სიდედრების შეურაცხმყოფელ მახვილსიტყვაობასთან.

...იუგოსლავიის ერთ-ერთ სოფელ ნადიუგორიეში ფოსტა დააქვს... სახედარს. სოფლის მცხოვრებნი კმაყოფილებით აცხადებენ, რომ სახედარი სამაგალითო ფოსტალიონია.

...იტალიის პატარა ქალაქ ვოლიტერს ამას წინათ ბაყაყები შეესივნენ. მათ აავსეს ქუჩები, მოედნები, სახლები. მოსახლეობა რამდენიმე დღე იბრძოდა ბაყაყებისაგან ქალაქის გასაწმენდად.



იმ დღეს უჩვეულო სიხარული სუფევდა ბონდო გრიგოლიას ოჯახში. მოხუცი ცოლქმარი მოუთმენლად გასცქეროდა გზას, რომელზეც თბილისიდან მომავალი სტუმარი უნდა გამოჩენილიყო... სტუმარი კი არა, ოჯახის ღვიძლი ადამიანი, ოცი წლის უნახავი შვილი...

სანატრელი წუთებიც დადგა. გრიგოლიას ეზოსთან შეჩერებული მანქანიდან გადმოვიდა საზღვაო მუნდირში გამოწყობილი მომღიმარი კაპიტანი. როცა მის შესაგებებლად წამოსულ ხელებგაშლილ ბონდოს და მის ჭაღარა მეუღლეს მოჰკრა თვალი, ომის ქარცეცხლში ნაწრთობ კაპიტანს ძალამ უმტყუნა და ბავშვივით აქვითინებული გადაეხვია მახლობელ ადამიანებს.

...დიმიტრი ანკინი მოსკოვის ახლოს, სოფელ ვეშლოვკაში დაიბადა 1915 წელს. 6 წლისა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. დედინაცვლის სიბოროტემ და ლოთი მამის მიერ გამუდმებულმა ცემატყეპამ, იგი იძულებული გახადა მშობლიურ სოფელს გასცლოდა და მაწანწალობა დაეწყო.

იგი მალე შრომაგასწორების ბანაკში მოხვდა, საიდანაც ერთ-ერთ დიდ მშენებლობაზე გაგზავნეს. მშენებლობის უფროსის ბონდო გრიგოლიას ყურადღება თავიდანვე მიიპყრო გულჩათხრობილმა და შრომისმოყვარე დიმიტრიმ, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა უფროსების დავალებებს.

შრომა-გასწორების ბანაკიდან დიმიტრის განთავისუფლების შემდეგ ბონდო გრიგოლიამ იგი თავისთან წაიყვანა. ცოლქმარმა შვილივით შეიყვარეს მშობლიურ ალერსს მოწყურებული ახალგაზრდა, რომელმაც რამდენიმე წელი დაჰყო მათთან.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ბონდო გრიგოლიას ოჯახი თბილისიდან დუშეთს გადავიდა საცხოვრებლად. გრიგოლიებმა და მათმა შვილობილმა ერთმანეთი დაჰკარგეს.



სამამულო ომის შემდეგ ლენინგრადში დაბრუნებულმა დიმიტრი ანკინმა რამდენიმე წერილი გამოგზავნა თბილისში, რომლებიც უკანვე დაუბრუნდა. მაშინ დიმიტრიმ მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსულიყო და მოეძებნა თავისი აღმზრდელები...

ლენინგრადიდან ახლა ხშირად მოდის ამანათები, რომლებსაც ლამაზი ასოებით აწერია: „დუშეთი, ბონდო სამსონის ძე გრიგოლიას". საზღვაო ფლოტის კაპიტანი დიმიტრი ანკინი თავისი ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ წერს აღმზრდელებს და ჰპირდება, რომ მალე, სულ მალე თავისი სტუმრობით კვლავ გაახარებს მათ.

გ. ნადარეიშვილი.

# სეისმური სადგური

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუტის ცენტრალური სეისმური სადგური 60 წლის წინათ დაარსდა. ამჟამად იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერული დაწესებულებაა.

სადგურში დადგმულია ახლო და შორეული მიწისძვრების მექანიკურად და ფოტოელემენტით ჩამწერი აპარატები, რომლებსაც შეუძლიათ შეუცდომლად აღნუსხონ 15.000 კილომეტრის მანძილზე მომხდარი მიწისძვრები.

მაგალითად, კამჩატკის 1961 წლის 10 იანვრის მიწისძვრა თბილისის სეისმურ სადგურში 10 წუთის შემდეგ გაიგეს, ასევე 1957 წელს ჩილიში მომხდარი მიწისძვრა 10 წუთში აღიბეჭდა სეისმოგრაფზე.

სეისმური სადგურის მგრძნობიარე ხელსაწყოები დღედაღამის განმავლობაში ხშირად რამდენიმე ასეულ მიწისძვრას აღნიშნავენ. საქმე ისაა, რომ დედამიწის ყველა ეს „ამოსუნთქვა" შესამჩნევი არაა ჩვენთვის. ადამიანს შეუძლია გაიგოს მიწისძვრა, თუ იგი 3 ბალამდე აღწევს. 8 ბალიანი მიწისძვრა კი შენობების ნგრევას იწვევს.

თბილისის ცენტრალური სეისმური სადგურის გარდა რესპუბლიკაში მუშაობს რამდენიმე სეისმური სადგური. წელს ახალი სეისმოგრაფებით აღჭურვილი სადგურები გაიხსნება ლაგოდეხში, ონში, აჭარაში და სხვა ადგილებში.

ნ. სახელაშვილი

# დები ჩაქვიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პლანტაციაში

ხუთიოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მაყვალა ჯინჭარაძემ მორცხვად შეაღო კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტის კარი და მეჩაიეთა რგოლში ჩარიცხვის ნებართვა ითხოვა.

— სათვალავში კი შეგვემატა მუშახელი, მაგრამ რა სიკეთის გაკეთება უნდა შეძლოს ამ კაფანდარა ქალიშვილმა? — ძლივს დაიოკა თავმჯდომარემ პირზე მომდგარი სიტყვები.

—რამდენიმე დღეში გამოიარე, გაღმა უბანში გაგაგზავნი ხელის გასაწაფავად... აბა შენ იცი, ბიძიკო, იქნებ ივარგო საქმეში! — ცალყბად გაუღიმა სოფლის თავკაცმა მაგიდასთან ატუზულ ქალიშვილს...

„იქნებ ივარგო საქმეში,“ — ახლა დანანებით გაიხსენებს ხოლმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის ორჭოფულად ნათქვამ სიტყვებს. ნოვატორი მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირის მაყვალა ჯინჭარაძის სახელს ახლა კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ამ მკლავმოუღლელი ქალიშვილის შესახებ ბევრს წერენ ჟურნალებსა და გაზეთებში, მისი სამაგალითო შრომის ამბებს გადმოსცემენ რადიოთი და ტელევიზიით.

თავდადებული შრომითა და დაუცხრომელი ძიებით აღსავსე გზა განვლო მაყვალამ, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მეჩაიეს საპატიო სახელს დაიმკვიდრებდა. შეუმცდარი გუმანი თავიდანვე უკარნახებდა ქალიშვილს, რომ მარტო მონდომება და საქმის სიყვარული საკმარისი არ იყო საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. პლანტაციაში მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე მაყვალა გულმოდგინედ შეუდგა მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების შესწავლას. სწავლამ და ძიებამ, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომამ, ახლის გაბედულად დანერგვამ, კრეფის ოსტატობის სრულყოფამ საშუალება მისცა მას უმოკლეს ხანში გაევლო ის მანძილი, რასაც ხშირად რამდენიმე წელი სჭირდება ხოლმე.

მაგრამ მაყვალა ჯინჭარაძეს პირადმა წარმატებებმა გული როდი დაუმშვიდა.

სახელოვანმა მეჩაიემ შარშან ახალგაზრდული რგოლი ჩამოაყალიბა, რომელშიც ოთხი და: სურიე, ეთერი, გულთამზე და მაყვალა ჯინჭარაძეები გაერთიანდნენ.

ახალგაზრდული გზნებითა და მონდომებით მიეძალნენ საქმეს დები. გულდაგულ გადაბარეს ნაკვეთი, სადრენაჟე არხები და წყალსაწრეტები გამოიყვანეს, პლანტაციაში საჭირო რაოდენობით შეიტანეს ორგანული, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები.

მაყვალას ხელმძღვანელობით ახალბედა მეჩაიეებმა აგროწესების ზუსტი დაცვით ჩაატარეს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, გასხვლის დროს ძირითადად ღრმად გადაჭრის მეთოდი გამოიყენეს, რითაც ბუჩქების სწრაფი ზრდისა და მეტი ფოთლის გამოღების საუკეთესო წინაპირობა შექმნეს. რგოლის წევრებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ საკრეფი ფართობის გაზრდის მიზნით ნახევრად ოვალური ფორმა მიეცათ ჩაის ბუჩქებისათვის.

განსაკუთრებით პასუხსაგები პერიოდი დადგა პლანტაციებში საკრეფი დუყების ამოზრდის შემდეგ. მაყვალა ჩვეული გულმოდგინებით უხსნიდა თავის დებს, თითოეულ ბუჩქს განსაკუთრებული სიფრთხილითა და მზრუნველობით მოპყრობოდნენ. მან კარგად იცოდა, რომ შემოუსვლელი ფოთლის სახით ჩაის ბუჩქებზე მოსავლიანობის დიდი რეზერვი არსებობს. ზოგიერთი კოლმეურნე დაუფიქრებლად კრეფს შემოუსვლელ ფოთოლს, რითაც დიდად ამცირებს მოსავლიანობას. მაყვალას რჩევით კი რგოლის წევრებმა იმგვარად განტვირთეს პლანტაცია, რომ მასში ყოველთვის უხვად იყო საკრეფი დუყები.

თავდადებულმა შრომამ მალე თავისი შედეგი გამოიღო. 1,25 ჰექტარ ფართობზე დებმა გეგმით გათვალისწინებული 11 ტონის ნაცვლად 26 ტონა მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

მაყვალა ჯინჭარაძემ კვლავ ისახელა თავი და 12 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რითაც 23 ტონამდე აიყვანა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა...

— არც ესაა საკმარისი, შვიდწლედის მეოთხე წელს სულ ცოტა 40 ტონა ჩაის ნედლეულს მივცემთ ქვეყანას! — განაცხადეს დებმა. განაცხადეს და შემოდგომიდანვე გულმოდგინედ შეუდგნენ ახალი ზღუდის აღებისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრას...

ვარდობისთვის თბილი და საამო დღეები დგას. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრები მინდვრად არიან გასული. ხავერდოვან ჩაის პლანტაციებში დილიდან საღამომდე არ წყდება ჭილისქუდიანი მკრეფავების ხალისიანი ჟრიამულის ხმა.

მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ბობოყვათელმა კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს 718 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ამ საპატიო ვალდებულების წარმატებით შესრულება კი თითოეული მეჩაიესაგან გაორკეცებული ძალითა და მონდომებით შრომას მოითხოვს.

— 16 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი, ასეთი იქნება ჩემი წვლილი საერთო საქმეში! — გვეუბნება პლანტაციაში მოფუსფუსე მაყვალა.

ახალგაზრდული რგოლის წევრებმა ყოველგვარი სამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს. ახლა ყველაფერი მათ ოსტატობაზე და ფოთლის კრეფის სისწრაფეზეა დამოკიდებული.

**ტ. ჯანიაშვილი.**

62

# ყოველ გაზაფხულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

ყოველ გაზაფხულს მგალობელი ჩიტივით ვხვდები,
ყოველ გაზაფხულს მოაქვს ჩემთვის უცნობი ხმები,

უცნობი თრთოლვა ამ ნაცნობი მწვანე ფერების,
უცნობი ხილვა ამ საოცარ მშვენიერების.

სხვა იყო შარშან და შარშანწინ იების ფერი,
სურნელი ვარდთა და ბუბუნი მდინარის ჩქერის.

მგონია ეს გზაც მწვერვალისკენ სხვანაირ უხვევს,
მოდი, უსმინე ამ ალუჩებს, ალვებს და მუხებს,

არ შრიალებენ, დამიჯერეთ, ადრინდელ ხმაზე
და სხვანაირად ითრთოლებენ უთუოდ ხვალ-ზეგ.

შარშანდელს არ ჰგავს ამ ბრიალა აპრილის სუნთქვა,
არ იმეორებს, რაც ოდესმე თვითონვე უთქვამს.

ცვარი რა არის, სხვანაირად ელავს დილ-დილით, —
განმეორება ეჯავრება, როგორც სიკვდილი!

ბუნება ბრძენი, გულკეთილი და მწყალობელი,
ალურიცხველ და ალუწერელ განძთა მფლობელი,

გაზაფხულს აძლევს გაუხუნარ ხმებს და ფერებს:
— აჰა, სიუხვე მიუთვლელი, ხატე და სწერე,

დაცხრები ნულარ, ფუნჯი ხელში გიპყრია ვიდრე!
და სწერს, და ხატავს გაზაფხული მთებსა და მინდვრებს.

არც ერთი ბგერა გაგონილი და შარშანდელი!
მაინც სადა აქვს ამ ბედნიერს ძალა ამდენი!

არც იხარჯება, არცა ჰქრება, აღარც ილევა
და დედამიწას ეფინება ვარდყვავილებად.

ზეცის კაბადონს ესხურება მისი ნათელი,
როგორც ვარსკვლავთა იდუმალი კორიანტელი.

კვირტებისა და იმედების დგას ნიაღვარი,
და ყველაფერი, და ყოველი არის სხვაგვარი,

რაღაც ახალი, უნახავი და საოცარი,
თავისებური, საალერსო და სალოცავი...

ყოველ გაზაფხულს მე ჩიტივით ამიტომ ვხვდები,
ყოველ გაზაფხულს მეძახიან უცნობი ხმები!

## ხვალის იმედი ჰქონდათ...

ვ. ჯავახაძე

ხვალის იმედი ჰქონდათ ბოლომდე, —
მკვდარი არ ეთქმის; ვინც მოკვდა დღემდე:
სანამ ცოცხლობდნენ,
ჩვენთვის ცოცხლობდნენ,
ჩვენში ცოცხლობენ სიკვდილის შემდეგ.
მაგრამ არსებობს მკაცრი ოცნების
კაცი, რომელიც აშინებს დედებს,
მას სურს გასწყვიტოს ყველა ცოცხლები
და მათთან ერთად—ვინც მოკვდა დღემდე.
მას სურს გადასწვას მშვიდი სახლები
და დედამიწა დაჰფაროს ლეშით,
მაგრამ თანდათან ხმას იმაღლებენ
მკვდრები, რომლებიც ცოცხლობენ ჩვენში.
და თუ ცოცხლების არა აქვს დარდი,
უნდა ზრუნავდეს ბოლოს და ბოლოს
ხალხი,
რომელიც მიწაზე დადის,
ხალხზე,
რომელიც მიწაში ცხოვრობს.
მაშინ მარადი დარი გვექნება
და ცეცხლში აღარ დავინაცრებით,
დაგვადგებიან თავზე ძეგლებად
უიარაღო ჯარისკაცები.



ვინ იცის რამდენ საინტერესო მოგონების ფურცელს ინახავს ეს სურათი (ზემოთ). იქნებ სურათზე აღბეჭდილი ადამიანები ბევრმა ვერც იცნოს, მაგრამ ის, ვინც იმ დღეს ამ დარბაზში სუნთქავდა, ფიქრობდა, იღვწოდა ქართული თეატრის მომავალზე, თუ დღესაც გული უცემს, დახედავს სურათს და უთუოდ გაიხსენებს თითოეულ მათგანს...



იდგა 1914 წელი, ივნისის თვე... იქ, სადაც ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრია, შეიკრიბნენ ქართული თეატრის მოამაგენი, თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, თვით დიდი მგოსანი აკაკი წერეთელიც ესწრებოდა ამ თავყრილობას. აქ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა ტარდებოდა.

## ორი სამახსოვრო დღე

მას შემდეგ განვლო თითქმის ნახევარმა საუკუნემ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ახალი მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, თეატრალურ ხელოვნებაში. ქართული თეატრი დიდ აღმავლობის გზას დაადგა. გაიზარდა და განვითარდა თეატრალური ხელოვნება. ხელოვნების სახელმოხვეჭილ ტალანტებს გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდა მსახიობები, დრამატურგები, რეჟისორები, რომლებიც მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებენ.

და აი, კვლავ, ახლა უკვე უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, როცა მეხუთედ შეიკრიბა თეატრალური საზოგადოება, მოსულთა შორის პრეზიდიუმში და დარბაზშიც გამოჩდნენ პირველი დამფუძნებელი ყრილობის ვეტერანები: ი. გრიშაშვილი, აკ. ფაღავა, ქართული სცენის მშვენება ნინო ჩხეიძე. კვლავ გაისმა მისი ხმა. ამჯერად, მან როგორც უხუცესმა წევრმა, ყრილობა გახსნა. დარბაზში დიდხანს არ დაცხრა ტაში — დიდი მსახიობის პატივსაცემად.

ყრილობაზე თეატრალური საზოგადოების მუშაობის ვრცელი ანგარიში წარმოადგინა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიხეილ მრევლიშვილმა.

მოხსენების გარშემო დიდი კამათი გაიმართა. სიტყვებში გამოვიდნენ თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები, კრიტიკოსები, მსახიობები. მათ ბევრი იმსჯელეს თანამედროვე დრამატურგიაზე, თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე.

მეორე სურათზე აღბეჭდილია მეხუთე ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

გაივლის წლები. ბევრი რამ ახალი მოხდება. ბევრი შეიცვლება. ეს სურათი დარჩება, დარჩება ისევე როგორც პირველი და შთამომავლობას გაახსენებს მეხუთე ყრილობის მონაწილეთა სახელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ინჟინერი დ. ციციშვილი მხატვართა დიდი გულშემატკივარია. ორი წლის მანძილზე მან ორასამდე სხვადასხვა მხატვრის ნამუშევარი შეაგროვა. კვირეულის დღეებში რუსთავში მოეწყო ამ კოლექციის გამოფენა, რომელიც დიდძალმა ხალხმა ინახულა.



მხატვარი ელენე ახვლედიანი ბოშური ცეკვისათვის ემზადება. თურმე არც ისე იოლი ყოფილა ეს სამზადისი.



# მხატვრის კვირეული



მოქანდაკე სილოვან კაკაბაძის სახელოსნო ამ დღეებში ყველასათვის ღია[illegible]



ჩვენი ეპოქა კომუნიზმის გამარჯვების ეპოქაა. საერთაშორისო პროლეტარიატის. მთელი მოწინავე კაცობრიობის ნათელი მიზნებისა და მისწრაფებების გამარჯვების ეპოქა. კომუნიზმი დღეს უკვე გადაქცეულია თანამედროვეობის უდიდეს ძალად. რომლის აკვნის დამრწევი და მებაირახტრე რუსეთის პროლეტარიატი იყო

დედამიწის უზარმაზარ სივრცეებზეა გადაჭიმული ახალი სამყარო. შექმნილი და განმტკიცებული მუშათა კლასის. მთელი მშრომელი ხალხის კუნთმაგარი ხელით. სამყარო თავისუფალი შრომის. ბედნიერი ცხოვრებისა და დიადი მომავლის გრანდიოზული მშენებლობებისა. რომელიც ფანტასტიკური ტემპით მიმდინარეობს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი. რომ სოციალისტური ქვეყნების საერთო ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა აჭარბებს 14 პროცენტს. მაშინ. როცა. კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი ნ პროცენტს არ აღემატება

მილიარდზე მეტი ადამიანი აშენებს ახლა კომუნიზმის სხივნათელ შენობას, მილიარდზე მეტი ადამიანია










დამდგარი იმ ბრძოლებისა და გამარჯვებების გზაზე. რომელიც ისტორიამ დაუსახა მუშათა კლასს. მთელს საერთაშორისო პროლეტარიატს

ახალმა საზოგადოებამ შექმნა ახალი ადამიანი. და ეს ადამიანი დევგმირული ნაბიჯებით მიემართება თავისი მიზნისაკენ შრომაში. სწავლაში, დასვენებასა თუ კოსმოსში გადადგმული პირველი ნაბიჯით გამოწვეულ სიხარულში იგი რჩება დიდ შემოქმედად, ახალი ცხოვრებისა და სამყაროს მბრძანებლად.





პროლეტარიატის ძლევამოსილი გამოსვლები სულ უფრო არყევს და აზანზარებს ბურჟუაზიული საზოგადოების ისედაც ძირმომპალ საყრდენებს. სულ უფრო იზრდება მშრომელთა ფართო მასების ბრძოლა უუფლებობის, ძარცვის, ომისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის წარმმართველ და მაორგანიზებელ ძალას საერთაშორისო მუშათა კლასი წარმოადგენს.

თავისი მზის ჩასვლისა და დაღუპვის პერიოდში შესული კაპიტალიზმი ღრმა და გამოუვალი კრიზისების მარწუხში მოქცეული. დღითი დღე ეცემა მისი ეკონომიკა, იხრწნება მისი პოლიტიკური აპარატი, უმუშევრობა მის მუდმივ თანამგზავრადაა გადაქცეული. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეისათვის 7 მილიონ 400 ათასი მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარია.

მწვავდება და ფართოვდება კლასობრივი ანტაგონიზმი. ოფიციალური მონაცემებით, 1959 წელს კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 41 მილიონზე მეტი მშრომელი, 1960 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 53 მილიონამდე. ხოლო 1961 წელს კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვმა 60 მილიონს გადააჭარბა.





ამ ფოტოებზე თქვენ ხედავთ პარიზის პროლეტარიატის მძლავრ დემონსტრაციას, გამოწვეულს ნეოფაშისტ ოასელთა თავხედური გამოხდომებითა და საფრანგეთის მთავრობის უმოქმედობით, პოლიციურ რეპრესიებს გაფიცული მუშების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში, გაფიცულ იტალიელ მუშათა პიკეტს და ბრაზილიელ პროლეტართა გრანდიოზულ მიტინგს, და ბოლოს, ბელგიელი მუშების მიერ მთავრობის ჯარებსა და პოლიციასთან შეჯახების დროს დაღუპულ ამხანაგთა დაკრძალვას, რაც მშრომელთა მრავალათასიან საპროტესტო დემონსტრაციაში გადაიზარდა.



ადამიანთა ჩაგვრისა და ტანჯვის სამყარო თავის აღსასრულს უახლოვდება, კომუნიზმი კიდევ უფრო მძლავრად იპყრობს ჩვენს პლანეტას, კიდევ უფრო ღრმად იჭრება მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებაში.



# მუშათა კლასი








დეკორატიული მოტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატურმორტი



სენის სანაპიროზე



იმერეთი



# დავით კაკაბაძე

## ვახტანგ ბერიძე

დავით კაკაბაძის სახელი განუყრელია საქართველოს ბუნებისაგან. ჭაბუკობიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი გატაცებული იყო ჩვენი მშობლიური ქვეყნის ბუნებით. მისი ასეთი ლტოლვა ბუნებისადმი გასაგებია. მხატვარს თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქვეყანა, იტაცებდა მისი სილამაზე და ყველაფერი ეს დიდი სიფაქიზით გადაჰქონდა ტილოზე.

დიდია დავით კაკაბაძის ღვაწლი სამშობლოს წინაშე. იგი არ იყო მარტო ფერმწერი და გრაფიკოსი. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს, ქართულ კინემატოგრაფიას. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე, გახლდათ ქართული ხელოვნების ერთ-ერთი გულშემატკივარი და მემატიანე, რომელთა შესწავლაშიაც დიდი წვლილი შეიტანა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო დავით კაკაბაძე, რაც არ უნდა ეკეთებინა: ქართულ ჩუქურთმას ჩაჰკირკიტებდა; ქმნიდა თავის განუმეორებელ პეიზაჟებს, თუ იყო მარჯანიშვილის თეატრში და ნინოშვილის გურიასა და კლდიაშვილის იმერეთს სცენაზე აცოცხლებდა — ყველა საქმეს თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული შთააგონებდა.

დავით კაკაბაძე ორი ათეული წლის მანძილზე ემსახურებოდა ჩვენი უმაღლესი სამხატვრო განათლების საქმეს. დღეს, თვალსაჩინო ხელოვანთა შორის, ერთი და ორი როდია მისი აღზრდილი. ისინი დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენიებენ დიდი პედაგოგის ზრუნვას.

დავით კაკაბაძის შემოქმედება მუდამ მიზანდასახული იყო. მის ყოველ ნაწარმოებს ღრმა გააზრება უძღოდა. კარგად იცოდა, რა ჰქონდა სათქმელი და როგორ უნდა ამოეხსნა დასახული მხატვრული ამოცანა. სწორედ ამიტომ არის მისი ხელოვნება სიტყვაძუნწი და ბევრის მეტყველი: დიდი ხელოვანი არასოდეს არ ედებოდა ღობე-ყორეს. მისი ხელოვნება ნათელი და სადაა. იგი რაციონალურიცაა და, ამავე დროს ღრმა პოეტურია.

დავითის შემოქმედებითი გზა წინააღმდეგობით იყო სავსე. ის დაუცხრომლად ეძიებდა. ამის გარეშე მისი წარმოდგენა, როგორც მხატვრისა, შეუძლებელია.

დავით კაკაბაძის მოღვაწეობა ხელოვნებისათვის რთულსა და შფოთიან წლებს დაემთხვა. ის თავის ქვეყანაში მომხდარი დიდი გარდატეხის, რევოლუციის წლებში დაბადებული ახალი ქართული კულტურის პირველი ნაბიჯების მოწმე და მონაწილე გახდა. კარგად იცნობდა დასავლეთის უახლეს ხელოვნებას; მისი თაობის მხატვართაგან იგი ყველაზე მეტად გადაიხარა მემარცხენეობისაკენ. მაგრამ დავითი ღრმად ეროვნული მხატვარი იყო და ბოლომდე ასეთი დარჩა. მან ქართულ ხელოვნებაში იმთავითვე შეგნებულად დაისახა მიზნად ეროვნული ფორმის ძიება. მისი სურათების ეროვნული ფორმა სტილიზაციის შედეგი კი არ არის, იგი ცოცხალი ეროვნული შინაარსითაა შთაგონებული.. დავითი იმდენად ჩაწვდა ქართული ბუნების სილამაზეს, მის განუმეორებელ „ქართულ" ხასიათს, რომ ხშირად, როცა გონების თვალით გინდა წარმოიდგინო ჩვენი ქვეყნის პეიზაჟი, ძალაუნებურად, თვალწინ წარმოგიდგება მისი ნახატი. იმერეთში მოგზაურობ და შენს თვალწინ ცოცხლდებიან კაკაბაძის მხატვრული ტილოები.

დავით კაკაბაძეს, კოლორიტისა და კომპოზიციის აბსოლუტური გრძნობა ჰქონდა. ყოველი მისი სურათი, ყოველი პატარა ეტიუდი თავისი ფერადოვნებით გასაოცრად ფაქიზი, პოეტური და ხალისიანია.

ასეთი იყო დავით კაკაბაძე ადამიანიც: სიცოცხლისა და შრომის დიდი მომღერალი, ყველასთან ერთნაირად უბრალო და მოკრძალებული.

დღეს დავით კაკაბაძე — დიდი ქართველი მხატვარი და მოქალაქე — ღირსეულადაა დაფასებული. მისი გარდაცვალებიდან ათი წელი გავიდა. მაგრამ იგი, თავისი შემოქმედებით, ახლაც ცოცხალია და გვესაუბრება, მის შემოქმედებაზე იზრდებოდნენ, იზრდება, და კვლავაც აღიზრდება ჩვენი მხატვრების ახალი თაობა.

ისე, როგორც ქალბატონმა მიბრძანა, ამ დიდი მეურნეობის არც ერთი კუნჭული შეუმოწმებელი არ დამიტოვებია. ყველაფერი საგულდაგულოდ გავსინჯე და კიევში უტყუარი ცნობებით დავბრუნდი.

მზე ჩადიოდა, როცა ჩემი სამცხენა ვარვარა დავიდოვნას სახლის ეზოში შეგორდა. ქალბატონი შინ არ დამიხვდა, ვიღაც ნათესავთან წასულიყო ვახშმად.

ნამგზავრმა ტანსაცმელი გამოვიცვალე, ხელპირი დავიბანე და ბაღის ყურეს მივაშურე. იქ ჩემი ჩამოსვლით გახარებული ლიზა უნდა შემხვედროდა.

დიდხანს ვიცადე, მაგრამ ამაოდ. მერე, როცა მებაღის ფიცრულში სინათლე ჩაქრა, მე ათასი ეჭვებით გულამღვრეული სახლისკენ წავედი.

ჩემი ოთახის კარი შევაღე და ქალბატონის ფარეშიც მოვიდა. ვარვარა დავიდოვნა მიხმობდა.

ჩემი ქალბატონი მისაღებში დამიხვდა. ახლა გულხალვათად გამოიყურებოდა. შავები გაეხადა. სხივნათელი სახით შემომეგება, ხელი მაგრად ჩამომართვა და ტანის კეკლუცი რხევით კუთხისაკენ წავიდა. ტახტზე ჩამოჯდა. ერთ ხანს მონატრებული თვალებით მიცქეროდა, მერე, როცა დარცხვენილმა თავი დავხარე, ჩაიცინა: — ახლა, შენ, ბავშვი არა ხარ, იგორ, რისი გრცხვენიაო, მითხრა და თვალით, ახლოს მოიწიო, მანიშნა. როცა მივუახლოვდი, დივანზე თავაზიანად მიმითითა. მორიდებით მოვიკეცე.

ტარანოვკის ამბავს მკითხავდა მეგონა, მაგრამ თავისი მამულის შესახებ არაფერი უთქვამს. ერთ ხანს უხმოდ იჯდა, ხარბად ეწაფებოდა თუთუნის ბოლს და ისე შემომცქეროდა, თითქოს რაღაც უნდა მითხრას, მაგრამ ვერ ბედავსო. წამოდგა. პაპიროსის ნამწვი საფერფლეზე დააგდო, ფანჯარასთან მივიდა, ნიდაყვებამდი შიშველი მკლავები გაშალა, გაიზმორა.

რომ სურდა ამოეკითხა, თუ როგორ იმოქმედა ჩემზე ლიზას ღალატმა, შემეძლო თუ არა მე იმ გოგონას დავიწყება. როცა ჩემს სახეზე კუნთიც არ შეირხა, როცა სიწითლეგადაწმენდილი სახე ისევ არ ამიჭარხლდა, ქალბატონი წელში გაიმართა, ღიმმორეულმა შვებით ამოისუნთქა.

ყველაფერი ნათელი გახდა.

ჩემს ქალბატონს ჩემთან სიახლოვე რომ უნდოდა, ახლა ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

ორივე თვალით გულში ჩავიხედე. ლიზას სახე ბურუსით შემოხვეული ლანდად ქცეული დნებოდა თანდათან. მე ახლა, სრულებით არ მაინტერესებდა ის მართლა მეჯინიბეს შეეწყვილა თუ ისე, როგორც ყოველთვის, ბაღის ყურეში გაფაციცებით მელოდებოდა.

დიახ, ქალბატონს გული ჩემსკენ მოუწევს. დიახ, ეს ასეა, თორემ განა მას ერთი და ორი მაწანწალა შეხვედრია სანამ მე მნახავდა? სხვას რატომ არ გაუწოდა თავისი მადლიანი ხელი?

არა, მე ის წყალობას არ მომაკლებს, და თუ ასეა, მე, ბოგანოს, სხვა რა უნდა მინდოდეს, თუ ამ ნატიფ ქალთან ახლოს მისვლა შევძელი, მისი გული მოვინადირე.

— არა, ლიზა თურმე არასოდეს არ მყვარებია, — სწრაფ მოვისაზრე თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ჩემი გუმანი მოჩვენებითი რომ ყოფილიყო და ვარვარა დავიდოვნას ხელზე მოსამსახურეობა შემოეთავაზებინა, მე წარბიც არ უნდა შემეხარა იმის შიშით, რომ ჯიბეცარიელი, ღვთის ანაბარა არ დავრჩენილიყავი, ქალბატონის ნება-სურვილის ბრმა აღმსრულებლობა უყოყმანოდ უნდა მეკისრა.

ლიზა არ გყვარებია! ფიცი? სიტყვა? ეჰ, მშიერი კაცის სიტყვა რა სათქმელია! — გამიელვა უცებ.

— რამ გაგაოგნა, იგორ? მართლა თუ იმ გოგოს დარდმა შეგაწუხა, მე ამაშიც

### ორდე დგებუაძე

— დიდხანს უცადე ლიზას ბაღში? — შემპარავი ხმით მკითხა, და როცა ალეწილს თვალი შემავლო, კისკისი გააბა, სავარძელში მოცელილივით ჩაეფლო.

ამაცახცახა.

ქალბატონს ფეხი ფეხზე ჰქონდა შემოდებული, ხატაურის ხალათის ტოტი გვერდზე გადაეგდო. ზემოდაკეცილ აბრეშუმის მაქმანიან პერანგიდან შიშველი ბარძაყი დამათრობლად მოჩანდა.

ალმური მომედო, გამაჟრჟოლა, დასიცხულმა თვალები დავხარე.

— შენი შეყვარებული გათხოვდა, იგორ! იმ გომბიომ მეჯინიბეზე გაგცვალა, — განაგრძობდა კისკისით და ლურჯ ლამაზ თვალებს არ მაშორებდა.

— გათხოვდა? — აღმომხდა ჩემდაუნებურად. შუბლი შემეკრა. ვიგრძენი შეურაცხყოფილს თვალები ავად რომ ამენთო.

— შენ შენი ფასი არ იცი. რა შენი საქმეა ვიღაც შინაყმა, უთვალადო, როცა ბედმა ისე გაგიღიმა, რომ ჩემი ყურადღების ღირსი გახდი. — ერთ ხანს უჩუმრად ბოლთასა სცემდა, მერე შედგა და გოროზად დამაცქერდა, — მე შენზე ამაგი მაქვს და დიახაც არ მინდოდა ისეთ ვინმეს გადაკიდებოდი, რომელიც შენ წმინდა სიყვარულს გეფიცებოდა და ჩემს მეჯინიბესთან საბძელში გორავდა, — სუნთქვაშეკრული ვარვარა დავიდოვნა თვალებში ჩამაცქერდა. შევატყე,

დაგეხმარები. მეჯინიბეს დავტუქსავ, ლიზას წავართმევ და აპალამვე მოგგვრი, აა? რას იტყვი? — ნაძალადევად ჩაიცინა ქალბატონმა. ილაჯგაწყვეტილივით სავარძელზე დაეშვა. ამოიოხრა, შუბლზე ხელი გადაისვა.

ნუთუ დამცინის? ნუთუ აბუჩად მიგდებს?!

აქამდე გაყუჩებული გული ისე შეინჯღრა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას აპირებსო.

იქნებ ჯობდეს გაეცალო აქაურობას?!

იქნებ ასეთ დამცირებას ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და სანაგვეში ნახორხალის ძებნა ჯობდეს?

— თუ იმ გოგოსაკენ მართლა მიგიწევს გული, ამალამვე შეგიძლია წახვიდე, — ახლა ქალბატონის ხმა უფრო მკაცრად ისმოდა, მაგრამ ისე როგორც თანატოლს მიმართავენ ხოლმე. არ იყო აბუჩად ამგდები, დამცინავი.

სული მოვითქვი. არა, მე თქვენს იქით გზა არა მაქვს, ქალბატონო-მეთქი, ვუპასუხე და თავი დავხარე.

ჩემს პატრონს დიდხანს ხმა არ ამოუღია. არც განძრეულა. არც მე მიცდია თავის აწევა. სულგანაბულს მჯეროდა, რომ ეს ახალგაზრდა ქვრივი არ მომიშორებდა, არ დამთმობდა. გული ისეთ რაღაცას გრძნობდა, რაზედაც ფიქრიც კი გუშინწინ, გუშინ, ერთი საათით ადრე თავის გამეტებად მიმაჩნდა. მართლაც დაუჯერებელი იყო, რომ ეს თვალმცევხლია არსება, სიკეთით გულსავსე, ყოვლისშემძლე ქალბატონი ფარეანასავით

(გაგრძელება. იხ. ჟურნალი „დროშა" 1961 წ. № 4, 6, 7, 8, 10, 12, 1962 წლის — № 2, 3).

ყვავილს ეძებდა. ყვავილს ნორჩს, მცხუნვარე სურნელებით და...

თვალი მე დამადგა?!

ჩემთან ისურვა სიახლოვე?

დიახ, ეს ასეა, და, მე, ბედნიერი ვარ.

ღმერთმა ქნას, რომ არ ვცდებოდე.

თვალი გავუმართე. კმაყოფილი ღიმილით იდგა ლურჯთვალება და ისეთი სახით შემომცქეროდა, თითქოს რაღაც გულსაამოს მოელისო ჩემგან.

მოკრძალებული თანაგრძნობით გავუღიმე.

ტანის მსუბუქი რხევით დაიძრა:

— იგორ! შენ კარგი ხარ, კარგი! — მითხრა ათრთოლებულმა ისეთი ხმით, თითქოს ჩანგს თითები ჩამოჰკრესდა სიმები დააწყვიტესო.

მომეხვია, აცახცახებულმა სავსე გულმკერდზე მიმიკრა, ალმოდებული ტუჩებით დამეკონა და თვალდახუჭულს თითქოს მუხლებმა უმტყუნესო, მოიკეცა. მივეშველე. სწრაფ ავიტაცე და გულშეღონებულმა არეული ნაბიჯით ტახტს მივაშურე.

კალმახივით გამისხლტა ხელიდან.

ერთ ხანს გაოგნებული ვიდექი. შიში, სიხარული, მოკრძალება ერთმანეთში ირეოდა. ტახტზე, ბალიშებზე მოწყვეტით მოვარდნილი ვარვარა ისე სუნთქავდა, თითქოს მაისის ვარდების თაიგულში თავი ჩაერგო და მისი სურნელებით სტკბებაო.

გული საგულეში არ ეტეოდა. საფეთქლებზე ძარღვები ისე ხმაურობდნენ, როგორც გრდემლზე ჩაქუჩები. გავარვარებულ სხეულში საამო სითბო მეღვრებოდა თანდათან. გულმა ტახტისაკენ გაიწია. ქალბატონის შიშველი მუხლები უნდა დამეკოცნა, მაგრამ ლურჯთვალებას ქუთუთოები შეირხა. დაბინდული თვალებით შემომხედა, — ახლა წადი, მალე გიხმობო, ამოხდა ჩურჩულით.

შევბრუნდი. არეული ნაბიჯით კარს მივაშურე.

ჩემს ოთახში შევედი და მარტო მყოფმა, ცოტა არ იყოს, სიმშვიდე ვიგრძენი. წამოვწექი. ერთ ხანს ათასმა თავგაურთველმა ფიქრებმა წამიღეს, მაგრამ ვარვარას სხივცისკროვანი სახე არ მასვენებდა. დიახ, ახლა ვარვარასი და არა პატრონის, არა ქალბატონის.

ლიზას სათნო და გულუბრყვილო სახემ ჩემს გონებაში გაფრენილი მერცხლის ლანდივით გაიქროლა, მაგრამ მე თვალიც არ გავაყოლე.

ახლა ჩემი თავი ყველაზე უფრო ბედნიერ ადამიანად მიმაჩნდა. ვიცოდი, რომ მოროზოვის მდიდარ, ლამაზ ქვრივს ვუყვარდი, და ეს სიყვარული ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას რომ გამიკაფავდა.

დასიცხულივით ვბორგავდი ტახტზე.

შუაღამე გადასულიყო, როცა გადარაზულ კარს მოაწვა ვიღაც. ზეზე წამოვხტი. რაზა ავაგდე. ჩემს წინ ევდოკია იდგა და ეშმაკურად იღიმებოდა. როცა შეცბუნებული დამინახა, მაჯაზე ხელი წამავლო და ვარვარა დავიდოვნას საძინებელ ოთახისაკენ გამიყოლია.

ფირუზისფრად დანისლულ ოთახში მაგნოლიისა და იასამნის სურნელება იდგა. ადრეც მინახავს როიალზე ბროლის ორ უზარმაზარ ლარნაკში მზრუნველი ხელით ჩასმული ცოცხალი ყვავილების თაიგულები, მაგრამ მაშინ, რატომღაც ასე საამოდ არ მიგრძვნია მათი კეთილსურნელება. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამ ორ ლარნაკს ზემოთ, კედელზე, მოქანდულ ჩარჩოში, ევროპულ ყაიდაზე ჩაცმული შუახნის სქელულვაშა მამაკაცის პორტრეტი ეკიდა. ახლა კი, როცა მიცვალებულის ლანდი კედელს არ ჩრდილავდა, თაიგულსაც თავისი ფერი დადებოდა და საამო სურნელებას მოურიდებლად აფრქვევდა.

ნაირფერი ქობებითა და ბაფთებით დამშვენებული აბრეშუმის ვაშლილი ლოგინებიც ვეება თაიგულსა ჰგავდა. და ამ თაიგულში ჩაფლული ქალის თვალები ნეტარებისაკენ მიხმობდნენ.

გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მუხლებში სისუსტეს ვგრძნობდი. თვალებს სინათლე აკლდებოდა. მთელი სხეული მიცახცახებდა, მაგრამ რატომღაც მონუსხულივით ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი იმ ადგილს, სადაც განსვენებული მოროზოვის პორტრეტი ეკიდა.

ქალმა საბანი გადაიგდო და წამოდგა. ერთი შეხედვით ზღაპრულ ფერიასა ჰგავდა .ის, ოქროსფერი თმები შიშველ მხრებზე უხვად ეყარა. თხელი აბრეშუმის ღამის პერანგიდან ქალის ნატიფი სხეული გამოჩნდა და მეც თვალები დავხუჭე.

— რას მიშტერებიხარ ამ კედელს? მე, მე შევინახე მისი პორტრეტი, — ათრთოლებული ხმით მეუბნებოდა და ვგრძნობდი, რომ ჩემსკენ მოიწევდა, — ვიცი, მიცვალებულისა და ღვთის წინაშე ვცოდავ, მაგრამ მეც ადამიანი ვარ, იგორ...

ჯერ ქალის თბილი სუნთქვა გადამეფინა სახეზე და მერე მისმა ალმოდებულმა ბაგეებმა მკლავები გამაშლევინა.

ყოველ დღეს ახალ-ახალი სიხარული მოჰქონდა. მხოლოდ ერთმა კვირამ განვლო და მე უკვე ვარვარა დავიდოვნას გულის მესაიდუმლე გავხდი. არ ვიცი იყო თუ არა ის გულწრფელი, მაგრამ ჩემი — ასეთი ახალგაზრდას გამოცდილება, ცხოვრების ცოდნა აოცებდა. ახლა, როცა ვიგონებ ამ ქალის ჩემდამი დამოკიდებულებას, მჯერა, რომ მას მაშინ ავხორცი ვნება არ აახლოებდა ჩემთან. ის, როგორც გულისყურიანობითა და სიკეთილით, ასევე ზნეობრივადაც იმდროინდელ თავაშვებულ, ხვავრიელობით განებივრებულ ქალებისაგან დიდად განსხვავდებოდა. მე ამ ჭეშმარიტებაში რაღაც ერთ-ორ კვირაში დავრწმუნდი და თუ ის გულსაამო სითბო, რაც მე იმ დღეებში ვიგრძენი სიყვარულია, მე ეს ქალი მართლა მყვარებია.

მის გარეშე ერთი დღე არ შემეძლო გაძლება. თუ ვინმე, მამაკაცი, უცხო სტუმარი თუ შორეული ნათესავი გამოჩნდებოდა, ვერ ვისვენებდი სანამ ეს კაცი ჭიშკარს არ მიიხურავდა. მოხუცი იქნებოდა ის, თუ ახალგაზრდა ყველაზე ვეჭვიანობდი. ვარვარა დავიდოვნას ეს ამბავი უხაროდა. უხაროდა კი არა, ამაში ის დიდ სიამოვნებას გრძნობდა. მარტო დარჩენილს გიჟივით მკოცნიდა, გულში მიკრავდა — ეჭვიანობა სიყვარულმა იცისო, მეუბნებოდა.

არ ვიცი ვისგან და როგორ, მაგრამ მე რომ ქალბატონის გულის-გული ვიყავი, რაღაც ერთ კვირაში მთელმა ჯალაბობამ იცოდა. ახლა, დიდი თუ პატარა განსაკუთრებული პატივისცემით მეპყრობოდა. ქალბატონის საძინებელი ოთახის გვერდით დამაბინავეს.

მალე, ქვრივის მოძრავი თუ უძრავი ქონების განმგებელი გავხდი. ქალბატონს ჩემთან ქურდული სიახლოვე მალე მობეზრდა. ახლა ის, ჯალაბობასთან თუ სხვაგან სიხარულით სავსე თვალებით ჩამეცინებდა. სასეირნოდ წასულს აუცილებლად თან ვახლდი. ღია ეტლში მის გვერდით თამამად ვიჯექი და ეს მილიონერი ქვრივი საქვეყნოდ ისე მემუსაიფებოდა, როგორც თანატოლს. მალე, მოროზოვის ქვრივმა, ყველა მისი ნაცნობების და მეგობრების ოჯახები მომატარა. ყველას გააცნო ჩემი თავი: — ეს ყმაწვილი ჩემი ქონების განმგებელიაო, ეუბნებოდა მათ, მაგრამ ისეთი კილოთი და გამომეტყველებით, რომ ყველას ეგრძნო, „განმგებელში" ქვრივის ავლა-დიდების გარდა რაღაც კიდევ სხვა, უფრო დიდი, უფრო ძვირფასი იმალებოდა.

ჩემი და ვარვარას დამოკიდებულების ამბავი ოჯახის ფარგლებს გასცდა — ქალაქს მოედო. მე და ვარვარა კი ისე ვუძგერებოდით სულში ერთმანეთს, რომ არც კი გვაინტერესებდა თუ ჩვენს შესახებ, ვინ რას ლაპარაკობდა, რას ფიქრობდა.

მე მახარებდა ის, რომ ჭკვიანი და წინდახედული ადამიანი ჩემი გულისთვის არავის და არაფერს არ მოერიდა, არც კი იფიქრა იმაზე, თუ რა უსიამოვნება შეიძლებოდა მოყოლოდა ისეთ უთვისტომო ადამიანთან სიახლოვეს, როგორიც მე ვიყავი. კარგად მესმოდა ყველაფერი ეს და ვცდილობდი, მისდამი ერთგულება და პატივისცემა გამომეჩინა. ცოდვა გამხელილი ჯობია, მეც კარგად ვიცოდი ჩემი ფასი. თვრამეტი წლის ჭაბუკი, ყოველმხრივ მომწიფებული ვაჟკაცის აღნაგობისა და ჯანღონის ვიყავი. სავსე გულ-მკერდი, დაგრეხილი კუნთები, ხოჭოსავით მბზინავი თმები, სულში ჩამძვრომი, შეუპოვრობის შთამაგონებელი თვალები ვარვარას გარდა კიდევ ბევრს ხიბლავდა.

კიევის ქუჩებში გამოჩენილ წყვილს, უცნობნი თუ ნაცნობნი დახარბებული თვალებით გვაკვირდებოდნენ და ეს თვალები უმეტეს შემთხვევაში ჩემსკენ იყვნენ მოპყრობილი.

მთელი წელიწადი ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ხან კიევში ვტრიალებდი ჯარასავით, ხან ტარანოვკაში მივეშურებოდი. თვალყურის გარეშე არაფერს ვტოვებდი.

ჩემი საქმიანობითაც ძალზე კმაყოფილი იყო ვარვარა.

ბოლო დროს ამ მეტად მოფუსფუსე ქალმა გული დაიმშვიდა და ყველაფერზე მზრუნველობა მე დამაკისრა.

ჩემი საკუთარი ეტლი შემოგრიალდა ეზოში.

ვარვარამ სეიფის გასაღები მე გადმომცა.

მოროზოვის ქვრივის საქმეების მართვა, მისი ქონების განმგებლობა ნოტარიუსით მე დამეკისრა.

თამასუქებზე იგორ ტამანოვი აწერდა ხელს.

ტარანოვკაში თვეში ერთხელ მაინც ჩავდიოდი, მაგრამ ლიზა თვალითაც არ მინახავს, მისი დედ-მამა, ქმარი მისი—მეჯინიბე, როგორც ბატონს, ისე მხვდებოდნენ, მაგრამ ჩემი პირველი სიყვარული არ ჩანდა, მემალებოდა გულდამწვარი. მე კი, ის, რომელიც ერთ დროს ძალზე მიყვარდა, თვალის დასანახავადაც არ მინდოდა. დიახ, არ მინდოდა, მაგრამ განა იმიტომ, რომ მეჯავრებოდა, არა, მე მისი გახსენება და, რაღაც ჩემთვის შეუცნობი გრძნობა ალივით ავარდებოდა, გულს მითუთქავდა, ვიდრე თავს ძალას არ დავატანდი, არ ჩავაქრობდი. მაგრამ რა სათქმელია ყველაფერი ეს, როცა მსუყე, უდარდელი ცხოვრება უზრუნველყოფილი მქონდა, და კიდევ, წინ რამდენი დღეები და წლები მელოდა სიხარულით, ბედნიერებით სავსე...

და ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ყოველდღიურ ლუკმაპურის მაძიებელ მებაღის ქალიშვილს მავიწყებდა.

მთელი წელიწადი გულს სიხარული არ მოკლებია.

ერთ კვირა დღეს ვარვარა დავიდოვნა ეკლესიიდან შინ აღელვებული დაბრუნდა, კიბე საჩქაროდ აირბინა და თავის საძინებელ ოთახში განცალკევდა. როცა მასთან შევედი, ის ფანჯარასთან ჩაფიქრებული იჯდა და ხელებს ნერვიულად ისრესდა.

იმ დღეს პირველად ვნახე ეს მუდამ მომღიმარი ქალი მოღრუბლული. ჩემს დანახვაზე სახე ისე გაებადრა, თითქოს დასიცხულ ყვავილს ჟუჟუნა წვიმა ესხურაო.

გულზე მომეკრა, მაკოცა და მითხრა: შვეიცარიიდან ჩემი მაზლი ჩამოვიდაო.

ჩემთვის უთქმელადაც ყველაფერი გასაგები იყო. ვარვარას მხოლოდ ამ კაცის, სერგეი ივანოვიჩის ერიდებოდა. მდიდარი, ავადმყოფი მაზლი, უმეტეს ხანს შვეიცარიაში ატარებდა და, ჯერ კიდევ რუსეთში დაბრუნებას არ აპირებდა, მაგრამ გაეგო, რომ მისმა რძალმა ვიღაც მაწანწალა ბოშა შეიყვარა და მისი ძმის მთელი ავლა-დიდება მას ჩააბარაო.

დილით, ეკლესიაში მიმავალ ვარვარას, გზად, ახალჩამოსული მაზლის მსახური დახვედრია და სერგეი ივანოვიჩთან წაუყვანია.

მაზლთან, თურმე, კიევის ცნობილი მემამულენი თუ ჰექარხნენი, დიდი ვაჭრები თუ მაღალი რანგის ჩინოვნიკები ელოდებოდნენ ვარვარას.

იქ რაც უნდა მომხდარიყო ჩემთვის ნათელი გახდა.

ვარვარა დავიდოვნას გულწრფელად აღიარებას დამსწრეთა მუქარა მოჰყოლია: ან იმ მაწანწალას უნდა მოშორდე, ანდა მთელი საზოგადოება განგიდგებაო. მაზლი სიკვდილითაც კი დამუქრებია, მაგრამ ვარვარას უპასუხნია, ჩემი გადაწყვეტილება ურყევიაო, და შინ გამოქცეულა. მეორე დღეს ეს ამბავი მთელ კიევს ელვის სისწრაფით მოედო, და ჩვენც, მალე, ამ დიდ ქალაქში უდაბნოში ქარავანს ჩამორჩენილ ადამიანებს დავემსგავსეთ.

მე უკვე არავინ მესალმებოდა. ქუჩაში — „ქათმის ქურდი", „მარჩიელი", „სატანა" და კიდევ ვინ იტყვის რით არ მამკობდნენ. გული ბოლომდე მევსებოდა. ბევრჯერ მეფიქრია, ერთ-ორ არამკითხესათვის ჭკუა მესწავლებინა, მაგრამ ვარვარა მაკავებდა.– მაიმედებდა: მალე ყველაფერს ფულად გავქცევთ და აქაურობას გავეცლებითო.

მართლაც, როგორც ტარანოვკაში, კიევშიც ყველაფერი გავყიდეთ. ათი მილიონი მანეთი რომის ნაციონალურ ბანკში გადავრიცხეთ და ერთ მშვენიერ დღეს იტალიისაკენ გავუდექით გზას. ორი დღე ოდესაში გავჩერდით და იქ, ვარვარაზე ჯვარი დავიწერე. ამრიგად, მოროზოვის ქვრივისა და მისი ქონების კანონიერი მფლობელი გავხდი.

ოდესიდან ნეაპოლისაკენ გავემართეთ.

ჩვენმა გემმა, ფირუზისფრად მოლივლივე პელაგონისკენ გეზი აიღო და მეც თავისუფლად ამოვისუნთქე. მჯეროდა, იქ, უცხო ქვეყანაში უფრო თამამად, უფრო წელგამართულად რომ ვიცხოვრებდით. მახარებდა, ლამაზი ფერებით მოხატული ახალი ცხოვრება. ყველაფერი ის, რაც ერთ დროს მიუწვდომელ ბედნიერებად მეჩვენებოდა, ჩემს ხელთ იყო. თუმცა ჩემზე უფროსი, მაგრამ სამაგიეროდ მოსიყვარულე მზრუნველი და, რაც მთავარია, ზღაპრულად მდიდარი ქალი გვერდს მიმშვენებდა. ის თვალებში მორჩილებით შემომცინებდა და ჩემგან ისეთივე სიყვარულს ითხოვდა, როგორითაც მე მას ვუყვარდი. ამაში, არც მე ვზარდებოდი; ის ჩემში ყოველ წუთს მის ერთგულსა და მისით ბედკეთილ ჭაბუკს ხედავდა.

სიახლისაკენ გული სიხარულით მიიწევდა.

რომს მივაშურეთ.

კონსტანცა. სტამბოლი, პალერმო, ნეაპოლი, და აქედან დიდებული რომი, მისი უძველესი შედევრებით.

მდინარე ტიბრის მარცხენა ნაპირზე, კვირინალეს გორაკზე საუკეთესო სამსართულიანი სახლი შევიძინეთ.

შინამოსამსახურენი და მოჯამაგირენი გაჩნდნენ ოჯახში.

თავლაში არაბული ჯიშის საეტლო ცხენები აჭიხვინდნენ. მალე, ეზოში „ბენცი" შემოგრიალდა.

ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ზღაპარში. წარსულისკენ მიხედვა სიკვდილივით მაშინებდა. ის, რაც ბედმა მარგუნა, ამ ცხოვრების კანონიერ მოვლენად მინდოდა მიმეჩნია. ბაბუაჩემი და ყველაფერი ის, რაც ახლა ჩემს განებივრებულ სულს ჩრდილს აყენებდა, ბავშვობაში გაგონილ ზღაპრად მიმაჩნდა და ძილის წინ მეტეორივით თუ გამიელვებდა.

საფუძვლიანად დავბინავდით თუ არა, საქმიანმა ქალმა, ოთხი მილიონი მანეთის აქცია შეიძინა. მე ამ საქმის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ვარვარა დავიდოვნა მარწმუნებდა, რომ ამ ფასიანი ქაღალდებით ბევრს მოვიგებდით. მართლაც, ჩვენს მიერ შეძენილი ქიმიური და სამთამადნო საზოგადოების აქციები ნამდვილად მომგებიანი გამოდგა. იქნებ ეს ამბავი გამომძიებას არ აინტერესებს, მაგრამ მე ამით ხაზს ვუსვამ ჩემი მეუღლის ერთგულებას, ქალის, რომელმაც მე ფასდაუდებელი ამაგი დამდო და, რომელმაც.. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

კარგად მახსოვს ის დღე, როცა ვარვარამ ეს აქციები შეიძინა. კარგად მახსოვს იმიტომ, რომ ამ ამბავმა ჩემი მეუღლე უფრო მეტად შემაყვარა. მე ამით ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ მას არა მარტო როგორც მამაკაცი ვუყვარდი. ამ ავლადიდების პატრონმა აქციები თავის პირად სეიფში შეინახა, გასაღები მე გადმომცა და მითხრა: — ეს ძვირფასი ქაღალდები წარმომდგენზე გავაფორმე და არა ჩემს სახელზეო.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი ქართული საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლებია, მათ ნაშრომებს იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ორივე მეცნიერის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში ენათმეცნიერული ცოდნის დანერგვა და ახალი ფილოლოგიური კადრების აღზრდა.

აკაკი შანიძესა და გიორგი ახვლედიანს დაბადების 75 წელი შეუსრულდათ.

ქვემოთ ვბეჭდავთ სტატიებს მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მეცნიერებს ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შოთა ძიძიგური




აკადემიკოსები ა. შანიძე და გ. ახვლედიანი.

# ჩვენი მეცნიერები

## აკაკი შანიძე

აკაკი შანიძემ ახალი ხანა შექმნა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის დარგში. მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი ნაშრომები, სადაც გაშუქებულია ქართული გრამატიკის, ქართული ენის ისტორიის, ქართული დიალექტოლოგიის, ზანურ-სვანურის, სომხური ენის, ქართული ლექსიკოგრაფიის, მწერლის ენის, ქართული ფილოლოგიის, ალბანური ენის, ქართული ფოლკლორისტიკის, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკვანძო მნიშვნელობის საკითხები. ამ ნაშრომებმა ა. შანიძეს დიდი მეცნიერის სახელი დაუმკვიდრეს და საყოველთაო აღიარება მოუპოვეს როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აკაკი შანიძე ავტორია ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკისა. ეს კაპიტალური ნაშრომი შედის ქართული კულტურის საერთო საგანძურში, როგორც ქართული საბჭოთა მეცნიერების უდიდესი მიღწევა.

ჯერ კიდევ 1920 წელს გამოაქვეყნა ა. შანიძემ ფუძემდებელი მონოგრაფია ქართული ენის პრეფიქსების თაობაზე. ისტორიული მნიშვნელობა ამ გამოკვლევისა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა პირველი ენათმეცნიერული ნაშრომი, სადაც ისტორიულ ასპექტში მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლილია ქართული ენის ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორია. ენობრივი მასალის მკაცრი მეცნიერული ანალიზისა და ახალი მეთოდების გამოყენების მხრივ ეს ნაშრომი მართლაც სანიმუშოა და გზისგამკვლევი.

ასეთივე სიღრმითაა გამოკვლეული ავტორის მიერ ჩვენი ენის ფორმებით მდიდარი ზმნის სხვა კატეგორიები. ქართულ გრამატიკულ სტრუქტურაზე ა. შანიძის რამდენიმე ათეული წლის დაკვირვებები და ცალკეული საკითხების მონოგრაფიული დამუშავების შედეგები შეჯამებულია ზემოხსენებულ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“.

1923 წელი მნიშვნელოვანი ხანაა ქართული კულტურის ისტორიაში: აღმოჩენილი იქნა უძველესი ხელნაწერები, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ქართული სალიტერატურო ენის ადრეული პერიოდების შესასწავლად. ამ უცნობმა ხელნაწერებმა დაადასტურეს და გაამართლეს ა. შანიძის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი ზმნის ერთი მეტად საყურადღებო თავისებურების შესახებ. ჩვენმა მეცნიერმა რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა ე. წ. ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებთან დაკავშირებით და გაარკვია ქართული მორფოლოგიის ისტორიული საკითხები.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე ვერ წარიმართება, თუ არ გვექნება მეცნიერულად გამოცემული ძველი ენობრივი ძეგლები. ა. შანიძემ განაგრძო მისი მასწავლებლის ნიკო მარის მიერ კარგად დაწყებული ფილოლოგიური კვლევა-ძიება და ქართული ტექსტოლოგია მაღალ საფეხურზე აიყვანა. ა. შანიძის ინიციატივას მიეწერება საბჭოთა საქართველოში დაარსებული გამოცემათა სერიები: 1. „Caucasus Polyglottus“, 2. „ძველი ქართული ენის ძეგლები“, 3. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“. ჩვენი დაუღალავი მეცნიერის თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით ამ სერიებში დღემდის გამომზეურებულია არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ძეგლი ფართო მეცნიერული აპარატითა და გამოკვლევებით. თავად ა. შანიძემ სანიმუშოდ გამოსცა რამდენიმე ტექსტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა. შანიძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ა. შანიძის რედაქციით გამოსული კაპიტალური წიგნი ივ. იმნაიშვილისა — „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“, რომელშიც რედაქტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „სრულად არის წარმოდგენილი მთელი ლექსიკური მარაგი უძველესი ეპოქის ქართული სალიტერატურო ენის კარგა მოზრდილი ძეგლისა“.

ა. შანიძე, ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლის ჩამყრელია. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მან მთის კილოების შესწავლას; გამოაქვეყნა ტექსტები, გამოკვლევები, ლექსიკონები...

ნ. მართან და ვ. თოფურიასთან ერთად ა. შანიძემ სათავე დაუდო სვანურის ღრმა მეცნიერულ შესწავლას. მისი ბრწყინვალე გამოკვლევა „უმლაუტი სვანურში“ პირველი ნაშრომია, სადაც გადაწყვეტილია სვანურის უმნიშვნელოვანესი ფონეტიკური საკითხი. მანვე გამოსცა სვანური ტექსტები სათანადო აპარატით (ვ. თოფურიას თანაავტორობით).

ა. შანიძის ყურადღების გარეშე არა რჩება ქართული ლექსიკოგრაფია. მის კალამს ეკუთვნის თეორიული ლექსიკოლოგიური ნაშრომი (ლექსიკონის შედგენის პრინციპები), დიალექტოლოგიური ლექსიკონები (მათ შორის — სანიმუშოდ შედგენილი „ვაჟა-ფშაველას ლექსიკონი“), გამოკვლევები საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ შესახებ (მასვე ეკუთვნის, ი. ყიფშიძესთან ერთად, ამ ლექსიკონის მეცნიერული გამოცემა), ძველი ქართული ლექსიკონი (გ. მთაწმიდლის მიხედვით) და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა და მისი ენობრივი თავისებურებების შესწავლა ჩვენი მეცნიერების საპატიო ამოცანაა. ამ დარგში განუზომელი მნიშვნელობა აქვს ა. შანიძის ღვაწლს. რუსთველოლოგია დიდად წასწია წინ ა. შანიძის მიერ გამოცემულმა ვახტანგისეულმა ტექსტმა. მანვე გამოაქვეყნა დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე და შუქი მოჰფინა პოემის ბუნდოვანი და შერყვნილი ადგილების გაგებას. მისივე ხელმძღვანელობით გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია. ა. შანიძემ მონაწილეობა მიიღო იმ ცნობილ ექსპედიციაში (ირ. აბაშიძესთან და გ. წერეთელთან ერთად), რომელმაც იერუსალიმიდან ჩამოიტანა სულმნათი შოთას პორტრეტი.

ჩვენი მეცნიერი შეუნელებელ ყურადღებას იჩენს სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხებისადმი. იგი დაუღალავი მებრძოლია ენის სიწმინდისათვის და ლიტერატურული ნორმების დამდგენი.

ფართოდაა ცნობილი ა. შანიძის სახელმძღვანელოები, რომლებზედაც იზრდება ჩვენი ახალი თაობა.

ა. შანიძე თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. ა. შანიძე ამშვენებს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიას, როგორც მისი წევრი-კორესპონდენტი.

## გიორგი ახვლედიანი

გიორგი ახვლედიანი — აკაკი შანიძესთან ერთად — ქართული საენათმეცნიერო სკოლის მამამთავარია.

ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ქართველური და კავკასიური ენები, გერმანისტიკა, სლავისტიკა, რომანისტიკა, ირანისტიკა, ინდოლოგია, ლოგოპედია, — აი დარგები, რომლებიც აღძრავენ გ. ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესს. ამ დარგში მან შექმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომელთაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

გ. ახვლედიანის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში ზოგადენათმეცნიერული განათლების დამკვიდრება. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში მან გამოაქვეყნა ლექციების კურსი „ენათმეცნიერების შესავალი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალი ფილოლოგიური კადრების მომზადებაში. ესაა ქართულ ენაზე პირველი წიგნი, რომელშიც გაშუქებულია ცოდნის ამ დარგის ძირითადი საკითხები სისტემატური წესით და ლოგიკური თანმიმდევრობით. იმავე ხანებში დაიბეჭდა გ. ახვლედიანის ძველი ინდური ენის (სანსკრიტი) სახელმძღვანელო და რუსული ენის გრამატიკა. მან, პირველმა, წაიკითხა ჩვენს უნივერსიტეტში აგრეთვე ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კურსი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებას ქართველური ენების მეცნიერული შესწავლის დარგში. უნივერსიტეტში მანვე დააარსა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი, რომელიც დღეს მძლავრ სამეცნიერო კერას წარმოადგენს. გ. ახვლედიანმა ჯერ კიდევ 1922 წელს გამოაქვეყნა ფუძემდებელი ნაშრომი „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, სადაც პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის ბგერითი სისტემის მიმართ გამოყენებულია ექსპერიმენტული მეთოდი. აქ შეუძლებელია დავახასიათოთ ის სპეციალური ფონეტიკური პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილია ჩვენი მეცნიერის მიერ. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. ახვლედიანმა ქართული ენის ბგერითი სისტემის შესწავლის საფუძველზე წამოაყენა არა ერთი და ორი საკითხი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ზოგადი ფონეტიკისათვის. ეს შედეგები შეჯამებულია მის კაპიტალურ წიგნში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, რომელიც ერთი საუკეთესო წიგნთაგანია საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ახვლედიანის ღვაწლი ოსური ენის მეცნიერული შესწავლის დარგში. ამას წინათ რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ამ სფეროში მისი მრავალწლიანი მუშაობის შემაჯამებელი წიგნი, რომლითაც ქართველ მეცნიერს საპატიო წვლილი შეაქვს ირანისტიკის განვითარებაში. გ. ახვლედიანის ირანისტული შტუდიები მსოფლიო მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს.

ცნობილია გ. ახვლედიანის ნაშრომი ლექსიკოგრაფიის დარგშიც. მას გამოუქვეყნებელი აქვს თარგმნითი ლექსიკონები (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული), უცხო სიტყვათა ლექსიკონი და სხვ. გ. ახვლედიანი აქტიური წევრია განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქციისა, რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიისა და სხვ.

გ. ახვლედიანის სახელთან დაკავშირებულია ლოგოპედიის (მეტყველების დეფექტების გამასწორებელი მეცნიერების) განვითარება და ამ სფეროში კადრების აღზრდა.

გ. ახვლედიანს თავისი წვლილი შეაქვს ქართულ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციაში. იგი აქტიური წევრია სალიტერატურო ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიისა და ავტორი რამდენიმე ნაშრომისა, რომლებიც შეეხებიან ორთოგრაფია-ორთოეპიის საჭირბოროტო საკითხებს.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი მეცნიერის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები.

გ. ახვლედიანი დიდი საზოგადო მოღვაწეა. იგი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია, ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი პედაგოგიური ინსტიტუტებისა ჩვენში. გ. ახვლედიანი იყო ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე. 1932 წლიდან იგი არჩეულია ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, ხოლო 1940 წლიდან — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად. 1939 წელს იგი აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის მიერ აღზრდილი ენათმეცნიერები და ფილოლოგები ამშვენებენ როგორც ჩვენს ზამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ისე საშუალო სკოლას. ესენი არიან — აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, წარჩინებული პედაგოგები.



66

# დამიგვიანდა...

### ციალა ვაჭარაძე

თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო ის ზაფხულიც. მცხუნვარე მზე და ცხელი ჰაერი სულს უხუთავდა ადამიანებს. დასასვენებელ ადგილებს ეტანებოდნენ. ქალაქი თანდათან გაიკრიფა. მეც მინდოდა ცოტა ხნით გავცლოდი თბილისს. საგზური შევიძინე და დასასვენებლად ბორჯომის ხეობას ვეწვიე. კვლავ ნაცნობი მთები, ნაცნობი გარემო... თითქოს ყველაფერი ახლობელია... მინდოდა თვითეულ ხეს მოვხვეოდი, ყველა ბუჩქი გულში ჩამეკრა. ვფიქრობდი, მათაც ესმოდათ ჩემი. ვფიქრობდი და მიხაროდა...

ქალაქის ხმაურით მოღლილი მყუდროებას ბუნების წიაღში ვეძებდი. მარტოდყოფნას ვარჩევდი.

მაშინაც ოთახში მარტო ვიყავი. ეზოს სანატორიუმის ფანჯრიდან გადავყურებდი. იქეთ, მწვანე ხევზე გზა ჩადიოდა. ხელისგულივით მოჩანდა ბორჯომის ხეობა. ყველაფერი იყო ლამაზი, საოცრად ლამაზი და თვალისმომჭრელი.

შენ მოულოდნელად გამოჩნდი. გულმა რეჩხი მიყო.

— რა უნდა ერქვას? — ვკითხე ჩემს თავს.

კიბეები ჩავირბინე. შენი სახელი ვიკითხე.

— თენგიზიო, — მითხრეს.

აზრი დამებნა. როგორ დაემთხვა. მეც ხომ ასე ვიფიქრე. ოთახში ავედი და ლოგინში ჩავწექი. ფიქრებმა წამიღეს. ახლა ლამაზ ხეობაზე აღარ ვფიქრობდი. თვალწინ შენ მედექი და გესაუბრებოდი.

მოსაღამოვდა. ამხანაგები მეძახდნენ. შენ მათთან იყავი. თქვენთან მოვედი. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით... ვგრძნობდი, ფერი მეცვალა. რატომ? მიზეზს მაშინ ვერც გეტყოდი. თორმეტ დღეს დავყავით ბორჯომში. მე გაგირბოდი, შენთან ყოფნა მაშინებდა. უშენოდაც რომ ვერა ვძლებდი? დაგეძებდი, თუ გიპოვიდი, გემალებოდი.

ნეტავ თუ მამჩნევდი?

იმ დღეს თითქოს ყველაფერი განზრახ აეწყო. ერთად ვიმგზავრეთ. რას არ მიამბობდი მატარებელში. მე ვდუმდი. ფარულად გიჭვრეტდი...

შენ სიყვარულს მეფიცებოდი, შენი სითბო ვიგრძენი.

რა მოხდა მაშინ? არ ვიცი,—გავიზარდე თუ დავპატარავდი. მგონი გავიზარდე... გავიზარდე და ვიყავი უსაზღვროდ ბედნიერი.

გზა მალე დაილია. გამცილებელმა სოხუმის მოახლოება გვამცნო, მატარებელმა სადგურს მიაკივლა...

ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

— თბილისში შევხვდებით, — მომაძახე და გაუჩინარდი. შენი სიტყვები იმედად გამყვა. ჩემი ოცნება შენს ნაკვალევს აედევნა და ფრთები შეესხა.

წინანდებურად ხალისიანი რომ არ ვიყავი, ჩემიანებიც მატყობდნენ. მეჯირდა აქ ყოფნა. დროს ვერსად ვკლავდი. თბილისში მომიჩქაროდა, შენკენ მიწევდა გული...

კიდევაც დავბრუნდი და ამოვისუნთქე, შვება ვიგრძენი. ახლა შენ დაგეძებდი. ვნატრობდი, თვალი მომეკრა შენთვის. შენ არ ჩანდი. არ ჩანდი და მაინც გელოდი...

იქნებ განზრახ მემალებოდი?

ჩვენ მაინც შევხვდით ერთმანეთს.

— როგორა ხარ? — სრულიად უბრალოდ, ღიმილით მკითხე.

ენა დამება, ვერაფერი გიპასუხე. შენი თვალების მეშინოდა, ძლივს შემოგხედე.

— გმადლობთ! — როგორც იყო ამოვთქვი და გაგცილდი.

იქნებ გაიოცე?

ჰო, მაგრამ ვინ იყო დამნაშავე. ბრალი ხომ ისევ შენ მიგიძღვოდა. რატომ გადაიკარგე? დამემალე? იქნებ გაგიტაცა ვინმემ?

დრო გადიოდა... დღე დღეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. როცა შეგხვდებოდი, ფოთოლივით ვთრთოდი, სუნთქვა მეკვროდა. შენ კი კეთილად გამიღიმებდი... ეს იყო და ეს.

მე გული მელეოდა. შენ? ნუთუ არაფერი გახსოვდა?

არაფერი გახსოვდა დავრწმუნდი. დავრწმუნდი და სხვაზე გავთხოვდი.

მისთვის არაფერი დამიმალია. ვუამბე, როგორ ამოვდიოდი შენს სანახავად. როგორ ჩრდილივით დაგყვებოდი, გიდარაჯებდი პატარა ბაღში გვიანობამდე.

— ბავშვური გატაცება გქონია, სისულელეა! — მითხრა მან სიცილით.

გავიდა ხანი... აღარ გეძებდი. ველარც გხედავდი. თითქოს მეც დამავიწყდი.

* * *

მშვენიერი საღამო იყო. მეუღლესთან ერთად სახლიდან გამოვედი.

უეცრად დაგინახე. პირზე ღიმილი შემაშრა. შენ ისე შემომხედე, როგორც არასდროს. გაქვავდი, ფეხი ვერ მოიცვალე. ზურაბმა გამომაფხიზლა. მკლავზე ხელი დამქაჩა. ორთავეს დაგვაკვირდა. მიხვდა, ვინც იყავი. აფორიაქდა...

ამ დღიდან მოყოლებული ვერ დავარწმუნე, რომ არ მიყვარდი. აღარ სჯეროდა, რომ ეს იყო მხოლოდ გატაცება. აღარ სჯეროდა იმისი, რასაც თვითონვე მიმტკიცებდა, რაშიც ადრე მე ვარწმუნებდი.

და იცი რა მოხდა? — მე მარტო დავრჩი. იმედად მხოლოდ შვილი დამრჩა. ესაა ჩემი ცხოვრების შინაარსი. ხშირად კითხულობს მამას. მე კი ათასგვარ ხლართებსა ვქსოვ სინამდვილის დასაფარავად.

მარტო დარჩენილი სამსახურს დავუბრუნდი. რაკი ჩავები საქმის ფერხულში, თავდავიწყებას მივეცი თავი. ბევრს ვშრომობდი და ძალზე ვცდილობდი, სასარგებლო შემექმნა რამე. ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მნიშვნელოვანმა გამოგონებამ ბევრს გააცნო ჩემი სახელი. იქნებ შენც ამით გაგახსენდი?

ახლა არ ვგავდი იმ ფრთამოტეხილ ფრინველს, რომელსაც ოცნებათა ნიავი აფარფატებდა, უსუსურ არსებას, რომელიც ფიქრთა მორევში იძირებოდა.

დრო კვლავ გარბოდა. არსად შემხვედრიხარ.

ერთ დღეს თეატრში მოგკარი თვალი. შევკრთი, ძალა მოვიკრიბე და ხალხში დაგემალე. ადგილი მოვნახე, დავჯექი, მაგრამ... მე ახლა სპექტაკლს არ ვუყურებდი. ვგრძნობდი, ზურგსუკან შენს თვალებს. მერე ქუჩაში ამედევნე... გზა შენკენ მაქვსო, ჩამჩურჩულე.

გზას დუმილით ლიდხანს მივსდევდით. სიჩუმე ისევ შენ დაარღვიე. მატარებელი გამახსენდა, ათასგვარ ამბებს რომ მიყვებოდი. მე ახლაც ვდუმდი...

შენს ცხოვრებაზე შემომჩივლე, ბედს ემდუროდი. თავს ტუქსავდი არჩევანისთვის. ცოლი გაკიცხე და... ხელი შემომთავაზე...

ძვირად დამიჯდა შენი სიყვარული. ის ლამაზი, ბავშვური გრძნობა მწარე მოგონებად შემორჩა ამ გულს. ერთხელ განცდილი აღარ ბრუნდება. გრძნობის ბადეს ახლა ვერ მოვქსოვ იმ გვირისტით, რომლითაც მაშინ მე ის დავწანი. იყო დრო, როცა ხელებს გიწვდიდი, არ დაინახე. ახლა კი... ჩვენი გზები დიდი ხანია გაიყარა...

დაგიგვიანდა...





ათასობით ქუთაისელი მისჯდომია ტელევიზორს და მოუთმენლად მოელის ფეხბურთის მატჩის დაწყებას. და აი, გაისმა ნაცნობი მარშის ხმა. სტადიონზე გამოდიან ქუთაისის „ტორპედოს“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. თამაში იწყება. მძაფრი მომენტები იქმნება ხან ერთი, ხან მეორე გუნდის კართან.

მოსკოვიდან ფეხბურთის მატჩის ტელეგადაცემას თითქმის მთელი ქუთაისი ხედავს ...

არა, ჯერჯერობით ასე არ არის, მაგრამ ალბათ მალე ქუთაისელები შესძლებენ ტელევიზორებში დაინახონ არა მარტო თბილისის ტელეცენტრის, არამედ მოსკოვის და სხვა ქალაქების ტელეგადაცემებიც.

ამის პირობებს შექმნის რადიორელეური ხაზი თბილისი-ქუთაისი, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია. შემდგომ ეს ხაზი გაგრძელდება სოხუმისაკენ და მოსკოვიდან სამხრეთისაკენ მომავალ „ესტაფეტას“ შეუერთდება.

რადიორელეური ხაზი კავშირის ძალზე საინტერესო სისტემაა. ერთმანეთისაგან 50-70 კილომეტრის დაშორებით იდგმება მაღალი კოშკები. ყოველ კოშკზე მიმღები და გადამცემი ანტენაა. რადიოსიგნალი იგზავნება პირველი კოშკისაკენ. ამ კოშკზე დადგმული ანტენა მას მიიღებს, სპეციალური მოწყობილობა აძლიერებს და გადამცემი ანტენა სიგნალს მეორე კოშკისაკენ გზავნის. ასე ერთი კოშკიდან მეორეს გადაეცემა რადიოტალღები, სანამ ისინი მეზობელ ქალაქს არ მიაღწევენ. რადიოტალღებს კი შეუძლიათ ერთი ქალაქიდან მეორეში „გადაიტანონ“ დეპეშები, სატელეფონო ლაპარაკი, ან სატელევიზიო პროგრამები.

სიტყვა „რადიორელეური“ წარმოქმნილია ლათინური სიტყვისაგან „რადიო“ და ინგლისური სიტყვისაგან „რელეი“. როგორც ვიცით „რადიო“ ნიშნავს გამოსხივებას, „რელეი“ კი შეცვლას. ერთი კოშკიდან მეორე კოშკამდე გაგზავნილი დასუსტებული სიგნალი იცვლება ძლიერი სიგნალით და შემდეგ კოშკს გადაეცემა. მეორე კოშკის აპარატურით გაძლიერებულ სიგნალს მესამე კოშკი იღებს, მესამედან — მეოთხე და ა. შ.

რადიორელეური ხაზის ყოველ სადგურზე შეიძლება დაიდგას რამდენიმე მიმღებ-გადამცემი, რომლებიც საერთო ანტენებით იმუშავებენ. მაშინ რადიორელეურ ხაზში შეიქმნება რამდენიმე დამოუკიდებელი კავშირის ხაზი, ანუ როგორც ამბობენ, რამდენიმე „ლულა“. ყოველი ასეთი „ლულით“ შეიძლება ერთი სატელევიზიო პროგრამის ან 600 ერთდროული სატელეფონო ლაპარაკის გადაცემა, რაც ძალიან გააადვილებს სატელეფონო კავშირს არა მარტო ქალაქებს შორის, არამედ მთელ რიგ ქვეყნებს შორისაც.

დღეისათვის რადიორელეური ხაზები ერთმანეთთან აკავშირებენ ჩვენი პლანეტის მრავალ ქალაქსა და სახელმწიფოს. რადიორელეურმა ხაზმა ერთმანეთთან შეაერთა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, შვეიცარია და იტალია. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყნის ტელეცენტრები თავისუფლად უცვლიან ერთმანეთს პროგრამას.

ჩვენს ქვეყანაშიც დიდ სიგრძეებზე „ჩამწკრივდნენ“ რადიორელეური ხაზები. მათ უკვე დააკავშირეს ერთმანეთთან ალმა-ატა, ტაშკენტი, ფრუნზე. რადიორელეური ხაზებით სხვა ქალაქებთან დაკავშირებულია აგრეთვე მოსკოვიც.

სწორედ ტექნიკის ამ შესანიშნავმა მონაპოვარმა მისცა საშუალება 20 მილიონ საბჭოთა ადამიანს თვალყური ედევნებინა გმირ კოსმონავტ გერმანე ტიტოვთან შეხვედრისათვის წითელ მოედანზე. ამ საზეიმო შეხვედრას ხედავდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ნორვეგიის, დანიის, ბელგიის, გერმანიის დემოკრატული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების 100 მილიონზე მეტი ტელემაყურებელიც.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისი-ქუთაისის რადიორელეური ხაზი, რომლის მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს, სოხუმზე გავლით დაუკავშირდება მოსკოვიდან სამხრეთისაკენ აგებულ ხაზს. ასე რომ, სულ მალე საქართველოს ტელემაყურებლები შესძლებენ დაინახონ არა მარტო მოსკოვის, არამედ ყველა იმ ტელეცენტრების გადაცემაც, რომლებსაც მოსკოვი მიიღებს.

გარდა ამისა, ძალზე გაადვილდება სატელეფონო კავშირი დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებთან. თბილისში პირდაპირ აკრეფენ სხვა ქალაქების ტელეფონის ნომრებს.

მოსკოვ-თბილისის რადიორელეურ ხაზს განშტოება ბაქოსაკენ და ერევნისაკენ ექნება. ასე რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მეგობრობის კიდევ ერთი „რადიოგზა“ დააკავშირებს.

ა. ციხკარაძე

# ჯეიმ კუგანის ნახტომი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმს ოლდრიჯი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ზ. ლეჟავა.

ეს მოთხრობა ნაწილობრივ დაწერილია, ვლადიმერ პეტრეს ძე შევჩენკოს მიერ „ოგონიოკში" გამოგზავნილი წერილის პასუხად. წერილის ავტორი მთხოვს ვუამბო რაიმე ჩემი ცხოვრებიდან. ის, რაც ქვემოდაა მოყვანილი, — მოთხრობაა, მაგრამ მას საფუძვლად უდევს მთელი რიგი ნამდვილი ფაქტები, თუ რა ფაქტებია ეს, ბოლოსიტყვაობაშია ახსნილი. შესაძლებელია, მოთხრობა იმის მაგალითადაც გამოდგეს, თუ როგორ აგროვებს მწერალი მასალებს საკუთარი ცხოვრებიდან.

ა ვ ტ ო რ ი

ჯეიმ კუგანი თავისებურად უცნაური ჭაბუკი იყო. მაგრამ, ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა, მით უმეტეს, თუ მოვიგონებთ რაც მას შეემთხვა.

ჯეიმ კუგანი ავსტრალიის პატარა ქალაქ სენტ-ელენში ცხოვრობდა და ერთი დიდვიტრინიანი გარაჟის მფლობელი გახლდათ. ქალაქში მან სახელი იმით გაითქვა, რომ სცადა დაემკვიდრებინა სპორტის ახალი ორიგინალური სახე, რომელსაც „ჯეიმ კუგანის ნახტომი" უწოდა. ყველაფერი ეს ჩვენს სანაქებო აყვავებულ პერიოდში კი არ მოხდა, არამედ მძიმე ოცდაათიან წლებში, კრიზისის წლებში. ჯეიმი მაშინ სენტ-ელენში საავტომობილო კომპანიის „ვილის-ნაიტის" აგენტად მუშაობდა.

„ვილის-ნაიტი" — ერთი პატარა, არასახარბიელო ამერიკული მსუბუქი მანქანა გახლდათ, მაგრამ ავსტრალიის ცუდ გზებზე უაღრესად გამოსადეგი, ამას რა ჯობიაო იქნება თქვათ, მაგრამ ჯეიმი ბუნებით ვაჭარი არ იყო და როგორც აგენტს, ბედი არ წყალობდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ „ვილის-ნაიტზე" უკეთესი მანქანა მსოფლიოში არ არის.

სენტ-ელენში, მარცვლეულის და მეცხვარეობის ცენტრში, ყოველწლიურად ეწყობოდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაში ქალაქის მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა. სხვადასხვა მხრიდან ჩამოდიოდნენ მოხეტიალე დასები. იპოდრომზე იმართებოდა დოღი, კონკურსი საუკეთესო ცხვარზე და ცხენზე. ერთი სიტყვით ყველა ცდილობდა შეეტანა თავისი წვლილი საერთო ზეიმში. და აი მორიგ გამოფენამდე ჯეიმ კუგანმა განაცვიფრა ყველანი სრულიად წარმოუდგენელი იდეით: იგი თავისი მანქანით მთელი სისწრაფით შეასრულებს ჰაერში დასრულებულ სალტო-მორტალეს, რის შემდეგ მანქანა კვლავ ბორბლებზე დადგება!...

— აქ საქმე ინერციაში და წონასწორობაშია! — ქედმაღლად არწმუნებდა ჯეიმი ქალაქის სკეპტიკოსებს. მე გადახსნილ უკანა სკამზე ვაწყობ სილით სავსე ორ ტომარას. არენაზე ვაკეთებ ორ წრეს დიდი სიჩქარის ასაღებად. შემდეგ გაქანებული, სპეციალურად აშენებულ ხის კალაპოტზე შევვარდები, რომელსაც ბოლო ოდნავ მომრგვალებული ექნება, — ეს მომცემს ბიძგს და როდესაც ზევით ავფრინდები, მანქანის ბოლო სილის სიმძიმით ქვევით დაიწევს, მანქანა ჰაერში აყირავდება, ტომრები ჩამოცვივდებიან. მოძრაობის ინერცია და ძრავას სიმძიმე ხელს შემიწყობენ დავასრულო სალტო-მორტალე და აიძულებენ მანქანას კვლავ ბორბლებზე დადგეს...

იდეა თითქო უბრალო იყო, მაგრამ გაბედულიც. ხუმრობა ხომ არ არის, მანქანის სიჩქარე, ჯეიმის თქმით, ნახტომის შესრულების მომენტში საათში სამოც მილს მიაღწევს!

მალე ჯეიმზე და მის არაჩვეულებრივ განზრახვაზე იმდენი იდავეს, რომ ქალაქის მცხოვრებნი ერთმანეთს დაემდურნენ. თვითონ ჯეიმ კუგანი ისე იყო წარმატებაში დარწმუნებული, რომ არც ფიქრობდა წინასწარ ვარჯიში მაინც ჩაეტარებინა. საქმეში ხართ! გამოფენის დღეს კაცობრიობა თვალნათლივ დარწმუნდება, რომ „ვილის-ნაიტის" ცალი მანქანა არც არის და არც შეიძლება იყოს.

ჯეიმი ბუნებით საკმაოდ დინჯი იყო. მოწოდებით მექანიკოსი იგი გამუდმებით ლურჯ კომბინეზონს ატარებდა, სახე და ხელები ყოველთვის მოსვრილი ქონდა, ისე როგორც ეს ავტომანქანის პროფესიონალურ მძღოლს შეშვენის. ძალზე ამაყობდა ამით, თუმცა კეთილსინდისიერად აღიარებდა, რომ არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ავტორბოლაში. საერთოდ, იმდენად უწყინარი ჭაბუკი იყო, იმდენად გულუბრყვილო, რომ ქალაქში ამბობდნენ: ჯეიმი, რაგინდ გაბრაზდეს, ბუზსაც არ ააფრენსო.

მიუხედავად ამისა, ჯეიმ კუგანი აღფრთოვანებული ღიმილით ხშირად წამოიძახებდა:

— კრივი, — აი ხელმწიფეების სპორტი!

საქმე ისაა, რომ ჯეიმი გუნებაში მაინც სპორტსმენი იყო. კიდევაც ცხოვრობდა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ ქალაქში. იმის მაგივრად, რომ თავის გარაჟში მისთვის მინდობილი სამი ახალთახალი „ვილის-ნაიტი" ყოლოდა, მან გარაჟი გადააქცია კრივის რინგად სპეციალური ფიცარნაგით, ბაგირებით და სამსაჯო ზარით. რაც შეეხება ავტომანქანებს, ისინი ქუჩაში იდგნენ.

„ვარჯიში უფასოა!" — იუწყებოდა გარაჟის მტვერიან ვიტრინაში გამოკრული ფირფიტა. ქვემოთ ხელით იყო მიწერილი: „ვეპატიჟებით აგრეთვე ყველას, ვისაც სურს პირადი უკმაყოფილება მოსპოს ყველაზე უკეთილშობილესი წესით, რომელიც კი კაცობრიობისათვის ცნობილია".

„უკეთესი და უკეთილშობილესი" სპორტი ქალაქში უდავოდ პოპულარობით სარგებლობდა. ყოველწლიური გამოფენების დროს ხანდისხან კრივის მატჩებიც ეწყობოდა: საიდანღაც ჩამოყვანილი ექვსიოდე პროფესიონალი რამდენიმე ფუნტის საფასურად იწვევდნენ მსურველ მოქალაქეებს ორ-სამ რაუნდზე, თანაც საპატიო მსაჯად გავლით ჩამოსული ცირკის დირექტორი ინიშნებოდა.

და მაინც ქალაქში არავინ იღებდა სერიოზულად ჯეიმ კუგანის რინგს. მხოლოდ მოწყენილობისაგან გაბეზრებული ვინმე თუ შევიდოდა „ლანდთან" ანუ თავისთავთან საჩხუბრად. ჩვეულებრივ კი რინგი ცარიელი და მტვრიანი იყო.

ასე გაგრძელდა იქამდე, ვიდრე ჯეიმმა საჯაროდ გამოაცხადა მანქანით მომავალი ატრაქციონი. სწორედ იმ დღეს გამოჩნდა გარაჟ-რინგის ვიტრინაში გამოკრულ ფირფიტაზე დაწერილი რჩევის გამოყენების ორი მსურველი: ესენი იყვნენ ედგარ ალანი და სტორკი სტორკინსონი.

ედგარ ალანი სოფელში იყო გაზრდილი! ტყისმჭრელ მამასთან ერთად ქალაქის ხაზს იქეთ მდებარე კუნძულ პენტალზე ბარდებში ცხოვრობდა. სტორკი სტორკინსონი კი ქალაქელი გახლდათ. სკოლაში ველოსიპედით დადიოდა და ძალზე აბეზარი შესახედაობა ქონდა. სწორედ ისეთი, როგორიც რკინაკავეულის საქონლით გამდიდრებული ვაჭრის შვილს შეფერის.

ყველაფერი აქედან დაიწყო: ერთხელ სკოლაში ედგარმა თავისი გამბედაობით დაიტრაბახა. თქვა, რომ მზადაა ჯეიმ კუგანთან ერთად ავტომანქანაში ჩაჯდეს, როდესაც ის თავისი ცნობილი ნახტომის გამოცდას შეუდგება. სენტ-ელენის სკოლის მოსწავლეები ყველანი განთქმული იყვნენ გულადობით. მაგრამ, როდესაც სტორკი სტორკინსონმა განაცხადა თავისი მზადყოფნა გაინაწილოს ჯეიმ კუგანის ტრიუმფი, ედგარი, რომელსაც თავისი აზრი ქონდა „ქალაქელთა" გამბედაობის შესახებ, სტორკის სიტყვებზე დამცინავად გაიღიმა და გაჩაღდა აყალ-მაყალი.

— რას ყოყოჩობ? — უყვიროდა სტორკი ედგარს მკვახედ, წრიპინა ხმით. — განა შარშან ლაჩარივით არ გაიქეცი, როდესაც ოძი ოლდმა და პატ მერფიმ მამაშენის ფორანს ქვები დასცხეს? განა შენ არ ერეკებოდი ცხენს მთელი ძალით?

ედგარი ამ სამარცხვინო გაქცევის ფაქტს, ყოველთვის უარყოფდა, თუმცა გუნებაში იცოდა, რომ ამაში პატარა სიმართლე მაინც იყო.

— შენ ბევრი იცი! — უპასუხა მან და სახე ზიზღით დაემანჭა. — მე უბრალოდ ცხენის და ფორანის შინ მიყვანა მეჩქარებოდა.

სტორკიმ ჩაიხითხითა. და გულშემატკივრის სახე მიიღო:

— რასაკვირველია! ჯეიმ კუგანმა კიდევაც რომ შეგიშვას მანქანაში, ბოლო წუთს მაინც გადმოხტები და თავქუდმოგლეჯილი გაიქცევი შენს ბებრუხანასთან.

— ბებრუხანებს ქვაბებთან და ტაფებთან ფუსფუსი უყვართ, — ედგარმა სტორკის მამის პროფესიას გადაკრა — ჩემს მოხუცს კი არა უშავს: მას არაფრად მიაჩნია სიმყრალე, რომელსაც სტორკინსონების ოჯახი ავრცელებს.

ახლა სტორკი განაწყენდა. აყალ-მაყალი უფრო გაღვივდა და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სიტყვიერი დუელი მხოლოდ ერთი გზით შეიძლება დამთავრდეს: მუშტით პირისპირ შერკინებით. აქვე დაითქვა შეხვედრის ადგილი და დრო — პარასკევს ძველი სამჭედლოს უკან, სკოლაში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. კინკლაობის მოწმე ძალზე ბევრი იყო და მეტოქეებს უკანდახევის საშუალება აღარ რჩებოდათ. ორივე ბიჭი უკვე დიდი ხანია ვერ იტანდნენ ერთმანეთს. სტორკი „ქალაქელი" იყო, მას დიდრონი ლამაზი კბილები და ლამაზად შეკრეჭილი თმები ქონდა, იგი ატარებდა შალის წინდებს, ყელიან ფეხსაცმელებს სქელ ლანჩაზე და ყოველივე ამასთან ცოტა ხნის წინათ სკოლაში ახალი ველოსიპედით გამოცხადდა. ეს ველოსიპედი გახდა მათი შურის საგანი. სამაგიეროდ რომ გადაეხადა, მან გადაწყვიტა თმა მოდის მიხედვით დაევარცხნა. მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მას ქერა, თხელი თმა ჰქონდა. და ვერ იქნა ვერ დაიყენა ისე. ფეხსაცმელები კი სულაც არ ებადა. ფეხშიშველი დადიოდა.

ალბათ, ყველაფერი სკოლაში ჩვეულებრივად, მუშტით დამთავრდებოდა, რომ ჯეიმ კუგანს არ შეეტყო ამათ კონფლიქტზე თავისი ბიჭისაგან. ჯეიმი ძალიან დაინტერესდა და გულიც აუჩუყდა: ბიჭები ხომ ჩხუბს იმის გამო აპირებდნენ, რომ დიდი ნახტომის დღეს მის გვერდით მჯდარიყვნენ მანქანაში.

ჯეიმი სკოლის კარებთან დაუდარაჯდა ედგარს და სტორკის. და მოსწავლეებთან ერთად წაიყვანა საზეიმო ვითარებაში თავისი გარაჟისაკენ. იქ მან ბავშვებს მიმართა სიტყვით:

— აი რას გეტყვით, ბიჭებო. თქვენ უკვე წვრილფეხობა კი არა ხართ, რომ სადღაც სამჭედლოს უკან ველურებივით დასცხოთ ერთმანეთს შიშველი მუშტები. ვარ მართალი თუ არა?

ედგარმა დაბნეულად აახამხამა თვალები, სტორკიმ გაუბედავად გაიღიმა.

— თქვენ უნდა ჩაატაროთ კრივის მატჩი ყველა წესის მიხედვით — აქ, ჩემთან რინგზე და აი კიდევ რას გეტყვით: ვინაიდან თქვენ ჩხუბობთ იმის გამოსავლენად, თუ ვინ არის თქვენს შორის გულადი და ვინ არა, — მე თანახმა ვარ გამარჯვებული მანქანაში ჩავისვა. რას იტყვით, შევთანხმდეთ?

ჯეიმის სიტყვები სკოლის ნორჩი ევმენიდების* სიხარულის ღრიანცელმა დაფარა. სტორკიმ წაიბურდღუნა — „ო კეი", ედგარმა მხრები აიჩეჩა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მოდის! — თქვა ორივემ ერთად.

ასეც გადაწყდა. მოკრივეებს ორ-ორწუთიანი ხუთი რაუნდი უნდა ჩაეტარებინათ. მსაჯად, ცხადია, ჯეიმი დანიშნეს. ვინც გაიმარჯვებს, მოიპოვებს ჯილდოს — ადგილს მანქანაში მის გვერდით ორშაბათს, როდესაც...

შინ მისულმა ედგარმა ცეცხლი დაანთო, საქონელი სარდაფში შერეკა და მდინარის ნაპირზე გავიდა. აქ მან სტორკის „ჩრდილს" ჩხუბი დაუწყო.

— აჰა მიირთვი! — ბურტყუნებდა იგი და მოწინააღმდეგეს აპერკოტებით უმასპინძლდებოდა. — გგონია მომერევი?

— ედგარ! ღმერთო მოწყალეო, რას აკეთებ მანდ?

ეს იყო მისის ფლენინგენი.

— არაფერს, — მიუგო შეცბუნებულმა ედგარმა: — ისე, უბრალოდ, ვსულელობ, მისის ფლენინგენ...

— თევზი გაქვს?

ედგარი მთელი ზაფხულის განმავლობაში თევზაობდა და თევზს მდინარის ფსკერზე ბადეში ცოცხლად ინახავდა. მისის ფლენინგენი კვირაში ერთხელ ყიდულობდა მისგან თევზს; მას უკვე ყასბის, მეფუნთუშის და ბაყალის იმდენი ვალი ჰქონდა, რომ მისგან ფულის მიღება ადვილი საქმე არ იყო. ქმარიც უქნარა და მფლანგველი ჰყავდა. მაგრამ მოლაპარაკების თანახმად იგი ედგარს იქვე უნაღდებდა ფულს.

---

* ევმენიდები — ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში შურისძიების ღმერთები.



67



ედგარმა თევზი წყლიდან ამოიყვანა. ფული ჯიბეში ჩაიდო. უარი უთხრა მისის ფლენინგენს. იგი ოჯახში ეპატიჟებოდა ერთად ვივახშმოთ პურით და კარაქითო. ედგარმა იცოდა, ფლენინგენები ცუდად იკვებებოდნენ და ამიტომ პამიდორის წვენში ჩადებული ცხვრის ხორცის ნაჭერი ამჯობინა, რომელიც შინ ეგულებოდა, თანაც სტორკი სტორკინსონთან ჩხუბის წინ შიმშილობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

პარასკევი დღე ქალაქში მასწავლებლებს ნამდვილ სასჯელის დღედ გადექცათ. მათ იცოდნენ, რომ აღსაზრდელები მოუთმენლად ელიან რაღაც ჩხუბს, რომელიც მეცადინეობის შემდეგ უნდა შედგეს, და ამის გარდა ორშაბათს გამოფენა იხსნებოდა. როდესაც უკანასკნელმა ზარმა დაიწკრიალა, მასწავლებლებმა პირჯვარი გადაიწერეს: როგორც იქნა დამთავრდა ეს საშინელი დღე! მაგრამ ჯეიმ კუგანის გარაჟისაკენ თავქუდმოგლეჯით გაქცეული მოსწავლეებისათვის დღე მხოლოდ ახლა დაიწყო.

ედგარის მომხრეები და მოხალისე სეკუნდანტები მეტწილად ტყის ბარდებში მცხოვრები ღარიბების შვილები იყვნენ. რაც შეეხება სტორკის, მისი გულშემატკივრები ფართლეულით მოვაჭრე, ბაზრის მაკლიერების, გამსესხებელი სალაროების მეპატრონეთა შვილები; მათ რიცხვში ექიმის შვილი ჯონ ელვინ-ჯონსიც.

გარაჟის შესასვლელის წინ წუთით ორომტრიალი შეიქნა: ყველას უნდოდა ხელით შეხებოდა ავტომანქანა „ვილის-ნაიტს“. მანქანა მზად იყო. სილით სავსე ტომრები უკანა სკამზე ელაგა. გადახსნილი ჰქონდა ბრეზენტის სახურავი. ბოლოს როგორც იქნა, მთელი ბრბო გარაჟში შეცვივდა.

— ორივენი მზად ხართ? — შეეკითხა ჯეიმი მოწინააღმდეგეებს.

— უჰუ, — წაიდუდღუნა ორთავემ ერთხმად.

— არის პატარა დაბრკოლება, — ჯეიმმა ქეჩო მოიქექა. — მე ვერ შევძელი თქვენი ზომის ორი წყვილი კრივის ხელთათმანის შოვნა. ერთი კი ზედ გამოჭრილია, მაგრამ ეს მეორე არაფრად ვარგა.

მან ბიჭებს ხელთათმანები გაუწოდა. მართლაც, ერთი წყვილი ახალთახალი და რბილი იყო. მეორე წყვილი გახეხილი, ჭუჭყიანი და ქვასავით მაგარი.

— ჯანდაბას, კენჭი ვყაროთ, — განაცხადა ჯეიმმა — აბა, სტორკი!

მან ლითონის ფული ზევით აისროლა.

სტორკიმ „არწივი“ ჩაუთქვა და წააგო. არჩევანი ედგარს მიეკუთვნა. მან ხელთათმანების ორივე წყვილი შეათვალიერა და პირველი, ახალი და რბილი წყვილი აირჩია.

— ო კეი, მატჩი იწყება! — გამოაცხადა ჯეიმმა. — გამარჯვებული ორშაბათს ჩემთან მოდის. ყველა თანახმაა?

— ო კეი, ო კეი! — ერთსულოვნად უპასუხა ხმებმა.

—მოწინააღმდეგეებს ხომ არ სურთ საქმე შერიგებით დაამთავრონ? — თავაზიანად იკითხა ჯეიმმა.

— მეტი საქმე არ მაქვს! — წაიდუდღუნა სტორკიმ.

ედგარმა ხმა არ ამოიღო. ორივემ გაიხადა. დარჩნენ ტრუსებში. ჯეიმმა სტორკის უბრძანა ფეხსაცმელები გაიხადეო: შერკინების დროს მათ შეეძლოთ დაეშავებინათ ედგარის შიშველი ფეხები.

— მზადა ხართ? — გაიმეორა ჯეიმმა. ზარს ქანჩის გასაღები შემოჰკრა და დაიყვირა: — გამოდით საბრძოლველად, დაე, უკეთესმა გაიმარჯოს!

ედგარი და სტორკი ისე სწრაფად ეძგერნენ ერთმანეთს, თითქოს მათ წამის დაკარგვის უფლებაც არ ჰქონდათ. ბრძოლის ბედმა თავიდანვე ზურგი შეაქცია ედგარს; სტორკიმ მარჯვნიდან შემოსცხო მას სახეში და ედგარი უკან გადავარდა.

აუდიტორიამ მოულოდნელობისაგან იხუვლა, მაგრამ ედგარი სწრაფად მოვიდა გონს და მატჩი ჩვეულებრივ გაგრძელდა.

— მიდი, ედგარ! — ყვიროდნენ ერთნი.

—დასცხე, სტორკი! — პასუხობდნენ მეორენი.

ედგარმა თავი დაღუნა და მოწინააღმდეგეს აპერკოტები და მარჯვენა სვინგები დააყარა. მიზანში ხუთიდან არაუმეტეს ერთი დარტყმისა ხვდებოდა. უკეთესი შედეგი არც სტორკის ქონდა, მაგრამ ის ურტყამდა არა მატყლით გატენილი რბილი ხელთათმანით, არამედ რაღაც რკინის კათხის მაგვარი გაქვავებული ტყავით და თითოეული მოხვედრა თავში თუ ტანზე უკან აგდებდა ედგარს. როდესაც პირველი რაუნდი დამთავრდა, ედგარს დარტყმებისაგან უკვე ქანცი გამოლეოდა.

— თავი უფრო მაღლა უნდა დაიჭირო, — ურჩევდა მას სპიტ მაკფი.

— კიდევ რას იტყვი! ის მაშინ სულ მომიღრეცს კისერს! — პასუხობდა მოღუშული ედგარი, რომელიც ქანაობდა და სულს ძლივს ითქვამდა.

— ეცადე თავი დამალო, — არწმუნებდა მის მოწინააღმდეგეს ჯონ ელვინ-ჯონსი. — და ცოტა ქვემოთ ურტყი.

მეორე რაუნდი პირველის განმეორება იყო. მებრძოლები ისევ ნახევრად ბრმად ჩხუბობდნენ, მათი ხელთათმანები ქაოტიურად ციალებდნენ; მაგრამ ედგარი, როგორც კი რკინის მუშტი მოხვდებოდა სახეში ან მხარში, ტკივილისაგან თრთოდა და დაუნდობლად აგინებდა თავის თავს სისულელის ჩადენისათვის. რა ეშმაკმა უბიძგა აერჩია ეს უვარგისი ბუმბულა, რომელიც მხოლოდ პუდრის წასასმელად თუ გამოდგებოდა! სტორკი ალბათ ვერც კი გრძნობდა მის შეხებას.

— დროა! — გამოაცხადა ჯეიმმა და ზარს შემოჰკრა.

მან მოკრივეები თავის ადგილებზე გაუშვა ბაგირებთან და უბის წიგნაკში რაღაცის გულმოდგინედ ჩანიშვნას შეუდგა.

მესამე რაუნდი ედგარის წაგების რაუნდი იყო. მან რკინის ორი მაგარი დარტყმა მიიღო ყურში. სამი მკერდში და, როგორც პროფესიონალები ამბობენ, ყრუ დაცვაზე გადავიდა. მისი კეთილისმდომელთა გამამხნევებელი შეძახილები თანდათან მიყუჩდა. სტორკიმ ისარგებლა საქმის მისთვის სასიკეთოდ შემობრუნებით და მოწინააომდეგეს ეძგერა, თან ხელებს ქარის წისქვილის ფრთებივით ატრიალებდა. ედგარს ისღა დარჩენოდა, როგორმე აეცდინა დარტყმები.

— დროა!

მესამე რაუნდის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ედგარი გალახული იყო. მას თვითონაც ესმოდა ეს. წამით მის გონებაში რაღაც კმაყოფილი დარჩა: ესე იგი, ორშაბათს აღარ მოუწევს ჯეიმ კუგანთან ერთად ჰაერში ახტომა! მაგრამ ეს სუსტი ნუგეში იყო: მან მაინც სამარცხვინოდ წააგო, სტორკიმ კი, ამ „ქალაქელმა“, გაიმარჯვა...

ედგარს ახლობელმა მეგობრებმაც დაუწყეს დაცინვა. მან იცოდა, რომ რკინის ხელთათმანების გამო თავის მართლება სისულელე იქნებოდა. რა საძაგლად გამოვიდა! ედგარი თავის სკამზე გრძნობადაკარგულივით იჯდა, ვიდრე მას პერანგით გულმოდგინედ უნიავებდნენ და თავზე ცივ წყალს ასხამდნენ.

— რა მოგდის, ედგარ! მისცხე მარჯვნიდან, მერე მარცხნიდან და მორჩა! — ჩააცივდა სკოტ კემბელი, — არ მოეშვა ბოლომდე!

სკოტმა მეომრულად დაისისინა. ეს სისინი მისი „სპეციალობა“ იყო ჩხუბის დროს. ედგარმა იცოდა, რომ ამისათვის არავის არც ცხელოდა, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი მაინც დაუქნია და ძლივს წამოდგა. იწყებოდა მეოთხე რაუნდი.

სტორკი გამარჯვებულის სახით გამოვიდა რინგზე... ოჰ, ეს საზიზღარი, ღიმილისაგან თეთრი დაკრეჭილი კბილები, ეს აბზეკილი მსხვილი ცხვირი! რაუნდის პირველსავე წამებში ედგარი ბაგირს მიეხეთქა.

— ე, ედგარ, სად მიდიხარ! ნუ იმალები! იჩხუბე! — უყვიროდნენ ყოველი მხრიდან.

სტორკი ეძგერა მოწინააღმდეგეს და წარმატებისაგან თავბრუდახვეულმა დასცხო თავზე, ბეჭებზე და მუცელზე. ედგარი თავს ატრიალებდა და სიზმარში მყოფივით იცილებდა დარტყმებს. ეს საბოლოო და უსაშველო დამარცხება იყო.

უეცრად, რომელიღაც ბიჭმა დაიძახა:

— ეჰეი, ედგარ, გიხაროდეს: შენი მოხუცი აქ არის! აგერ, ფანჯრიდან იყურება, როგორც ყვავი ან თვით ტარტაროზი.

ედგარს თითქოს დენმა დაარტყა. განა მამას შეეძლო ბარდებიდან ასე ჩქარა დაბრუნება? მან შეშინებულმა გაიხედა ფანჯრისაკენ, ასეცაა, ეს მამაა! უძრავად ზის შეშით დატვირთულ ფორანზე. ხელში სადავე უჭირავს და ჩუმად იყურება. ედგარმა შენიშნა, რომ გარაჟში და მის გარშემო ხალხის ბრბო შეკრებილა. ისინი ტკბებიან მისი მარცხით. მის გარშემო მხოლოდ მტრები არიან! ის შერცხვენილი და განადგურებულია, მაგრამ ეს კიდევ არაფერია: ახლა ესენი სასაცილოდ აიგდებენ მის უენო მამას.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი ზ. ოზოლაძისა.

## ირაკლი მეტაქსას*

### ფოტულა იანაკოპულუ

როგორც ცხრათვალა მნათობი, ისე,
ისევ იფრქვევა ღიმილი მისი...
სამშობლოს მთა-ველს დაჰნათის მზისებრ
სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლით.

მოჰკლეს, არ გვქონდა ტირილის ნება,
მისი სიმართლით ვფერავდით მახვილს...
და აი, ახლა მის მდუმარ საფლავს
იებით ამკობს საბჭოთა ხალხი.

თარგმნა მ. ფოცხიშვილმა.

*) ბერძენი ხალხის გმირი შვილი, ბაქოს 26 კომისართაგანი.

## სკოლა ტყის სოფელში

### იაკკო რუგოევი

თოვლის ბაბუაა
კარს რომ არახუნებს.
ამ ტკბილ მოგონებებს
წლები არ ახუნებს.

სარკმელს ეხეთქება
ქარბუქი... და მინებს
ყინვა კვლავ სათუთად
აქარგავს ყვავილებს.

სიმღერით მიდიან
ტყეში ტყისმჭრელები;
ო, დაკოჟრებული
მძლავრია ხელები!

პაწია ბიჭუნა,
გავიდა დაფასთან
და წრფელი სიტყვები
თამამად დახაზა:

შრომას და მშვიდობას
მარადი დიდება!

თარგმნა
შალვა მჭედლიშვილმა.

# წყალქვეშა პორტ-როიალი

1692 წლის 7 ივნისი იყო. იამაიკის კუნძულზე შუადღე იდგა. მზე აჭერდა. ქვიშის გრძელ კონცხზე განლაგებული ქალაქი პორტ-როიალი თვლემდა. ნავსადგურში ყურის გლუვ ზედაპირზე ზანტად ირწეოდა ოცამდე აფრადაშვებული ხომალდი.

ახლოვდებოდა სადილობის დრო. ჯემს ლიტლტონის დუქანში უკვე იხარშებოდა კუს ხორცის გემრიელი კერძი.

უცებ მიწა აკანკალდა. მთებიდან ყრუ გრიალი მოისმა. იგი ჭექა-ქუხილის შორეულ გრგვინვას წააგავდა. მიწა მძლავრმა ბიძგმა შეაზანზარა. პირველ ბიძგს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. ჯეიმსისა და კარლეილის ფორტების მასიური კედლები თვალისდახამხამებაში დაიშალა. ნაპირთან აგებული წმინდა პავლეს ეკლესიის სამრეკლო გრუხუნით ჩამოინგრა. ზარმა სასოწარკვეთილებით დარეკა და მხოლოდ მაშინ დადუმდა, როცა ეკლესიის ნანგრევებზე ზღვის ტალღებმა შეკრეს პირი.

მიწა ღრმა ნაპრალებმა დასერეს, ზედიზედ ჩაყლაპეს დანგრეული სახლები და დამფრთხალი ადამიანები. მერე სადღაც შორს, ზღვაში დაიბადა ვეებერთელა ტალღა, გაიზარდა, უფრო და უფრო მაღლა აიწია და, ქალაქთან მოგორებულმა, ელვის სისწრაფით წალეკა მისი გადარჩენილი ნაწილიც. რამდენიმე წუთში ორი ათასზე მეტი კაცი დაიღუპა...

და აი, ამ კატასტროფიდან თითქმის სამასი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ორგანიზებული ექსპედიციის ხომალდმა „სი დაივერმა“ ღუზა დაუშვა იამაიკის სანაპიროსთან, თანამედროვე პორტ-როიალიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით. ექსპედიციის წევრებისათვის ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ამ მოცისფერო-მომწვანო წყლის ქვეშ იმყოფებოდა მეკობრეების ცნობილი ქალაქის ნანგრევები.

ექსპედიციის წევრებს უკვე შეგროვილი ჰქონდათ მრავალი საინტერესო ცნობა პორტ-როიალის— მეკობრეებისა და ყაჩაღების ამ „შტაბბინის“ —ისტორიის შესახებ. ცხოვრება პორტ-როიალში, რომელიც ძველი და ახალი სამყაროს გზების გადასაკვეთზე მდებარეობდა, იმ დროს დუღდა და გადმოდიოდა. პორტ-როიალმა თავისი „დიდების“ ზენიტს განთქმული მეკობრის — ჰარი მორგანის დროს მიაღწია. მორგანმა ქალაქი თავის ბაზად გადააქცია. იგი ძარცვავდა კარიბის ზღვის პირზე გაშენებულ ესპანურ ქალაქებსა და ნაძარცვს პორტ-როიალში ეზიდებოდა. აქვე იყრიდნენ თავს მთელი ზღვისპირეთის „ძმები ყაჩაღები“.

ქალაქის პაკჰაუზები და საწყობები სავსე იყო ძვირფასი ნაძარცვით. ოქროს და ვერცხლის ზოდები, საეკლესიო ნივთები, ძვირფასი ქვები, აბრეშუმი და ხავერდი გაგზავნას ელოდა კონტინენტსა და ინგლისში, სადაც მათ ყიდდნენ, ან ცვლიდნენ სხვა საქონელზე.

საერთოდ, ინგლისი ხალისით უწყობდა ხელს მძარცველებს. 1655 წელს ინგლისის ესკადრამ ხელში ჩაიგდო იამაიკა. პორტ-როიალი გადაიქცა „სამეფო მეკობრეების“ ბაზად.

...მას შემდეგ, რაც ექსპედიციის წევრებმა პორტ-როიალის ძველი რუკის საფუძველზე შეადგინეს ჩაძირული ქალაქის დაწვრილებითი ტოპოგრაფიული გეგმა, შესაძლებელი გახდა წყალქვეშა არქეოლოგიური გათხრების დაწყება.

და აი, მიწისმწოვმა მანქანამ პირველსავე დღეს ბაქანზე ამოყარა აგურები, ძველი ბოთლებისა და თეთრი თიხის მილების ნამტვრევები, ნახშირის, ძვლების, კრამიტისა და დამსხვრეული ჭურჭლის მთელი გროვები. ამოქმედდნენ ნყვინთავებიც. მათ ზღვის ფსკერიდან ამოიღეს კიდევ უფრო საინტერესო ნივთები: სპილენძის კულა, კოვზები, მოჩუქურთმებული თასი, აგრეთვე სპილენძის ქვაბი, რომელშიც ჩარჩენილი იყო დროის მანძილზე ჩაშავებული ძვლები. ძვლებს მზარეულის დანის კვალი აჩნდა.

მალე ექსპედიცია კიდევ უფრო ძვირფას საგანს წააწყდა: მიწისმწოვმა მანქანამ ბაქანზე ოქროს საათი ამოაგდო, საათის ციფერბლატი დაფარული იყო კირქვის ქერქით. მის უკანა მხარეზე ელავდა ლამაზი ჩუქურთმა. ისრები კი ალბათ უბრალო ლითონისა იყო, რადგან ისინი ზღვას შეეჭამა. საათის სახურავის შიგნითა მხარეზე ამოიკითხეს საათების ოსტატის პოლ ბლონდელის გვარი. სწორედ ამ გვარის მიხედვით მოხერხდა საათის გაკეთების დროის დადგენაც. საათი გაგზავნეს მეცნიერებისა და მრეწველობის ლონდონის მუზეუმში, სადაც შეკრებილია ძველი საათების ყველაზე ძვირფასი კოლექცია და ყველაზე ზუსტი ინფორმაციები მათი ოსტატების შესახებ. პასუხი ასეთი იყო: „საათი გაკეთებულია 1686 წელს ამსტერდამელი პოლ ბლონდელის მიერ. უჩვენებს 11 საათსა და 48 წუთს. მიწისძვრის ნამდვილი დრო დადგენილია“.

ექსპედიციის საწყობი ნაპირზე და „სი დაივერის“ მთელი ბაქანი სავსე იყო XVII საუკუნის ნივთებით. რას არ ნახავდით აქ: სამზარეულოს მოწყობილობას, ზარბაზნის ყუმბარებს, ხომალდების ნაწილებს. ზოგიერთი ნაპოვნი უფრო ადრინდელ პერიოდსაც ეკუთვნოდა. მაგალითად, აღმოჩენილ იქნა თოფი, რომლის ლულა სალტეებით იყო გამაგრებული. ასეთ თოფებს აკეთებდნენ XV საუკუნეში ესპანეთში. როგორც ჩანს, იგი ეკუთვნოდა იამაიკის ადრინდელ ესპანელ დამპყრობლებს.

პირველივე ათი კვირის განმავლობაში ექსპედიციამ ბევრი რამ გააკეთა. შექმნა პორტ-როიალის ყველა სხვა რუკებზე უფრო ზუსტი რუკა, იპოვა XVII საუკუნის მეტად საინტერესო ნივთები, რომლებიც ბევრ სიახლეს მოუთხრობდნენ ძველი ქალაქის ცხოვრების შესახებ. მაგრამ ეს მაინც არ იყო დიდი წარმატება. ეს მხოლოდ დიდი სამუშაოების დასაწყისი იყო.

ექსპედიცია წააწყდა მხოლოდ ფორტსა და დუქანს. საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, სამეფო საწყობები, ჩაძირული ხომალდები და სხვა მრავალი არქეოლოგიური ძეგლი ხელუხლებელი დარჩა.

მომავალი ექსპედიცია ალბათ მისწვდება მათ და საბოლოოდ ახდის ფარდას მეკობრეთა ქალაქის ლეგენდარული ბინდით მოცულ ცხოვრებას.

ა. მარჯანიძე



# ქვეყანა რეკორდსმენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში 1953 წლის 15 იანვარს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებულია საინტერესო მონაცემები 100 წლისა და მეტი ხნის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.

ვინაიდან ამ ასაკში ადამიანისათვის დამახასიათებელია ხნოვანების გადავიწყება და ერთგვარი მიდრეკილება „მოხუცებლური კეკლუცობისადმი“, რაც წლოვანების მომატებაში გამოიხატება, მოსახლეობის ეს ჯგუფი განსაკუთრებულ აღწერას დაექვემდებარა. ყველა ასწლიანი და მეტი ხნის ადამიანი განმეორებით, პერსონალურად შემოწმდა ადგილზე. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ პირველი აღწერის შედეგად მიღებული 28,015 კაცის ნაცვლად, ასი და მეტი წლის ასაკისა ფაქტიურად აღმოჩნდა მხოლოდ 21.708 კაცი (მეფის რუსეთში 1897 წ. ჩატარებული ანალოგიური შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ასწლიანთა რიცხვი 5-ჯერ გადაჭარბებით იყო ნაჩვენები).

ამგვარად, აღწერის მონაცემების მიხედვით, საბჭოთა კავშირში ყოველ 100.000 სულ მცხოვრებზე 10 „საუკუნოვანი“ ასაკის ადამიანი მოდის. მოსახლეობის ამ ნაწილს თავის მხრივ ღრმა მოხუცები ყავს, რომლებიც 120 წლისა და მეტი ხნისანი არიან, მათი საერთო რაოდენობა 592 კაცს აღწევს. საბჭოთა კავშირის უხუცესი ადამიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავისებურ „რეკორდსმენს“ წარმოადგენს, აღმოჩნდა აზერბაიჯანის სსრ ქ. ევლახის მცხოვრები 160 წლის ქალი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფის ძირითად ნაწილს ქალები შეადგენენ. მათი საერთო რაოდენობა 16.276 უდრის, რაც ასწლიანი მოსახლეობის მთელი რაოდენობის 75 პროცენტს შეადგენს. ასწლიანი მოსახლეობის ძირითადი მასა 17.272 (79,6 პროცენტი) სოფლად ცხოვრობს.

საქართველოში 100 წლისა და მეტი ხნის მოსახლეობის რაოდენობა 2080 კაცს შეადგენს. უხუცესთა რაოდენობით საქართველო აზერბაიჯანის სსრ (3099 კაცი) და უკრაინის სსრ (2645 კაცი) შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება საბჭოთა კავშირში. ყოველ 100.000 სულ მცხოვრებზე გაანგარიშებით საქართველოში უხუცესთა რაოდენობა 54 კაცს უდრის და აზერბაიჯანის სსრ (84 კაცი) შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფება საბჭოთა კავშირში. საქართველოში მოსახლეობის ეს ჯგუფი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: აფხაზეთის ასსრ — 314 კაცი, აჭარის ასსრ — 72 კაცი, სამხრეთ-ოსეთის აო—77 კაცი. დანარჩენი ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ძირითადად მთიან ადგილებში.

100 წლისა და მეტი ხნის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საბჭოთა კავშირს თუ შევადარებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში 1950 წლის აღწერის მიხედვით ასწლიანი მოსახლეობის რაოდენობა (მხოლოდ თეთრკანიანები) 2065 კაცს უდრიდა, ანუ დაახლოებით იმდენს, რამდენიც მარტო საქართველოშია, ინგლისში — 301 კაცს, ანუ რამდენიც მარტო აფხაზეთის ასსრ-ში ცხოვრობს; საფრანგეთში — 261 კაცს, იაპონიაში — 97 კაცს.

ამგვარად, საბჭოთა კავშირი ასწლიანი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მთელს მსოფლიოში „რეკორდსმენ“ ქვეყანას წარმოადგენს.

გია ფირცხალაური.



68
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა





ქართული კონიაკის უხუცესი სპეციალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. ციციშვილი (მარცხნივ) და ინჟინერ-ტექნოლოგი ო. ლორთქიფანიძე ამოწმებენ დაძველებული სპირტის ხარისხს

# ქართული კონიაკი

**თ. ფურცელაძე**

თბილისის კონიაკის ქარხნის დირექტორი.

ამას წინათ, საბჭოთა კავშირში მეუღლითურთ ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი ჰიუ კარდლიპი, რომელმაც ითხოვა თბილისშიც წაეყვანათ კონიაკის ქარხნის დასათვალიერებლად. უცხოელ სტუმარს თხოვნა შეუსრულეს. ქარხნის დათვალიერების შემდეგ ცოლქმარი კარდლიპები სადეგუსტაციო დარბაზში მივიწვიეთ — ვთხოვეთ გაესინჯათ ქართული კონიაკი. საუზმის დროს ბატონმა ჰიუ კარდლიპმა განაცხადა, რომ მას მრავალჯერ სმენია ქართული ღვინოებისა და კონიაკების ქება. ლონდონში ხშირად ესწრებოდა საბჭოთა საელჩოში გამართულ წვეულებებს. იქ იგი ღრმად დარწმუნდა ქართული სასმელების ღირსებაში, შეუყვარდა ქართული ღვინოები, განსაკუთრებით ქართული კონიაკი, რომელსაც, მისი აზრით, შესანიშნავი სურნელება და გემო აქვს, ამასთან თავისი კეთილშობილური თვისებებით დადებითად განსხვავდება მსოფლიოში ცნობილი კონიაკებისაგან.

ბატონმა კარდლიპმა ღიმილით გაგვანდო: დღეს მეუღლის დაბადების დღეა და მსურს ეს თარიღი აღვნიშნო შესანიშნავი სასმელით — ქართული კონიაკით. თანაც მინდა გავეცნო თბილისის კონიაკის ქარხნის დიდ საწარმოო კულტურას, რომლის შესახებ თბილისში ნამყოფმა ინგლისელმა მეგობრებმა მიამბესო.

შთაბეჭდილებათა წიგნში ჰიუ კარდლიპმა ჩაწერა: „თბილისში ერთი მდინარეა — მტკვარი, მაგრამ ასეთი მდინარე აქ ორი უნდა მოდიოდეს. ერთი თუ წყლისა იქნება, მეორე მშვენიერ ქართულ კონიაკად უნდა მოედინებოდეს, რათა ხალხს ქარბად მიეცეს საშუალება დასტკბეს მისი შესანიშნავი გემოთი და სურნელებით".

საქართველოში იშვიათია ისეთი სტუმარი, რომელიც ქართული კონიაკის წარმოების პროცესით არ დაინტერესდეს. ჩვენს ქარხანაში სტუმრები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან. სამასზე მეტი უცხოელის აღფრთოვანებული ჩანაწერია ქარხნის საპატიო სტუმრების შთაბეჭდილებათა წიგნში. ქართული კონიაკის შესანიშნავ ღირსებებზე ლაპარაკობენ ამერიკელი, ფრანგი, ინგლისელი, ბერძენი, იტალიელი, იაპონელი, ჩინელი, თურქი, ჰოლანდიელი, ნორვეგიელი და მრავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი მარტო კონიაკის ხარისხზე როდი ლაპარაკობენ, ჩერდებიან ქართული კონიაკის წარმოების მაღალ კულტურასა და მექანიზაციის მრავალსახეობაზეც.

ბევრი უცხოელისაგან გამიგია, თბილისის კონიაკის ქარხნის მსგავსი მეორე არ არის მსოფლიოშიო. რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო ჩვენი ქარხნის ასეთი მაღალი შეფასება, თუმცა ჩემი მხრივ მეც დაინტერესებული ვიყავი კონიაკის სამშობლოში — საფრანგეთში კონიაკის წარმოების კულტურით. და აი, გასული წლის ივლისში საშუალება მომეცა ქართველი მეღვინეების ჯგუფთან ერთად დამეთვალიერებინა საფრანგეთის კონიაკის წამყვანი საწარმოები. დავრწმუნდი, ჩვენი კონიაკის წარმოება ოდნავადაც არ ჩამორჩება საუკეთესო ფრანგულ ფირმებს არც კონიაკის ხარისხით და არც წარმოების კულტურით. მართალია, კონიაკის ფრანგი მრეწველები მხოლოდ ფრანგულ კონიაკს სცნობენ, მაგრამ ვერც ერთმა ფრანგმა სპეციალისტმა თუ კონიაკის მოყვარულმა, ვინც კი ქართული კონიაკი გასინჯა, ვერ დაიწუნა ჩვენი სასმელი. პირიქით, ისინი ვერც ფარავდნენ თავიანთ გაკვირვებასა და აღტაცებას.

პარიზში ყოფნისას ვესტუმრე საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ამხანაგ ვინოგრადოვს, რომელმაც ასეთი რამ მიამბო: ფრანგული კონიაკის ცნობილი ფირმის „რემი მარტენის" მეპატრონეს მასთან სტუმრად ყოფნისას გაუსინჯავს ქართული კონიაკი „თბილისი". ფრანგი მრეწველი განცვიფრებულა ჩვენი კონიაკის ხარისხით და უთქვამს, ასეთი მაღალი ხარისხის კონიაკის გამოშვება, ალბათ, ძალიან ძვირი დაჯდება, ჩემი წარმოება ასეთ რამეს ვერ ითავებსო.

ამხანაგმა ვინოგრადოვმა კარადიდან გამოიღო ერთი ბოთლი „კურვუაზიეს" ფირმის საამაყო სამოცწლიანი კონიაკი. ბოთლს, ეტიკეტს და საყელურს სიძველის სასიამოვნო იერი დაჰკრავდა. კონიაკი გავშინჯეთ. მართლაც შესანიშნავი პროდუქცია გახლდათ. მეც მქონდა წაღებული საფრანგეთში რამდენიმე ბოთლი ჩვენი ორმოცწლიანი ქართული კონიაკი, რომელიც გამოვუშვით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით. შევადარეთ ეს ორი კონიაკი. ჩემი აზრით, არც ერთი მათგანი არ უთმობდა ერთმანეთს ხარისხში. ქართული კონიაკი ამხანაგმა ვინოგრადოვმა მოიწონა, მაგრამ თუ რომელი მათგანია უკეთესი, დაე, ეს დაადგინონ სპეციალისტმა დეგუსტატორებმა, რომელნიც მიმდინარე წლის სექტემბერში ჩამოვლენ თბილისში მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობისათვის.

ქართული კონიაკის მაღალ ხარისხსა და ღირსებაზე მარტო ცალკეული პიროვნებები როდი ლაპარაკობენ. მისი ძვირფასი თვისებების ნათელი აღიარებაა საერთაშორისო დეგუსტაციებზე ქართული კონიაკების 8 ოქროსი და 4 ვერცხლის მედლით დაჯილდოება.

აღსანიშნავია, რომ დღემდე საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობდნენ მხოლოდ ქართული კონიაკის სამი სახე „ენისელი," „ძალზე ძველი" („ოესი") და „თბილისი". ისეთ შესანიშნავ კონიაკებს კი, როგორიცაა „საიუბილეო", „კაესი" („კონიაკი ძველი"), „გრემი" და „ვარციხე" საერთაშორისო დეგუსტაციებზე მონაწილეობისათვის არ გაგვიგზავნია, მაგრამ მათ ყველა მონაცემები აქვთ იმისათვის, რომ ოქროს მედლები მოიპოვონ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად 40 წლის სპირტებისაგან დამზადებულმა „საიუბილეო" კონიაკმა გასულ წელს საკავშირო დეგუსტაციაზე ყველაზე უმაღლესი შეფასება მიიღო — 9,8 ქულა 10 შესაძლებლობიდან. 64 დეგუსტატორიდან 51 მას უმაღლესი შეფასება მისცა. ჩვენმა იუბილარმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი მოიპოვა. ძალზე მაღალი შეფასება მიიღეს აგრეთვე კონიაკებმა „გრემმა", „თბილისმა", „ენისელმა", „კაესმა" („კონიაკი ძველი") და „ვარციხემ". ორდინალურ კონიაკებში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ 3-ვარსკვლავიანი და 5-ვარსკვლავიანი კონიაკები.

ქართული კონიაკის ასეთი მაღალი ხარისხის გამო ყოველწლიურად იზრდება მისი ექსპორტი. გასულ წელს იგი პირველად იქნა გაგზავნილი იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იაპონიაში გაიგზავნა 10 ათასი ბოთლი კონიაკი, რომელმაც ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მიმდინარე წელს ხელშეკრულება დაგვიდეს კიდევ 100 ათასი ბოთლი კონიაკის გაგზავნაზე.

ქართულ კონიაკზე დიდი მოთხოვნის გამო პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წელს უნდა გამოვუშვათ იმდენი რაოდენობის კონიაკი, რამდენიც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 7-წლიანი გეგმით 1965 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

თბილისის კონიაკის ქარხანა ამჟერად კონიაკის ყველაზე დიდი საწარმოა საბჭოთა კავშირში. იგი უშვებს საბჭოთა კავშირის კონიაკის მთელი პროდუქციის დაახლოებით ერთ მესამედს, რომლის 80 პროცენტი გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ქართული კონიაკის სპეციალისტებსა და მეღვინეებს კონიაკის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საკმაოდ დიდი რეზერვები აქვთ. ჩვენი სამამულო საკონიაკე სპირტების სათანადო მოვლა და მათი შეზავება ახალი მარკის ქართული კონიაკების მიღებისა და არსებული კონიაკების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობას გვაძლევს.

ჩვენს რესპუბლიკას კონიაკის წარმოების მაღალკვალიფიცირებული ახალგაზრდა კადრები და გამოცდილი სპეციალისტები ყავს. ისინი საქართველოში კონიაკის წარმოების ერთ-ერთი პიონერისა და დამაარსებლის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვახტანგ ციციშვილის ხელმძღვანელობით ერთგულად და ნაყოფიერად მუშაობენ ქართული კონიაკის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ფოტო ო. თურქიასი

თბილისის კონიაკის ქარხნის საკუპაჟო განყოფილების ერთი კუთხე.



# ვის დაუჩოქებს „ოქროს ქალღმერთი"?

ყავისა და ფეხბურთის კონტინენტზე იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ჩვენი პლანეტის თექვსმეტმა უძლიერესმა კოლექტივმა მოიპოვა ამ წარმტაც ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

ფეხბურთელთა ყველაზე დიდი და პოპულარული ჯილდო — „ოქროს ქალღმერთი", რომელზეც უკანასკნელად ბრაზილიელებმა ამოჰრეს თავისი სამშობლოს სახელი, ელის ახალ ჩემპიონს.

ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონი? რომელი სახელმწიფოს სახელი დაამშვენებს ოქროს ქალღმერთის მოსასხამს? დღეს მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ ფეხბურთის გულშემატკივრები.

ახლა მართლაც ძალზე ძნელია გააკეთო რაიმე პროგნოზი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი ძლიერი შემადგენლობის ჩემპიონატი ჯერ არ ჩატარებულა. ჩვენს პლანეტაზე საქვეყნოდ განთქმულ ამდენ ვარსკვლავს ჯერ არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ ტურნირში. საკმარისია ჩამოვთვალოთ პელეს, დი სტეფანოს, იაშინის, სუარესის, გარინჩას, დიდის, სივორის, სან ფილიპოს, მესხის, მეტრეველის და სხვათა სახელები, რომ დავრწმუნდებით, თუ რა დაძაბული და წარმტაცი ბრძოლებია მოსალოდნელი ჩილის საფეხბურთო მოედნებზე.

რომელი კონტინენტი მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს, ევროპა თუ ლათინური ამერიკა?

ასე აყენებენ საკითხს ჟურნალისტები, ტყავის ბურთის სპეციალისტები, ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრები. მიუხედავად იმისა, რომ თვით ამ კონტინენტებზე სხვადასხვა სახელმწიფოების ფეხბურთი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამ ორი კონტინენტის ფეხბურთს აქვს ისეთი სპეციფიური თვისებანი, რაც ძალზე განასხვავებს მათ: ევროპელებს ახასიათებთ მეტი კოლექტიურობა, ბრძოლა და მიზნისადმი ლოგიკური სწრაფვა, სამხრეთ ამერიკელებს ვირტუოზული ტექნიკა, თამაში (და არა ბრძოლა) და არტისტიზმი.

კამათი, თუ რომელი კონტინენტის ფეხბურთი სჯობია, დიდი ხანია დაწყებული ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარს შორის. თუმცა უნდა ითქვას, ანგარიში ჯერჯერობით სამხრეთ ამერიკელებს მიყავთ.

ფეხბურთის სპეციალისტების დიდ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ „ოქროს ქალღმერთი" კვლავ ლათინურ ამერიკაში დარჩებოდა. ჩემპიონობის პრეტენდენტებად ისევ ბრაზილიას, არგენტინას, ურუგვაის და ჩილის მიიჩნევდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა თავისი გასტროლები სამხრეთ ამერიკაში წარმატებით დაამთავრა, ბევრმა სპეციალისტმა შეიცვალა აზრი. ამ ამბავმა უპირველეს ყოვლისა, თვითონ სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელებიც ძალზე დააფიქრა. ისინი წინათ საერთოდ არ უწევდნენ ანგარიშს ევროპულ ფეხბურთს, მაგრამ უკანასკნელი მოვლენების შედეგად დარწმუნდნენ, რომ სულ ადვილი შესაძლებელია ჟიულ რიმეს თასმა კვლავ გადასეროს ოკეანე.

მსოფლიოში № 1 ფეხბურთელად აღიარებულ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს, რომელსაც საფეხბურთო სამყარო პელეს სახელით იცნობს, სჯერა რომ ფინალში ერთმანეთის წინაშე არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრებები წარსდგებიან, ხოლო გამარჯვება ბრაზილიელებს დარჩებათ. ბრაზილიელ ბიტოს და ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, ტურნირში გამარჯვებული გამოვა საბჭოთა კავშირის ნაკრები. აქამდე ჩვენი ნაკრების ძირითად იარაღად ისინი თვლიდნენ კოლექტიურობას და საუკეთესო ფიზიკურ მომზადებას. უკანასკნელმა გამოსვლებმა სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთის სპეციალისტებს დაანახა, საბჭოთა გუნდის ცალკეული მოთამაშეების მაღალი ტექნიკა და დაარწმუნა, რომ ისინი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფეხბურთელების გვერდით დგანან.

ძალზე ოპტიმისტურადაა განწყობილი ინგლისის ნაკრების მწვრთნელი უონტერბოტომი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ბოლოსდაბოლოს ფეხბურთის სამშობლო მოიპოვებს დიდი მასშტაბის წარმატებას. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა უზარმაზარი ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ ერთმანეთთან შეეთამაშებინა ნაკრების ფეხბურთელები, გამოენახა მათთვის საერთო ენა. მიუხედავად ჟურნალისტების მტკიცებისა: თითქოს ბრიტანეთის კუნძულების ფეხბურთელების ტექნიკა ჩამორჩება კონტინენტელებისას (ამის მაგალითად მოყავთ დი სტეფანო), უონტერბოტომმა განაცხადა: ბრიტანეთში არის ათეულზე მეტი ფეხბურთელი, რომლებიც არაფერში ჩამორჩებიან დი სტეფანოს. ხოლო ამ ფეხბურთელებს ესპანეთის ლიდერთან აქვთ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა — თამაშის ლოგიკა. თუ კი შეიძლება კარში დარტყმა, ისინი არასოდეს არ გააკეთებენ ზედმეტ ფინტს, როგორც ამას აკეთებს დი სტეფანო. ინგლისელთა მწვრთნელი სწორედ ასეთი ეკონომიური და ლოგიკური ფეხბურთის დაპირისპირებას აპირებს სამხრეთ ამერიკულ აუურულ ფეხბურთთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, საფეხბურთო სამყაროში „ბებერ მელად" მონათლულ ჰერბერგერს მიაჩნია: ჩემპიონატის მონაწილე ეროვნულ ნაკრებებს ერთმანეთთან შედარებით აქვთ სხვადასხვა უპირატესობა. ზოგი ძალზე ტექნიკურია, ზოგი ძალზე ატლეტური, ზოგიც კოლექტიური და სწრაფი. საბოლოო ჯამში, — დასძენს ჰერბერგერი, — ხდება ამ უპირატესობების ბალანსირება და გუნდების უმრავლესობა თითქმის ერთნაირი სიძლიერისანი არიან.

შვეციის მსოფლიო ჩემპიონატმა ძალზე წინ წასწია საფეხბურთო ტაქტიკა და სტრატეგია. თეორია გაამდიდრა ახალი სქემებით და ვარიანტებით. გამოჩნდა თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე რაციონალური სქემა 1-4-2-4, რომლის პატენტის მფლობელებიც იყვნენ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვინსენტე ფეოლა და მისი ბიჭები. ბრაზილიურმა ნიავმა სულ მალე ევროპაშიც დაქროლა. ამჟამად ჩემპიონატის მონაწილე ბევრი გუნდის საბრძოლო სქემას 1-4-2-4 წარმოადგენს.

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატი კიდევ უფრო გაამდიდრებს საფეხბურთო ტაქტიკის და სტრატეგიის არსენალს. გუნდები ემზადებიან ფიზიკურად, ემზადებიან თეორიულად. მწვრთნელები და სპეციალისტები ზვერავენ მომავალ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ყველა ეროვნული ნაკრები თავს იკავებს გაამჟღავნოს თავისი იარაღი ვიდრე გამოვა ჩილის მწვანე მოედნებზე, სადაც ამოიხსნება თანამედროვე ფეხბურთის მრავალი ამოცანა.

ვინ იცის, როგორი ტაქტიკა აღმოჩნდება ყველაზე რაციონალური თანამედროვე ფეხბურთისათვის. ვინ იცის, რამდენი ახალი ვარსკვლავი შეემატება მსოფლიოში აღიარებულ ფეხბურთელთა ოჯახს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპის თასის მფლობელი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომელმაც ტრიუმფალურად მოიარა „საფეხბურთო მექა" და მათსავე მოედნებზე დაამარცხა ჩემპიონების მთავარი ფავორიტები, ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ბევრ სიხარულს მოუტანენ ჩვენი ქვეყნის მილიონობით გულშემატკივრებს.

**გურამ ფანჯიკიძე**



ბრაზილიის ნაკრების წევრები სტადიონზე.

ინგლისის ცნობილ ფეხბურთელს მაკეის ოსტატურად გააქვს ბურთი მოწინააღმდეგის კარში.



# სასაცილოა, მაგრამ ფაქტია

(ზოგი რამ ამერიკული კანონმდებლობიდან)

ქალაქ ელქჰარტში (ინდიანას შტატი) კანონი პარიკმახერებს უკრძალავს ბავშვების დაშინებას ყურების დაჭრით.

*

ქალაქ სან-ჯოზეფში (მისურის შტატი) მეხანძრეებს კანონით აკრძალული აქვთ ქუჩებში სეირნობა ქვედა საცვლების ამარა.

*

ქალაქ ფორტ-მედისონში (აიოვას შტატი) სახანძრო რაზმი ვალდებულია ივარჯიშოს სულ ცოტა 15 წუთის განმავლობაში მანამ, სანამ ხანძრის ჩაქრობას შეუდგება.

*

მენის შტატში კანონი კრძალავს ჯორებისათვის ცეცხლის წაკიდებას კუდიდან.

*

კალიფორნიის შტატში სათაგურების ხმარებისათვის საჭიროა ნადირობის უფლების მოპოვება.

*

ქალაქ ლუიზვილში (კენტუკის შტატი) თუ ქალი ქუჩაში საბანაო კოსტუმით გამოვა, ვალდებულია თან ხელკეტი იქონიოს.

იმავე ლუიზვილში სასტიკად არის აკრძალული თევზზე ნადირობა მშვილდ-ისრით.

*

ქალაქ სან-სოლტ მარში (მიჩიგანის შტატი) კანონი კრძალავს გადაფურთხებას ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით.

*

ქალაქ მოჰეივში (არიზონას შტატი) კაცი დაჭერილი საპნის ქურდობისათვის, კანონით მოვალეა ის საპონი იქვე აიქაფოს მთლიანად საკუთარ თავზე.

*

ნიუ-ჰემპშირის ქუჩებში მოძრაობის წესებში სიტყვასიტყვით ნათქვამია შემდეგი: „თუ ორი ავტომობილი, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ, შეხვდებიან ერთმანეთს გზაჯვარედინზე, ორივე უნდა გაჩერდეს, და არც ერთ მათგანს უფლება არა აქვს ადგილიდან დაიძრას მანამ, სანამ მეორე არ წავა იქიდან“.

# არაჩვეულებრივი საკერავი მანქანა

საფრანგეთში შექმნეს უნივერსალური საკერავი მანქანა. მას გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივად კერავს, შეუძლია დამატებით შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: შლის და ჭიმავს ქსოვილს, გვირისტს უვლის, ჭრის, ბამბას უდებს, ნაოჭებს უსხავს, ქსოვილს ძუას ჩაატანს და დაალიანდაგებს, ნაპირებს შემოუტეხს, დაბლანდავს, ღილებს მიაკერებს. შეიძლება ამ მანქანის ავტომატურად დაყენება ისე, რომ იგი შეასრულებს ოთხმოც სხვადასხვა სახის ჩუქურთმიან ნაქარგს..

# ზანგი ებრაელები

ებრაელები მსოფლიოს მრავალ კუთხეში ცხოვრობენ: არიან გერმანელი, რუსი, ქართველი, პოლონელი ებრაელები... შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს, როცა გაიგებს, რომ ზანგი ებრაელებიც არსებობენ... მათ აქვთ ებრაული სარწმუნოება, ლოცვებს ატარებენ საკუთარ სინაგოგებში. იციან ძველი ებრაული ენა.

რით განსხვავდებიან ისინი სხვა ებრაელებისაგან?

ებრაელები, როგორც ცნობილია, თეთრ რასას ეკუთვნიან. ზანგი ებრაელები კი შავ რასას. მათ აქვთ ზანგებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნები — შავი კანი, ხუჭუჭა თმა, სქელი ტუჩები და სხვა.

განსაკუთრებით ბევრია ზანგი ებრაელი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკის ზანგურ რაიონში ჰარლემში ცხოვრობს 5000-მდე ზანგი ებრაელი. ზანგ ებრაელთა სინაგოგები არსებობს ბრუკლინში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ცინცინატში.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ებრაელები იმ ზანგთა ჩამომავლები არიან, რომლებიც მონებად ყავდათ ებრაელ პლანტატორებს და ძალით მიაღებინეს თავიანთი სარწმუნოება.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: ტურისტები.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.



# კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. სახის ფერადი საღებავი; 2. ძველი მონათმფლობელური სახელმწიფო მესოპოტამიაში; 3. საგრილებელი; 4. ზღვის ყაჩაღი; 5. ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც სხვა ენაზე არ ითარგმნება; 6. ფოლადის ნაჭერი, რომლის ტალზე ჩამოკვრით ცეცხლს აჩენენ; 7. ვერცხლის სასმისი, ტარიანი; 10. მინდვრად გამართული დროებითი სადგომი ჯარისა; 12. მეტალურგიული ქალაქი ინდოეთში; 17. ჭადრაკის ფიგურა; 19. დაწესებულება წესრიგის, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად; 21. ავტომანქანა, რომელსაც ქირით გადაჰყავს მგზავრი ან გადააქვს ტვირთი; 22. მოგზაურობა, გზა, მანძილი, რომელსაც ტრანსპორტი გაივლის საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; 23. ზომიერების გრძნობა; 24. სათუთი, ნაზი; 26. ფერი; 27. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი; 32. მაღალი ბოძი, რომელზედაც გაჭიმულია მავთულები; 34. ე. ნინოშვილის ნაწარმოების გმირი; 35. შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე გადაღებული საგნის უკუღმა გამოსახულება; 38. ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა; 39. ძღვენი, საჩუქარი; 42. კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან სამეცნიერო ნაწარმოები; 43. ქვემეხის დაზგა, რომელზედაც მაგრდება ლულა; 45. მოლოდინი, რწმენა; 46. საწამლავი; 48 სახელმწიფოს შეიარაღებული ჯარი.

ჰორიზონტალურად: 4. ნავსადგური; 8. სასწავლო დისციპლინა; 9. მოკლე გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს მოქმედების სახელმძღვანელო აზრს, იდეას; 11. სწორგვერდა პარალელოგრამი; 13. დაბრკოლებად აღმართული სხვადასხვა საგნების ჩანახერგი ქალაქის ქუჩებში; 14. ცნობილი საბჭოთა მუსიკოსი; 15. ქალაქი ვიეტნამში; 16. აფრიკის ქვეყანა; 18. ფეხბურთელთა გუნდი ევროპაში; 21. საშუალო ან პატარა ზომის რბილმერქნიანი ხე; 23. ლითონის ან ფაიფურის პირღია ყურიანი ჭურჭელი, 25. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 28. ცალკეული მოქმედება; 29. მშრალი თოვლი; 30. ფრანგი ფიზიკოსი; 31. ზღაპრული ცხენი; 33. ქართული ნაციონალური სპორტის სახეობა; 36. ევროპელების მიერ ჩრდილო ამერიკელებისათვის შერქმეული სახელი; 37. ცნობილი იტალიელი კინომსახიობი; 40. ვინმეზე გაწეული შრომა, მზრუნველობა; 41. სახელმწიფო აზიაში; 44. არაბეთის მკვიდრი; 47. მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის აგებულების შესახებ; 49. სპორტის სახეობა; 50. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი; 51. წილი; 52. მოდუღებული და სათანადოდ შეზავებული პომიდორი; 53. გამოუწვავი აგური.



ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა

რედაქტორი ა. ძიძიგური.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. ყდა და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-62 წ. გამომც. № 50, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22 000, შეკვ. № 927, უე 04486

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

# ჩეხოსლოვაკიაში




პრაღა. ვაცლავის მოედანი ღამით

ფოტო გ. თიკანაძისა





თივის დამზადე-
ბა.

სამხატვრო სკო-
ლის მეორე კურ-
სელი იულია ბუ-
კოვა





ბრატისლავას
უმაღლესი ხას
წავლებლის ქი-
მიური ფაკულ-
ტეტის სტუდენ-
ტი იარმილა ბო-
რიკოვა.





სლოვაკი მწერა-
ლი რუდოლფ
ფაბრინი




პრაღის ერთ-ერთი მოედანი.

„ბედნიერი გზა, საყვარელო სტუმრებო!"



ტურისტთა ბანა-
კი ტატრებში.





ეროვნული
ბიბლიოთეკა